კონსტიტუციური სამართალი
ტესტები № 1-1 – 1-950

№1-1.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით როგორი სახელმწიფო სურთ დაამკვიდრონ საქართველოს მოქალაქეებმა?
ა. ეკონომიკური და სამართლებრივი;
ბ. სამართლიანი და სოციალური;
გ. სოციალური და სამართლებრივი;
დ. სოციალური და დემოკრატიული.

№1-2.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რით არის დადასტურებული ის, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო?
ა. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ". საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონით.
ბ. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესებით.
გ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.
დ. საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით.

№1-3.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი არ არის სწორი?
ა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს ყველა ნორმატიული აქტის მიმართ;
ბ. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს;
გ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ;
დ. საქართველოს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

№1-4.
რის საფუძველზე შეიძლება საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შეცვლა?

ა. მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული და ევროსაბჭოს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების საფუძველზე;
ბ. მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
გ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის საფუძველზე;
დ. მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე.

№1-5.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე განისაზღვრება:
ა. საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურა და ტერიტორიული დისლოკაცია.
ბ. საქართველოს საგადასახადო სისტემა.
გ. საქართველოში კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა სისტემა.
დ. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა

№1-6.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:
ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს 4 წლის ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს 4 წლის ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით ირჩევენ საქართველოს ამომრჩევლები.

№1-7.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა არის:
ა. ხუთი წელი
ბ. ოთხი წელი.
გ. ვადა განუსაზღვრელია, სიცოცხლის ბოლომდე
დ. სამი წელი.

№1-8.

როდის უწყდება პარლამენტს უფლებამოსილება?
ა. არჩევიდან ოთხი წლის თავზე.
ბ. უფლებამოსილების ცნობიდან ოთხი წლის თავზე.
გ. ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.
დ. ახალარჩეულ პარლამენტის წევრთა 2/3-ის უფლებამოსილებათა ცნობისთანავე.

№1-9.

საქართველოს პარლამენტის წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. საქართველოს პარლამენტის წევრი თავისუფალია და შეუძლია იმავდროულად იყოს იუსტიციის მინისტრი.
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრი სრულიად საქართველოს წარმომადგენელია და მისი გაწვევა დაუშვებელია.

გ. თავისუფალი მანდატის უფლების საფუძველზე პარლამენტის წევრს შეუძლია ორი წლის განმავლობაში არ მონაწილეობდეს პარლამენტის საქმიანობაში.
დ. თავისუფალი მანდატით ფლობა ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის წევრს გააჩნია აბსოლუტური იმუნიტეტი.

№1-10.

რომელი მათგანი არ არის საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძველი:

ა. სამხედრო გადატრიალება
ბ. შეიარაღებული ამბოხება.
გ. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.
დ. საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 15%-ის მონაწილეობა.

№1-11.

ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?

ა. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში.
ბ. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა.
გ. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ტურიზმი, კულტურა და სპორტი
დ. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

№1-12.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შექმნისას, რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება პალატების უფლებამოსილება, შემადგენლობა და არჩევის წესი?

ა. საქართველოს კონსტიტუციით.
ბ. საქართველოს კონსტიტუციური კანონით.
გ. საქართველოს ორგანული კანონით.
დ. საქართველოს კანონით.

№1-13.

პარლამენტის წევრს პარლამენტის გადაწყვეტილებით უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა. პარლამენტის წევრი განქორწინდა.
ბ. პარლამენტის წევრი გახდა საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქე ისე, რომ არ გასულა საქართველოს მოქალაქეობიდან.
გ. შიზოფრენიის მწვავე ფორმით დაავადების საფუძველზე სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო.
დ. პარლამენტის წევრი ათეისტია.

№1-14.

შესაბამისი პირობების შექმნისას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი პალატის-სენატის- ფორმირება უნდა მოხდეს შემდეგი პრინციპის საფუძველზე:

ა. სენატორთა ნაწილი არჩეული იქნება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში, ხუთი წევრი კი დაინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.
ბ. სენატორთა საერთო რიცხვის ორი მესამედი არჩეული იქნება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ერთი მესამედი დაინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.
გ. სენატის მთელი შემადგენლობა არჩეული იქნება საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში.
დ. სენატის შემადგენლობის ნახევარს დანიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ნახევარს აირჩევს საქართველოს პარლამენტი.

№1-15.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების დანაწილება არის:
ა. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპი.
ბ. საქართველოს პარლამენტის ფორმირების კონსტიტუციური პრინციპი.
გ. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურის განმსაზღვრელი კონსტიტუციური პრინციპი.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპი.

№1-16.

რის საფუძველზე განისაზღვრება ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის?
ა. საქართველოს კონსტიტუციისა და ბიბლიის საფუძველზე.
ბ. ბიბლიის საფუძველზე.
გ. გაეროს წესდებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.
დ. კონსტიტუციური შეთანხმებით.

№1-17.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. პარლამენტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.
ბ. პარლამენტის წევრი არ შეიძლება იყოს საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშე.
გ. პარლამენტის წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი.
დ. პარლამენტის წევრი არ შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.

№1-18.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმაა:
ა. საპარლამენტო დემოკრატიული რესპუბლიკა.
ბ. საპრეზიდენტო რესპუბლიკა
გ. საქართველოს რესპუბლიკა.
დ. დემოკრატიული რესპუბლიკა

№1-19.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის:

ა) სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი;

ბ) სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი;

გ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ერთი მესამედისა;

დ) სიითი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

№1-20.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივა დადასტურებულია არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

ბ. მოქალაქეთა ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელთაც წინა არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3% მიიღო.

გ. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში.

დ. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც პარლამენტში საკუთარი ფრაქცია აქვს ჩამოყალიბებული.

№1-21.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება:

ა) მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

ბ. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით).

გ. დაბადებით და ნატურალიზაციით

დ. მხოლოდ დაბადებით;

№1-22.

მოგმართათ კამერუნის ყოფილმა მოქალაქემ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა უარი უთხრა საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები არა აქვს დამყარებული კამერუნთან. თუ თქვენ კლიენტს ამის სურვილი ექნება სად გაასაჩივრებთ საქართველოს პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას («საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» ორგანული კანონის მიხედვით)?

ა. კამერუნის პარლამენტში.

ბ. საქართველოს სასამართლოში.

გ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

დ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

№1-23.

«საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ მიღების ერთ-ერთი პირობაა:

ა. დადგენილ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნა.

ბ. არასაპენსიო ასაკი.

გ. თუნდაც ერთი ქართული სიმღერის ცოდნა.

დ. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

№1-24.

“საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს მოქალაქედ მიღების ერთ-ერთი პირობაა:
ა. უცხო ქვეყნის საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება.
ბ. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი განათლების დოკუმენტის არსებობა.
გ. დადგენილ ფარგლებში საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძველების ცოდნა.
დ. საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა.

№1-25.

«საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ მიღების ერთ-ერთი პირობაა:
ა. უმაღლესი ეკონომიკური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა.
ბ. საქართველოში აქვს უძრავი ქონება.
გ. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება.
დ. საქართველოში ახლო ნათესავების ყოლა.

№1-26.

“საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:
ა. თუ ბავშვი დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ და მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა ბავშვი ავტომატურად საქართველოს მოქალაქეა.
ბ. თუ ბავშვი დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ და მისი ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა და ორივე მშობელი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით.
გ. თუ ბავშვი დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ და მისი ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა ბავშვი ავტომატურად დაბადების ქვეყნის მოქალაქეა.
დ. თუ ბავშვი დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ და მისი ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად სადაც გაემგზავრება ბავშვი.

№1-27.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნის მიზანი?
ა. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა, გათავისუფლება და სხვა ამოცანების შესრულება.
ბ. საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა.
გ. საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერა სასამართლო ხელისუფლებაში.
დ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ზედამხედველობა.

№1-28.

«საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ მიღების ერთ-ერთი პირობაა:
ა. საქართველოს ერთ-ერთ ბანკში მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე სულ ცოტა 1000 ლარის არსებობა.
ბ. საქართველოში ახლონათესაური კავშირების არსებობა.
გ. მინიმალური ასაკი - 20 წელი.

დ. დადგენილ ფარგლებში საქართველოს ისტორიის ცოდნა.

№1-29.

«საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით,საქართველოს მოქალაქედ მიღების ერთ-ერთი პირობაა:

ა. დადგენილ ფარგლებში საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნა;
ბ. ქორწინებაში ყოფნა სხვა ქვეყნის მოქალაქესთან.
გ. ჯანმრთელობის დაცვის პოლისი.
დ. სულ ცოტა ორი შვილის ყოლა.

№1-30.

«საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია:

ა. საპენსიო ასაკი.
ბ. მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული.
გ. არსებობისათვის საჭირო სახსრების არარსებობა.
დ. თუ 35 წელს მიღწეულ პიროვნებას არა ჰყავს მეუღლე.

№1-31.

«საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია:

ა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში მონაწილეობა.
ბ. საზღვარგარეთ ცხოვრების დროს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობა.
გ. საშუალო (საბაზო) განათლების არქონა.
დ. თუ 35 წლის ან უფრო მეტისაა და არა აქვს შექმნილი ოჯახი.

№1-32.

საქართველოს პრეზიდენტმა უარი უთხრა სენეგალის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე. სად შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება სენეგალის მოქალაქეს («საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» ორგანული კანონის მიხედვით)?

ა. სენეგალის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში.
ბ. საქართველოს სასამართლოში.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
დ. საქართველოს პარლამენტში.

№1-33.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს:

ა. საქართველოს პარლამენტს;
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს;
გ. საქართველოს პრეზიდენტს;
დ. საქართველოს სახალხო დამცველი;

№1-34.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პარლამენტის წევრი:

ა. არ შეიძლება იმავდროულად იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.

ბ. არ შეიძლება იყოს საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშე.

გ. იმავდროულად არ შეიძლება იყოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი.

დ. არ შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.

№1-35.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება.

ა. ორგანული კანონით

ბ. კონსტიტუციური კანონით.

გ. კანონით.

დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

№1-36.

შეიძლება თუ არა საქართველოს მოქალაქე იმავდროულად იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე?

ა. არ შეიძლება.

ბ. შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოსაზღვრე ერთ-ერთი სახელმწიფოების მოქალაქე.

გ. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რომელიმე წევრი-სახელმწიფოს მოქალაქე.

დ. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში.

№1-37.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა;

ბ. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე;

გ. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება მისი იურისდიქცია;

დ. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებიც იმავე საერთაშორისო ხელშეკრულების სუბიექტები არიან, რომლის ურთიერთობის მონაწილეც არის საქართველო.

№1-38.

ვინ წყვეტს საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს (საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» ორგანული კანონის მიხედვით)?

ა. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია

ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლო.

გ. საქართველოს პრეზიდენტი.

დ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

№1-39.

ვინ წყვეტს უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების საკითხს (საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» ორგანული კანონის მიხედვით)?
ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
გ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლო.

№1-40.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში;
ბ. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში;
გ. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 15 წლის განმავლობაში ცხოცრობდა საქართველოში;
დ. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 15 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში;

№1-41.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათგან რომელია სწორი?
ა. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
ბ. სასამართლოს მიერ, პირის მიმართ, სახელმწიფო ღალატის დადგენის შემთხვევაში დასაშვებია საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა.
გ. დაუშვებელია როგორც მოქალაქეობის ჩამორთმევა, ასევე დაკარგვაც.
დ. დაშვებულია როგორც მოქალაქეობის ჩამორთმევა, ასევე დაკარგვაც.

№1-42.

"საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება პირი, რომელიც:

ა) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია თუ მას არა აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
ბ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრამდე დატოვა საქართველოს ტერიტორია თუ მას არა აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
გ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრამდე დატოვა საქართველოს ტერიტორია თუ მას არა აქვს ჩადენილი დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;
დ) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ათი წლისა და ცხოვრობს "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე.

№1-43.

დასაშვებია თუ არა საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა?

ა. დაუშვებელია.

ბ. დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ. დასაშვებია, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დ. დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთ მოთხოვნას წამოაყენებს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ხუთი სახელმწიფო მაინც.

№1-44.

შემოთავაზებული 4 პასუხიდან რომელი პასუხია სწორი?

16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა დასტურდება:

ა. ბავშვის ჯანმრთელობის მოწმობით.

ბ. მოქალაქის ნებისმიერი მოწმობით.

გ. ბავშვის დაბადების მოწმობით.

დ. მშობლების ქორწინების მოწმობით.

№1-45.

შეიძლება თუ არა გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ გასაჩივრდეს სასამართლოში?

ა. არ შეიძლება, რადგან ასეთს არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

ბ. შეიძლება, რადგანაც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით.

გ. შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრება.

დ. შეიძლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას მოითხოვს საქართველოს პარლამენტი.

№1-46.

რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი?

ა. საქართველოს კონსტიტუციური კანონით.

ბ. საქართველოს ორგანული კანონით.

გ. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

დ. საქართველოს კანონით.

№1-47.

საქართველოს მთავრობის გადადგომიდან 9 დღეში საქართველოს პრეზიდენტმა დამოუკიდებლად შეარჩია პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა 7 დღეში დამოუკიდებლად შეარჩია მთავრობის წევრების კანდიდატურები. ამ პროცედურების დასრულებიდან მე-4 დღეს საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა დასამტკიცებლად. შეესაბამება თუ არა ზემოთ მოცემული პროცედურები საქართველოს კონსტიტუციას?

ა)არა, რადგან მთავრობის გადადგომიდან 5 დღის განმავლობაში უნდა შეერჩია საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიტატურა;

ბ) არა, რადგან მთავრობის გადადგომიდან 7 დღის განმავლობაში უნდა შეერჩია საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ და არა დამოუკიდებლად, ამასთან

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს მთავრობის წევრების კანდიდატურები უნდა შეერჩია საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით და არა დამოუკიდებლად, ხოლო ამ პროცედურების დასრულებიდან 3 დღის ვადაში უნდა წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის შემადგენლობა ნდობის მისაღებად და არა დასამტკიცებლად;
გ) დიახ, რადგან მთავრობის გადადგომიდან 10 დღის განმავლობაში აქვს საქართველოს პრეზიდენტს უფლება დამოუკიდებლად შეარჩიოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის განმავლობაში, ასევე დამოუკიდებლად შეარჩევს მთავრობის წევრების კანდიდატურებს და ამ პროცედურების დასრულებიდან 5 დღის ვადაში წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას დასამტკიცებლად;
დ) დიახ, რადგან მთავრობის გადადგომიდან 10 დღის განმავლობაში აქვს საქართველოს პრეზიდენტს უფლება დამოუკიდებლად შეარჩიოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის განმავლობაში, ასევე დამოუკიდებლად შეარჩევს მთავრობის წევრების კანდიდატურებს და ამ პროცედურების დასრულებიდან 5 დღის ვადაში წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას დასამტკიცებლად;

№1-48.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი თანამდებობის დაკავება ეკრძალება საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა?
ა) პარლამენტის თავმჯდომარის;
ბ) პარლამენტის წევრის;
გ) მინისტრის;
დ) მთავარი პროკურორის.

№1-49.

ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ კონკურსში მონაწილეობის პირობებში ჩაწერა, რომ კომპიუტერის ოპერატორის თანამდებობაზე არ მიიღებიან მდედრობითი სქესის საქართველოს მოქალაქეები. ამ თანამდებობის დაკავების მსურველმა ერთ-ერთმა ქალბატონმა მიმართა სასამართლოს. სასამართლოს რომელი პოზიცია იქნება სწორი?
ა. კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს.
ბ. კომისიის გადაწყვეტილება სწორია, ვინაიდან მამაკაცთა შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალია.
გ. კომისიის გადაწყვეტილება სწორია, ქალები სამსახურში ბევრს ლაპარაკობენ, ჭორაობენ, გადიან დეკრეტულ შვებულებაში.
დ. კომისიის გადაწყვეტილება არ არის სწორი, ქალები კომპიუტერთან უფრო კარგად მუშაობენ.

№1-50.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რომელი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზეა დაშვებული ადამიანის თავისუფლების აღკვეთა?
ა. პროკურორის სანქციის საფუძველზე.
ბ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

გ. სასამართლოსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.
დ. საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილების საფუძველზე.

№1-51.

დასაშვებია თუ არა ადამინის პირადი თავისუფლების შეზღუდვა?

ა. დაუშვებელია, რადგანაც ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
ბ. დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
გ. დასაშვებია მხოლოდ საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს.
დ. დასაშვებია მხოლოდ გენერალური პროკურორის გადაწყვეტილების საფძველზე.

№1-52.

დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს:

ა. განსჯადობის მიხედვით.
ბ. ნებისმიერ სასამართლოს, განსჯადობას არ აქვს მნიშვნელობა.
გ. დამკავებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
დ. საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების მიხედვით.

№1-53.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
ბ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
გ) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი;
დ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და საქართველოს მთავრობის კანცელარია;

№1-54.

ქვემოთჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიუხედავად არაუგვიანეს 48 საათისა.
ბ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა.
გ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არუგვიანეს 72 საათისა.
დ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიუხედავად არუგვიანეს 24 საათისა.

№1-55.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. დაკავებულს ან დაპატიმრებულს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვიოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
ბ. დაკავებულს ან დაპატიმრებულს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც შეიძლება არ დაკმაყოფილდეს.
გ. დაკავებულს ან დაპატიმრებულს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე არ შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება.

დ. დაკავებულს ან დაპატიმრებულს დამცველის მოთხოვნა შეუძლია დაკავების ან დაპატიმრებისთანავე მხოლოდ დამკავებლის თანხმობით.

№1-56.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში უნდა განთავისუფლდეს, დაუყოვნებლივ, დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი?

ა. თუ მისი სასამართლოში წარდგენიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ.

ბ. თუ მისი სასამართლოში წარდგენიდან მომდევნო 72 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ.

გ. თუ მისი სასამართლოში წარდგენიდან მომდევნო 12 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ.

დ. ასეთ შემთხვევას საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს.

№1-57.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი აქტით განისაზღვრება ქალის შრომის პირობები?

ა) პრეზიდენტის ბრძანებულებით;

ბ) კანონით;

გ) მინისტრის ბრძანებით;

დ) ორგანული კანონით.

№1-58.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს:

ა. 24 საათს.

ბ. ეჭვმიტანილის დაკავების ვადას საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს.

გ. 48 საათს.

დ. 72 საათს.

№1-59.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პირის დაკავებისას უფლებამოსილი პირების უპირველესი მოვალეობა არის:

ა. ხელბორკილები საიმედოდ დაადოს დაკავებულ პირს.

ბ. განუმარტოს დაკავებულ პირს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.

გ. სასწრაფოდ გადაიყვანოს წინასწარი დაკავების საკანში, გამოიძახოს დაკავებულის ახლობლები და დაიწყოს მათთან მოლაპარაკება საქმის მშვიდობიანად მოგვარების თაობაზე.

დ. დაკავების ადგილზევე დაიწყოს დაკითხვა, რათა მიიღოს დაკავებულის აღიარებითი ჩვენება.

№1-60.

საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის მერმა, ქალაქში რთული კრიმინოგენური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქის საკრებულოში შეიტანა გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც განსაზღვრავდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე პოლიციის მიერ ადამიანის დაკავების ოთხ

სხვადასხვა შემთხვევას. მწვავე კამათის შემდეგ საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც შემოთავაზებული ოთხის ნაცვლად ადამიანის დაკავების მხოლოდ ორი შემთხვევა /საფუძველი/ იყო გათვალისწინებული. შეაფასეთ საკრებულოს გადაწყვეტილება:

ა. გადაწყვეტილება სწორია, მერი ადგილობრივი მმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირია, ხოლო საკრებულო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა, სწორედ მათ ეკისრებათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქში.

ბ. გადაწყვეტილება არ არის სწორი, ადამიანის დაკავების შემთხვევები /საფუძვლები/ უნდა დადგენილიყო ქალაქის მოსახლეობის რეფერენდუმის შედეგების მიხედვით.

გ. გადაწყვეტილება სწორია, იგი მიღებულია ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

დ. გადაწყვეტილება არ არის სწორი, რადგან ადამიანის დაკავება დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

№1-61.

კონსტიტუციის მიხედვით, რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს პარლამენტი?

ა. 150.

ბ. 50.

გ. 100.

დ. 235.

№1-62.

ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს:

ა. 9 თვეს.

ბ. 4 თვეს.

გ. 18 თვეს.

დ. 8 თვეს.

№1-63.

საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ მოწმობასა და პასპორტს გასცემენ:

ა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი სამსახურები.

ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის -- სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები.

გ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული სამსახური.

დ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები.

№1-64.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის:

ა. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური;

ბ. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური;

გ. საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური;

დ. საქართველოს მეთაური;

№1-65.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვისი აქტის საფუძველზე დაიშვება ყოველი ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილის, ჩანაწერების, მიმოწერის,

სატელეფონო საუბრების, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა?
ა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
ბ. შრომითი კოლექტივის ადმინისტრაციის.
გ. საქართველოს სახალხო დამცველის.
დ. საქართველოს მთავრობის.

№1-66.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში შეიძლება კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების, საქმიანობის ადგილის, ჩანაწერების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა?
ა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
ბ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
გ. კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
დ. კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

№1-67.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე რა დროსაა დასაშვები ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების, საქმიანობის ადგილის, პირადი ჩანაწერების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა?
ა. წლის ბოლოს, თუ სახელმწიფო ბიუჯეტი არ სრულდება.
ბ. საგანგებო მდგომარეობის დროს.
გ. საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელების დროს.
დ. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს.

№1-68.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი პირობა არ არის გათვალისწინებული იმისათვის, რომ პირი აირჩეს საქართველოს პრეზიდენტად?
ა) ასაკი – 35 წელი;
ბ) არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების აუცილებლობა;
გ) საქართველოში სულ ცოტა 5 წელი ცხოვრების აუცილებლობა;
დ) უმაღლესი განათლება.

№1-69.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში შესვლა მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ?
ა. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.
ბ. მხოლოდ კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.
გ. სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

დ. საქართველოს კონსტიტუცია ასეთი სახის შეზღუდვას არ ითავლისწინებს.

№1-70.

ორივე მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა იწვევს ბავშვის მოქალაქეობის ავტომატურად შეცვლას თუკი ბავშვი არის:

ა. 12 წლის.
ბ. 14 წლის.
გ. 16 წლის.
დ. 18 წლის.

№1-71.

ერთ-ერთმა სახელმწიფო რწმუნებულმა–გუბერნატორმა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კრიმინოგენული ვითარების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, რეგიონის ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა შეზღუდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მის მიერ ერთპიროვნულად მიღებული ბრძანების მიხედვით, რეგიონის დიდ ქალაქებში შესვლა დაშვებული გახდა მხოლოდ ქალაქის მერის საშვის საფუძველზე. თქვენი აზრით:

ა. რწმუნებულს ამგვარი ბრძანების ერთპიროვნულად მიღება არ შეუძლია, იგი სახელმწიფო მინისტრმა უნდა დაამტკიცოს.
ბ. რწმუნებულს ამგვარი ბრძანების გამოცემის უფლება ენიჭება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე.
გ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად კონსტიტუციით გათვალისწინებული მიზნებით ან პრეზიდენტის დეკრეტით საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს.
დ. დანაშაულის თავიდან აცილება თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია, ამიტომ რწმუნებულის ბრძანება მართებულია.

№1-72.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმეული საკუთრების ანაზღაურება:

ა) არ ანაზღაურდება;
ბ) ანაზღაურდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას სასამართლო გადაწყვეტს;
გ) ექვემდებარება საგადასახადო შეღავათებს;
დ) თავისუფლდება ყოველგვარი გდასახადისა და მოსაკრებლისაგან.

№1-73.

დაშვებულია თუ არა საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება?

ა. დაუშვებელია, რადგანაც საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ადამიანის საყოველთაო უფლებაა.
ბ. დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
გ. დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.
დ. დასაშვებია ორგანული კანონით დადგენილი წესით.

№1-74.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კოლეგიამ დაადგინა, რომ საზღვარგარეთ 4 წელზე მეტი ვადით კერძო ვიზიტით მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოში შეუძლიათ შემოვიდნენ, მხოლოდ საქართველოს საგარეო სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაფორმებული ნებართვის საფუძველზე. თქვენი აზრით:

ა. ასეთმა პირებმა სამშობლოსთან ფაქტიური კავშირი დაკარგეს, ამიტომ გამართლებულია მათი საქართველოში შემოსვლისათვის ნებართვის (ვიზის) დაწესება.

ბ. დადგენილება არაკონსტიტუციურია, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილი წესით;

გ. დადგენილება მართებულია. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა დაადგინოს ხომ არ დაემუქრება საფრთხე დემოკრატიული საზოგადოების არსებობას საქართველოში კონკრეტული პირის შემოსვლით.

დ. დადგენილება არაკონსტიტუციურია, ვინაიდან ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

№1-75.

საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი პირის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს?

ა. ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

ბ. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გ. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე

დ. დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

№1-76.

არის თუ არა საქართველოში შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაშვებული?

ა. დაუშვებელია

ბ. დაშვებულია მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

გ. დაშვებულია, თუ იგი ლახავს სხვა ადამიანის უფლებებს.

დ. დაშვებულია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

№1-77.

დასაშვებია თუ არა შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა?

ა. დაუშვებელია.

ბ. დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

გ. დასაშვებია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს მწერალთა კავშირი.

დ. დასაშვებია, თუ იგი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

№1-78.

შეიძლება თუ არა ვინმეს შეეზღუდოს მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება?

ა. არ შეიძლება, რადგანაც ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

ბ. სახელმწიფოს აქვს მონოპოლიზაციის უფლება.

გ. შეიძლება შეეზღუდოთ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ცალკეულ პირებს.
დ. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

№1-79.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვის არ აქვს შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლება?

ა. საქართველოს პარლამენტის წევრებს.
ბ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს.
გ. იმ პირებს, რომლებიც არიან სამხედრო ძალების შემადგენლობაში.
დ. ნასამართლეობის მქონე პირებს.

№1-80.

სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში ბავშვი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას:

ა. მშობლების მოქალაქეობის მიუხედავად საქართველოში შვილად აყვანის შემთხვევაში ავტომატურად.
ბ. თუკი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, კანონმდებლობის შესაბამისად მშვილებელის (მშვილებლების) შუამდგომლობით.
გ. თუკი ორივე მშვილებელი საქართველოს მოქალაქეა ავტომატურად რაიმე სპეციალური შუამდგომლობის გარეშე.
დ. თუკი ერთი მშვილებელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე მოქალაქეობის არმქონე პირი ავტომატურად რაიმე სპეციალური შუამდგომლობის გარეშე.

№1-81.

ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:

ა. სხადასხვა მოქალაქეობის მქონე მეუღლეთა განქორწინება ავტომატურად იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას, სამეურვეოდ მიკუთვნებული მშობლის მოქალაქეობის სასარგებლოდ;
ბ. მეუღლეთა განქორწინება არ იწვევს მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას;
გ. სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე ბავშვი თავად ირჩევს საკუთარ მოქალაქეობას;
დ. სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში ბავშვი იღებს მზრუნველის მოქალაქეობას.

№1-82.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?
ა) მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით;
ბ) მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება კანონით;
გ) მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით;
დ) მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით;

№1-83.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?

ა) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას;

ბ) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების სწორი მართვით, სპორტული გაერთიანებების შექმნით, ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას;

გ) სახელმწიფო მუდმივი აგიტაციით, სპორტული გაერთიანებების შექმნით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას;

დ) არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-84.

რა შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს შეკრების ჩატარების შესახებ ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა?

ა. თუ შეკრებაში არასრულწლოვანები მონაწილეობენ.

ბ. თუ შეკრება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

გ. თუ შეკრებაზე პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე იქნება მსჯელობა.

დ. თუ შეკრებაში 500 ადამიანზე მეტი მიიღებს მონაწილეობას.

№1-85.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?

ა) ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;

ბ) საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია ადამიანთა ჯანმრთელობის შესახებ;

გ) ყველას აქვს უფლება მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია ქვეყანაში არსებული დანაშაულის დონის შესახებ;

დ) არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-86.

რა შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს მანიფესტაციის ჩატარების შესახებ ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა?

ა. თუ მანიფესტაციაში პენსიონერები მონაწილეობენ

ბ. თუ მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

გ. თუ მანიფესტაციას ხანგრძლივი ხასიათი აქვს.

დ. თუ მანიფესტაციაში 1000 ადამიანზე მეტი მონაწილეობს.

№1-87.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვის აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა?

ა. საქართველოს ყოველ საპატიო მოქალაქეს.

ბ. საქართველოს მოქალაქეს თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

გ. საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს.

დ. საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს.

№1-88.

საქართველოს მოქალაქეზე ქორწინებით პირი იძენს საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებას:

ა. ყოველგვარი დამატებითი პირობების დაკმაყოფილების მოთხოვნის გარეშე;
ბ. ქორწინებიდან მხოლოდ 3 წლის შემდეგ, დამატებითი პირობების გარეშე;
გ. თუ დაქორწინების შემდეგ მეუღლესთან ერთად ცხოვრობს საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში და დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;
დ. ქორწინებისთანავე, სახელმწიფო ენის ფლობის შემთხვევაში.

№1-89.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. გამგებელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მანიფესტაციაში.
ბ. მოსამართლეს არ აქვს მანიფესტაციაში მონაწილეობის უფლება.
გ. პოლიციის შემადგენლობაში მყოფ პირს არ აქვს მანიფესტაციაში მონაწილეობის უფლება.
დ. ადვოკატს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ მანიფესტაციაში.

№1-90.

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველია:

ა. უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა.
ბ. უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ქორწინება.
გ. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა.
დ. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა.

№1-91.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო?

ა) მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით;
ბ) მოსამართლეთა საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით;
გ) პარლამენტის წევრთა მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით;
დ) იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

№1-92.

პოლიტიკურ პარტიათა, სხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის წესი განისაზღვრება:

ა. კანონით.
ბ. ორგანული კანონით.
გ. კონსტიტუციური კანონით.
დ. პარლამენტის დადგენილებით.

№1-93.

საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა ვენესუელის რამდენიმე მოქალაქემ, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის სურვილით, განიზრახეს პოლიტიკური პარტიის შექმნა. ამ მიზნით, მათ კონსტიტუციური

სარჩელით მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნით, არაკონსტიტუციურად გამოცხადებულიყო საარჩევნო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს.
საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემოთჩამოთვლილ გადაწყვეტილებიდან რომელი იქნება სწორი?
ა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად, ვინაიდან დავის საგანი მისი განსჯადი არ არის.
ბ. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან უცხოელი მოსარჩელეები მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და მათ იგივე პოლიტიკური უფლებები აქვთ, რაც საქართველოს მოქალაქეებს.
გ. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის დააწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.
დ. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა განიხილოს სარჩელი, ვინაიდან ეს მხოლოდ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს განსჯადი საკითხია.

№1-94.

ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნა და საქმიანობა არ არის აკრძალული?
ა. რომელიც ეწევა ომის და ძალადობის პროპაგანდას.
ბ. რომელიც ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.
გ. რომელიც აღვივებს ეროვნულ, კუთხურ ან რელიგიურ შუღლს.
დ. რომლის მიზანია ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

№1-95.

საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის მოსახლეობამ შექმნა პოლიტიკური გაერთიანება «ერთიანი ძლიერი საქართველო». გაერთიანების წესდებაში ჩაიწერა, რომ გაერთიანების მიზანია საქართველოს იმ საზღვრებში აღდგენა, რომლებშიც იგი 1918-1921 წწ. იმყოფებოდა, ამ მიზნის მისაღწევად, გაერთიანების წესდება არ გამორიცხავს შეიარაღებული ჯგუფების შექმნის აუცილებლობას. წესდება და სხვა საჭირო დოკუმენტები საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის. იუსტიციის სამინისტრომ უარი უთხრა რეგისტრაციაზე.
რამდენად სწორია იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება.?
ა. სწორია, ვინაიდან პოლიტიკური პარტიებისა და სხვა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო.
ბ. სწორია, ვინაიდან დაუშვებელია პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა
გ. არასწორია, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ყოველი ქართველის მიზანი უნდა იყოს.
დ. არასწორია, ვინაიდან განაცხადის შეტანის დროისათვის გაერთიანებას ჯერ არ ჰყავდა შექმნილი შეიარაღებული ჯგუფი.

№1-96.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვინ უნდა შეწყვიტოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრობა?
ა. საქართველოს პარლამენტის წევრმა.
ბ. საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში მყოფმა პირმა.
გ. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლემ.

დ. საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელმა.

№1-97.

ერთ-ერთი რაიონის გამგებლის წინადადებით, ამავე რაიონის საკრებულომ დაადგინა, რომ დაუშვებელია პროფესიული კავშირების საქმიანობა გამგეობის აპარატში. საკრებულოს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, გამგებელმა ჯერ შეაჩერა, შემდეგ კი აკრძალა პროფკავშირების საქმიანობა გამგეობაში. შეაფასეთ გამგეობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებები:

ა. გადაწყვეტილებები არ არის სწორი. საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

ბ. გადაწყვეტილებები არ არის სწორი. პროფკავშირების საქმიანობის შეჩერება აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში შეიძლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის აქტით.

გ. გადაწყვეტილება სწორია. თანამედროვე პირობებში პროფკავშირების საქმიანობა ხელს უშლის გამგეობის გამართულ საქმიანობას.

დ. გადაწყვეტილება სწორია. პროფკავშირები პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებენ, რაც არ უნდა ხდებოდეს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში.

№1-98.

შეიძლება თუ არა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა?

ა. შეიძლება, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

ბ. საერთოდ არ დაიშვება.

გ. შეიძლება, მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

დ. შეიძლება, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონსტიტუციური კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

№1-99.

სასამართლოს განცხადებით მიმართა საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა საქართველოს მოქალაქემ. განცხადებაში ის მიუთითებდა, რომ სურვილი ჰქონდა მიეღო მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის შეტანაზე. რა მოტივით შეეძლო საარჩევნო კომისიას უარი ეთქვა ამ პიროვნებისათვის?

ა. ეს მოქალაქე ალბათ 18 წლის არ იყო.

ბ. ეს მოქალაქე ალბათ 65 წელს გადაცილებული ასაკის იყო.

გ. ეს პიროვნება ალბათ პოლიციის თანამშრომელი იყო.

დ. ეს მოქალაქე ალბათ დიპლომატი იყო.

№1-100.

ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელი არ წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას გამწესებისთანავე (დანიშვნისთანავე)?

ა. მოსამართლე.

ბ. პროკურორი.

გ. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი.

დ. სამხედრო ძალების ოფიცერი.

№1-101.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ:
ა)პარლამენტის წევრები;
ბ) საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები;
გ) პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრები;
დ) იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარის მიერ დანიშნული წევრები.

№1-102.

ვის ეკისრება პასუხისმგებლობა საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინების უზრუნველყოფისთვის?
ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.
ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (საკრებულოებს).
გ. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს (გამგეობებს).
დ. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

№1-103.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია არასწორი:
ა. დაუშვებელია სამხედრო ძალების ოფიცერთა მიერ მანიფესტაციის ჩატარება რესპუბლიკის მოედანზე.
ბ. თუ სტუდენტებს სურთ საპროტესტო აქციის ჩატარება რესპუბლიკის მოედანზე, მათ ამის შესახებ უნდა გააფრთხილონ შესაბამისი ორგანოები.
გ. სტუდენტების შეკრება უნდა ჩატარდეს ხელისუფლებისადმი მათ მიერ გაგზავნილ გაფრთხილებაში მითითებულ ადგილზე.
დ. თუ სტუდენტებს განზრახული აქვთ შეკრება ტრანსპორტის სამოძრაო ადგილზე (რესპუბლიკის მოედანზე) ჩაატარონ, მათ ამის შესახებ უნდა გააფრთხილონ ხელისუფლება და დაელოდონ მის ნებართვას.

№1-104.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვინ თავმჯდომარეობს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს?
ა) საქართველოს პრეზიდენტი;
ბ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირი;
გ) საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

№1-105.

ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელს აქვს არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება?
ა. მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ სცნო.
ბ. მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.
გ. მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკამდე.
დ. საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან

№1-106.

საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები. ერთ-ერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიების ფორმირების დროს გაითვალისწინა სასამართლოს განაჩენის საფუძველზე სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი ყველა პირი. სწორია თუ არა საარჩევნო კომისიის ეს მოქმედება?

ა. არ არის სწორი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ მოქალაქეს. რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.
ბ. სწორია. ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა.
გ. სწორია. საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.
დ. არ არის სწორი. საარჩევნო სიების ფორმირებაზე პასუხისმგებელია არა საოლქო, არამედ საუბნო საარჩევნო კომისია.

№1-107.

საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის მერმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც აიკრძალა კერძო ფირმების მონაწილეობა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაში. ამავე განკარგულებაში ჩამოთვლილი იყო ის სავარაუდო ობიექტები, რომელთა მშენებლობა იგეგმებოდა ამ ქალაქში. თქვენი აზრით:
ა. განკარგულება შეესაბამება კონსტიტუციას, სახელმწიფო ობიექტები უნდა ააშენონ მხოლოდ სახელმწიფო სამშენებლო ფირმებმა.
ბ. განკარგულება კანონიერია, ვინაიდან ეხება მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს.
გ. მერის გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია, რადგან მის საფუძველზე ხორციელდება სახელმწიფოს მონოპოლია, რომლის ცალკეული შემთხვევების გათვალისწინება დასაშვებია მხოლოდ კანონით.
დ. ქალაქის მერს აქვს ნორმატიული ხასიათის განკარგულების მიღების უფლება ყველა ადგილობრივი საკითხის გამო.

№1-108.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია:
ა. 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით
ბ. 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში არჩევნებში კომუნისტური პარტიის დამარცხების დროისათვის არსებული მდგომარეობით.
გ. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის არსებული მდგომარეობით.
დ. 1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს კონსტიტუციის მიღების დროისათვის არსებული მდგომარეობით.

№1-109.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ორპალატიანი იქნება:
ა. 2008 წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.
ბ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი საკანონმდებლო პირობების შექმნის შემდეგ.
გ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ.
დ. ასეთი რამ საქარველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის.

№1-110.

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების მთავარმა კომიტეტმა დაადგინა საარსებო მინიმუმი. ამ დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო მოხელეთა ერთმა ჯგუფმა მიმართა სასამართლოს მათი ხელფასის საარსებო მინიმუმამდე გაზრდის მოთხოვნით.
თქვენ რომ მოსამართლე იყოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით?
ა. დავაკმაყოფილებდი სარჩელს თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე.
ბ. არ მივიღებდი სარჩელს განსახილველად, ვინაიდან იგი გაერთიანებული პროფკავშირების მთავარ კომიტეტს უნდა შემოეტანა.
გ. არ დავაკმაყოფილებდი სარჩელს, ვინაიდან საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობებს განსაზღვრავს კანონი.
დ. არ დავაკმაყოფილებდი სარჩელს, ვინაიდან სასამართლოს ამგვარ გადაწყვეტილებას მოჰყვებოდა საქართველოს სახელმწიფოს გაკოტრება.

№1-111.

მოწმის სახით დასაკითხად გამოძახებულმა ეჭვმიტანილის მეუღლემ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. გამომძიებელმა სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის საფუძველზე, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ეჭვმიტანილის მეუღლის წინააღმდეგ დადგენილი წესით აღძრა სისხლის სამართლებრივი დევნა.
სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?
ა. სწორია. როგორც გაირკვა, საქმე ეხებოდა მძიმე დანაშაულს, რომლის გახსნასაც დიდად შეუწყობდა ხელს ეჭმიტანილის მეუღლის ჩვენება.
ბ. სწორია. მეუღლე არ მიეკუთვნება პირთა იმ წრეს, ვისაც შეუძლია უარი თქვას ჩვენების მიცემაზე.
გ. არ არის სწორი. გამომძიებელს ეჭვმიტანილის მეუღლის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაეწყო არა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, არამედ დანაშაულის დაფარვისათვის.
დ. არ არის სწორი. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება.

№1-112.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც შესაბამისი სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებს აეკრძალა რუსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეთა მიერ «ეროვნული უმცირესობების მხარდამჭერი ფონდის» წესდების რეგისტრაცია. ფონდის დამფუძნებლებმა მოგმართეს დახმარებისათვის. რას ურჩევდით?
ა. ვურჩევ მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს. მას შეუძლია გააუქმოს მინისტრის ეს ბრძანება.
ბ. მინისტრის ბრძანება საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურება, იგი არ შეიძლება უკანონო იყოს, ამიტომ არ უნდა გასაჩივრდეს.
გ. საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული კუთვნილებისა. ამიტომ, მინისტრის ბრძანება არაკონსტიტუციურია. ვურჩევ, მიმართოს სასამართლოს.
დ. ვურჩევ მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს, მას უფლება აქვს გააუქმოს მინისტრის ბრძანება.

№1-113.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

ბ. ქორწინება ემყარება მეუღლეთა მხოლოდ ქონებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
გ. ქორწინება ემყარება მეუღლეთა მხოლოდ წოდებრივ თანასწორობას.
დ. ქორწინება ემყარება მხოლოდ მეუღლეთა სქესობრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

№1-114.

უდანაშაულობის დასადგენად გამომძიებელმა მოსთხოვა ეჭვმიტანილს წარმოედგინა სულ ცოტა სამი მოწმის წერილობითი ცნობა იმის თაობაზე, რომ დანაშაულის (ქურდობა) ჩადენის მომენტში ეჭვმიტანილი არ იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე. მიეცით შეფასება გამომძიებლის მოქმედებას:
ა. გამომძიებლის მოქმედება სწორია, ვინაიდან გამოძიებას დღეს არა აქვს მატერიალური შესაძლებლობა გამოავლინოს ყველა მოწმე, დაკითხოს ისინი და ჩვენებები წერილობით გააფორმოს.
ბ. გამომძიებლის მოქმედება არასწორია, ვინაიდან სამი მოწმის ჩვენება არ არის საკმარისი, ეჭვმიტანილმა უნდა წარმოადგინოს სულ ცოტა ხუთი მოწმის წერილობითი ცნობა.
გ. გამომძიებლის მოქმედება არასწორია, ვინაიდან მას უნდა დაევალებინა ეჭვმიტანილისათვის პირადად მოეყვანა 3 მოწმე, რათა დაკითხვა გამომძიებელს ჩაეტარებინა.
დ. გამომძიებლის მოქმედება არასწორია, რადგან არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

№1-115.

ესპანეთის ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც საქართველოს ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელე იოსებ გ-ძე, თითქოსდა, მხილებული იქნა კორუფციული დანაშაულის ჩადენაში. სტატიის გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს, იოსებ გ-ძე გათავისუფლებული იქნა საქართველოში დაკავებული თანამდებობიდან სტატიაში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე, როგორც დამნაშავე პირი. იოსებ გ-ძემ მიმართა ადვოკატს.
ადვოკატის რომელი რჩევა იქნება სწორი?
ა. იოსებ გ-ძემ უნდა მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების გარკვევის შემდეგ თავისი ბრძანებით თანამდეობობაზე აღადგენს იოსებ გ-ძეს და დისციპლინურ სასჯელს დაადებს გამომძიებელს.
ბ. იოსებ გ-ძემ უნდა მიმართოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების გარკვევის შემდეგ გაიტანს საკითხს პლენარულ სხდომაზე. დამსწრე დეპუტატთა უმრავლესობით იოსებ გ-ძე აღდგენილი იქნება ძველ თანამდებობაზე.
გ. იოსებ გ-ძემ უნდა მიმართოს სასამართლოს, ვინაიდან მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ ითვლება ადამიანი დამნაშავედ. სასამართლომ უნდა აღადგინოს იოსებ გ-ძე თავის თანამდებობაზე.
დ. არც ერთი ინსტანცია არ დაუჭერს მხარს იოსებ გ-ძეს, ვინაიდან გაზეთში მოყვანილია საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებულებანი. ამის გათვალისწინებით ვურჩევ არ გაამწვავოს ვითარება.

№1-116.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელს აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება?

ა) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს;
ბ) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მესამედს;
გ) მთავრობის წევრს – მინისტრს;
დ) კონტროლის პალატის თავმჯდომარეს;

№1-117.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად რა არის ის ძირითადი მიზანი, რომლის გამო საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს კანონში გათვალისწინებულია საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი?

ა. საქართველოს სახალხო დამცველმა უნდა გააუქმოს ის საკანონმდებლო აქტები, რომელთა შინაარსი საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაშია.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველი მოწოდებულია უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების გამართული მუშაობა.
გ. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ზედამხედველობა
დ. საქართველოს სასამართლოების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

№1-118.

საქართველოს მოქალაქემ პეტრე მ-ძემ მიმართა სასამართლოს. სარჩელში მან აღნიშნა, რომ მისი მეზობელი პავლე პ-ლი როგორც შემდგომში აღმოჩნდა უკანონოდ იქნა დაკავებული პოლიციის მიერ. 64 საათის განმავლობაში იგი იმყოფებოდა წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში, რის შემდეგ განთავისუფლდა. დაკავების შედეგად პავლე პ-ლმა განიცადა მატერიალური ზარალი, ვინაიდან შეილახა მისი საქმიანი რეპუტაცია. პეტრე მ-ძეს არ შეუძლია გულგრილი იყოს კანონის აშკარა დარღვევის მიმართ, ამიტომ მოითხოვს თავისი მეზობლის სასარგებლოდ ფულად კომპენსაციას. სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელი იქნება სწორი?

ა. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პავლე პ-მა ნამდვილად განიცადა მატერიალური ზარალი, მან უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან უკანონოდ დაკავებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.
ბ. სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი ვინაიდან დაკავების ვადა არ აღემატებოდა კონსტიტუციით დადგენილს.
გ. სასამართლომ არ უნდა განიხილოს სარჩელი, ვინაიდან იგი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია.
დ. მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობისა, სასამართლომ არ უნდა განიხილოს პეტრე მ-ძის სარჩელი, ვინაიდან მას მხოლოდ თავისი და არა სხვისი, თუნდაც კარგი მეზობლის, უფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

№1-119.

1996 წლის თებერვალში დამნაშავეთა სამკაციანმა ჯგუფმა ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე. მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედებმა არ მიიღეს მათ მიერ დადგენილი გამოსასყიდი, 1996 წლის სექტემბერში განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს გატაცებული. 2011წლის მაისში დამნაშავენი დაკავებული იქნენ და წარსდგნენ უზენაესი სასამართლოს წინაშე. გაითვალისწინა რა დანაშაულის განსაკუთრებით მძიმე ხასიათი, საზოგადოებრივი აზრი, დანაშაულის ჩადენის დრო, სასამართლომ სამივე დამნაშავეს შეუფარდა სასჯელის განსაკუთრებული ზომა - სიკვდილით დასჯა. როგორ შეაფასებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას?

ა. გადაწყვეტილება სწორია. დანაშაული ჩადენილია 1996 წლის თებერვალში, ე.ი. იმ დროს, როდესაც ამგვარი დანაშაულის ჩადენისათვის გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა.

ბ. გადაწყვეტილება არ არის სწორი. საქმე საპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა.

გ. გადაწყვეტილება სწორია. ადამიანის მკვლელობა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია, მეტადრე თუ ადამიანის გატაცებასთან არის დაკავშირებული.

დ. გადაწყვეტილება არ არის სწორი, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

№1-120.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, ქვემოთჩამოთვლილიდან რომელი არ შეადგენს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ძირითად მიმართულებას (ფუნქციას)?

ა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ზედამხედველობა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემასთან დაკავშირებით;

ბ. საჯარო დაწესებულებათა ზედამხედველობა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემასთან დაკავშირებით;

გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზედამხედველობა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემასთან დაკავშირებით;

დ. თანამდებობის პირთა ზედამხედველობა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემასთან დაკავშირებით;

№1-121.

«საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ქვემოთჩამოთვლილიდან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს შემოწმების ჩატარებისას დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში;

ბ. საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს შემოწმების ჩატარებისას მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში;

გ. საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს შემოწმების ჩატარებისას მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში;

დ. არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-122.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია სწორი?
ა. საქართველოს სახალხო დამცველად აირჩევა საქართველოს მოქალაქე.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველად აირჩევა უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.
გ. საქართველოს სახალხო დამცველად აირჩევა უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან.
დ. საქართველოს სახალხო დამცველად დაინიშნება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან.

№1-123.
«საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ქვემოთჩამოთვლილთაგან ვის შეუძლია წარადგინოს გასამწესებლად საქართველოს სახალხო დამცველის კანდიდატურა?
ა. საქართველოს 200000 ამომრჩეველს.
ბ. საქართველოს საპარლამენტო ფრაქციას
გ. საქართველოს მთავრობას
დ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

№1-124.
«საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ქვემოთჩამოთვლილთაგან ვის შეუძლია წარადგინოს გასამწესებლად საქართველოს სახალხო დამცველის კანდიდატურა?
ა. საქართველოს პრეზიდენტს.
ბ. საქართველოს გენერალურ პროკურორს.
გ. საქართველოს არასამთავრობო ორგანოზაციათა საბჭოს.
დ. საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიას.

№1-125.
რა ვადით არის გამწესებული თანამდებობაზე საქართველოს სახალხო დამცველი?
ა. 5 წლის ვადით.
ბ. 3 წლის ვადით.
გ. 4 წლის ვადით.
დ. 2 წლის ვადით

№1-126.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია სწორი?
ა. საქართველოს სახალხო დამცველს 3 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველს 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი
გ. საქართველოს სახალხო დამცველს 5 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს სახალხო დამცველს 5 წლის ვადით ირჩევენ საქართველოს ამომრჩევლები.

№1-127.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია სწორი?
ა. საქართველოს სახალხო დამცველს სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი და სრული შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს სახალხო დამცველს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
დ. საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

№1-128.

(ახალი რედაქციიდან) **საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა არის სწორი?**
ა.საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა;
ბ. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა;
გ. მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა;
დ. არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-129.

(ახალი რედაქციიდან) **საქართველოს მოქალაქეს, ადვოკატმა მისცა კონსულტაცია იმის თაობაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ მან მიიღო შეთავაზება საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით იგი ვერ დაიკავებდა აღნიშნულ თანამდებობას, რადგან იმავდროულად იყო რუსეთის მოქალაქე. შეაფასეთ ადვოკატის კონსულტაცია მისი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.**
ა. ადვოკატის კონსულტაცია არასწორია, რადგან საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
ბ. ადვოკატის კონსულტაცია არასწორია, რადგან საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, ნებისმიერ შემთხვევაში თუ მას უფლებამოსილი პირი ან ორგანო შესთავაზებს ამ თანამდებობას;
გ. ადვოკატის კონსულტაცია სწორია, რადგან საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა;
დ. ჩამოთვილთაგან არცერთი მსჯელობა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას.

№1-130.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ირჩევს:
ა) სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედით;
ბ) სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით;

გ) სრული შემადგენლობის სამი მეხუთედით;
დ) სრული შემადგენლობის ორი მესამედით;

№1-131.

ქვემოთჩამოთვლილ მსჯელობებიდან რომელია სწორი?

ა. საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებას.
ბ. საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას.
გ. საქართველოს პარლამენტის თანამდებობის პირები დებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.
დ. საქართველოს პარლამენტი ზედამხედველობს კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას საქართველოში.

№1-132.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთჩამოთვლილიდან რომელი ასახავს საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას (ფუნქციას)?

ა. საქართველოს პარლამენტი ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას.
ბ. საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.
გ. საქართველოს პარლამენტი წარმართავს საგარეო პოლიტიკას.
დ. საქართველოს პარლამენტი ასრულებს საქართველოს სახელმწიფოს კოლეგიალური მეთაურის ფუნქციებს.

№1-133.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს:

ა)საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს;
ბ) ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს, საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველობის თავთან მიმართებით;
გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს;
დ) თვითმმართველ ერთეულს საერთოდ არ აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება;

№1-134.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელი არ არის საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება /ფუნქცია/?

ა. სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის წარმართვა.
ბ. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წარმართვა.
გ. ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფა.
დ. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა.

№1-135.

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთჩამოთვლილიდან რომელი არ არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი?
ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრი.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
დ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

№1-136.
საქართველოს კონსტიტუციისა და ,,საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატა არის:
ა. კონსტიტუციური კონტროლის ორგანო.
ბ. სახელმწიფო ეკონომიკური ზედამხედველობის ორგანო.
გ. სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო.
დ. საქართველოს მთავარი ფისკალური აგენტი.

№1-137.
საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, რომელი არ არის საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიმართულება?
ა. სახელმწიფო მატერიალური რესურსების გამოყენების კანონიერების კონტროლი.
ბ. სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის შემუშავება.
გ. სახელმწიფო მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის კონტროლი.
დ. სახელმწიფო ფულადი რესურსების გამოყენების მიზნობრიობის კონტროლი.

№1-138.
«ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიულ აქტსა და რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის კოლიზიის შემთხვევაში, რომელს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა?
ა. რომელიც დროში უფრო გვიან არის მიღებული.
ბ. მათ თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ.
გ. ნორმატიული აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას.
დ. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ნორმატიულ აქტებს.

№1-139.
ვის წინაშეა ანგარიშვალდებული საქართველოს კონტროლის პალატა?
ა. საქართველოს პარლამენტის წინაშე.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
გ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე.
დ. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

№1-140.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს:

ა. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
გ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
დ. პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

№1-141.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ:
ა. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1 „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად.
ბ. საქართველოს პროკურატურის აქტის საფუძველზე.
გ. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად.
დ. საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

№1-142.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს:
ა) ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის თანხმობით;
ბ) ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით;
გ) ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით;
დ) საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

№1-143.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს:
ა) საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;
ბ) სამ მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ მოსამართლეს სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, სამ მოსამართლეს გაამწესებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
გ) საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით;
დ) საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით;

№1-144.

«რეფერენდუმის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, როგორი სამართლებრივი შედეგი უნდა მოჰყვეს რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას?
ა. საქართველოში დაშვებულია მხოლოდ საკონსულტაციო რეფერენდუმების ჩატარება, რომელთაც იურიდიული შედეგი არ მოჰყვება.

ბ. თუ რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა და სარეფერენდუმო საკითხი (საკითხები) საქართველოს პრეზიდენტს ან საქართველოს პარლამენტს ეკუთვნის და ამ ინიციატივას ამომრჩეველთა დადგენილმა რაოდენობამ მხარი არ დაუჭირა, რეფერენდუმის ინიციატორი უნდა გადადგეს.
გ. რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.
დ. რეფერენდუმის შედეგები უნდა დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა.

№1-145.

შეიძლება თუ არა და, თუ შეიძლება, პირველ რიგში, სად, რეფერენდუმის ჩატარების ან მისი შედეგების გასაჩივრება?

ა. თუ რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილებით იზღუდება ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები - -ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.
ბ. რეფერენდუმი არის ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, ამიტომ რეფერენდუმის შედეგი საბოლოოა და მისი შედეგების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.
გ. რეფერენდუმის შედეგების გადასინჯვა შეუძლიათ საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ერთობლივი აქტით.
დ. რეფერენდუმის ჩატარება ან მისი შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

№1-146.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან:

ა) არანაკლებ 10 წლის ვადით;
ბ) 10 წლის ვადით;
გ) უვადოდ;
დ) საქართველოს პარლამენტის ვადით;

№1-147.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით პროპორციული სისტემით არჩეული რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს პარლამენტი?

ა. 85.
ბ. 100.
გ. 75.
დ. 50.

№1-148.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მაჟორიტარული სისტემით არჩეული რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს პარლამენტი?

ა. 50.
ბ. 150.
გ. 75.
დ. 100.

№1-149.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს პარლამენტი?

ა. 150.
ბ. 100.

გ. 235.
დ. 50.

№1-150.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:

ა. დაუშვებელია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება თუკი მას არ ესწრება შეტყობინებაზე ხელმომწერი პასუხისმგებელი პირები.

ბ. დაუშვებელია შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ.

გ. დაუშვებელია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება არასრულწლოვანი პირების მონაწილეობით.

დ. დაუშვებელია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება შეტყობინებაში მითითებული სვლა-გეზის შეცვლით.

№1-151.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა განსხვავებაა საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებს შორის?

ა. კომიტეტი იქმნება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, კომისია - დროებითია

ბ. კომიტეტის შემადგენლობაში მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლებია, კომისიებში - მხოლოდ ოპოზიციის.

გ. კომისია მხოლოდ კანონპროექტების მომზადებისათვის იქმნება, ხოლო კომიტეტი მხოლოდ საიმპიჩმენტო საკითხების მოსამზადებლად..

დ. კომიტეტის შემადგენლობაში მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლებია, კომისიაში უმრავლესობა შეადგენს 20 პროცენტს, დანარჩენი ოპოზიციის წარმომადგენელია.

№1-152.

საქართველოს პარლამენტში შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა კორუფციის ფაქტები ეკონომიკის ერთ-ერთ სფეროში. კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე გამოიძახა ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო საწარმოს ხელმძღვანელი და იმავდროულად გამოითხოვა ამ საწარმოს მიერ უცხოურ ფირმებთან დადებული ყველა კონტრაქტი. თქვენ რომ იყოთ საწარმოს ხელმძღვანელი, როგორ უპასუხებდით ამ მოთხოვნებს?

ა. გავაგზავნიდი საწარმოს იურისტს, მოთხოვნილ კონტრაქტებიდან მხოლოდ იმას გავატანდი, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ან კერძო ფირმებთან არის დადებული.

ბ. საქართველოს პარლამენტში რა თქმა უნდა გამოვცხადდები, მაგრამ მოთხოვნილ კონტრაქტებს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატას ვაჩვენებდი.

გ. კომისიის სხდომაზეც გამოვცხადდებოდი და ყველა მოთხოვნილ კონტრაქტსაც წარვადგენდი, ვინაიდან დასამალი არაფერი მაქვს. გარდა ამისა, დროებითი კომისია კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოა, მისი მოთხოვნის შესრულება და საკითხის გამოკვლევისათვის აუცილბელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

დ. სხდომაზე რა თქმა უნდა გამოვცხადდები, მაგრამ კონტრაქტებს მხოლოდ პარლამენტის წერილობითი მოთხოვნის საფიძველზე წარვადგენ.

№1-153.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა ვადით არიან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრები?

ა. 4 წლის ვადით.
ბ. 18-დან 24 წლამდე ასაკის დეპუტატები - 6 წლის ვადით, დანარჩენები - 5 წლის ვადით.
გ. პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატები - 4 წლის ვადით, მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატები - 5 წლის ვადით.
დ. 5 წლის ვადით.

№1-154.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რით განისაზღვრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი?

ა) უზენაესი მოსამართლეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა საერთოდ დაუშვებელია;
ბ) ორგანული კანონით;
გ) საქართველოს კანონით;
დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

№1-155.

საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, რა შემთხვევაში შეიძლება საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება?

ა. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.
ბ. თუ არსებობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წინასწარი თანხმობა.
გ. დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში.
დ. იმ შემთხვევაში, თუ არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანხმობა.

№1-156.

საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, რა შემთხვევაში შეიძლება საქართველოს პარლამენტის წევრის დაპატიმრება?

ა. თუ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობა.
ბ. თუ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანება.
გ. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.
დ. დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში.

№1-157.

საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება:

ა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 15 დღისა.
ბ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 15 დღისა.
გ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.
დ. პარლამენტის წინა არჩევნებიდან მეოთხე წლის აპრილის პირველ კვირა დღეს.

№1-158.

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს:

ა. არჩევნებიდან მესამე კვირა დღეს.
ბ. არჩევნების შედეგის გამოცხადებიდან 21-ე დღეს.
გ. არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში.
დ. არჩევნების შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.

№1-159.

პირველ რიგში, სად უნდა გასაჩივრდეს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის გადაწყვეტილება?

ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
ბ. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
გ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
დ. საქართველოს პრეზიდენტთან.

№1-160.

პირველ რიგში, სად უნდა გასაჩივრდეს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება?

ა. საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
გ. საქართველოს გენერალურ პროკურორთან.
დ. საქართველოს სახალხო დამცველთან.

№1-161.

ვინ წყვეტს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს?

ა. მაჟორიტარული სისტემით არჩეულის - ერთ-ერთი საოლქო საარჩევნო კომისია, პროპორციული სისტემით არჩეულის - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველი.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
დ. საქართველოს პარლამენტი.

№1-162.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია არასწორი?

ა. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება პირადი განცხადების საფუძველზე.
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება გარდაცვალების შემთხვევაში.
გ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.
დ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

№1-163.

ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში მოწმის სახით გამოძახებულმა პარლამენტის ყოფილმა წევრმა ჩვენება არ მისცა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მას გაანდეს პარლამენტის წევრად ყოფნის დროს, როგორც პარლამენტის წევრს. მოსამართლემ ყოფილი დეპუტატი ამის გამო პასუხისგებაში მისცა. შეაფასეთ მოსამართლის ეს გადაწყვეტილება:

ა. მოსამართლემ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. მართლმსაჯულების ხელისშეწყობა საქართველოს ყველა მოქალაქის მოვალეობაა.
ბ. მოსამართლემ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. რაიონულ სასამართლოს პარლამენტის თუნდაც ყოფილი წევრის პასუხისგებაში მიცემის უფლება არ აქვს. ეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

გ. მოსამართლემ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვისი უფლებები.
დ. მოსამართლემ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. პარლამენტის ყოფილ წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს.

№1-164.

ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია არასწორი?

ა. საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული წესით არჩეულ წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ ამას წერილობით მოითხოვენ მისი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები.
ბ. არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;
გ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ იგი გარდაიცვალა.
დ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება პირადი განცხადების საფუძველზე.

№1-165.

ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია არასწორი?

ა. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ.
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ არასაპატიო მიზეზით სამი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში.
გ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას ეწევა.
დ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ სასამართლომ იგი გარდაცვლილად ცნო.

№1-166.

ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია არასწორი?

ა. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ სასამართლომ იგი ქმედუუნაროდ ცნო.
გ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე დადგენილი გადაწყვეტილებით დააკისრა პარლამენტის წევრს კრედიტორისათვის 1500 ლარის გადახდა.
დ. საქრთველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ სასამართლომ იგი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნო.

№1-167.

ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია არასწორი?

ა. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ საპენსიო ასაკს მიაღწია.
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.
გ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ სასამართლომ იგი ქმედუუნაროდ ცნო.

დ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი გარდაიცვალა.

№1-168.

ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია არასწორი?

ა. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ ოთხი თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში.

ბ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება 70 წლის ასაკის მიღწევისას.

გ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ სასამართლომ იგი ქმედუუნაროდ ცნო.

დ. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

№1-169.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვინ ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს?

ა. საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა საბჭო.

ბ. საქართველოს 200 000 ამომრჩეველი.

გ. მას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

დ. საქართველოს პარლამენტი.

№1-170.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები:

ა) პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე;

ბ) ანგარიშვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე;

გ) ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე;

დ) ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არიან უმაღლესი წარმომადგენლობითი რგანოს - პარლამენტის წინაშე;

№1-171.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა ვადით არის არჩეული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე?

ა. 5 წლის ვადით.

ბ. ერთი საპარლამენტო სესიის ვადით.

გ. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.

დ. ერთი საშემოდგომო და ერთი საგაზაფხულო ვადით.

№1-172.

რა ეწოდება საქართველოს პარლამენტის იმ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებათა შესრულების ხელისშეწყობას, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის განხორციელებას?

ა. საქართველოს პარლამენტის ბიურო.
ბ. საქართველოს პარლამენტის კომისია.
გ. საქართველოს პარლამენტის კომიტეტი.
დ. საქართველოს პარლამენტის უხუცესთა საბჭო.

№1-173.

ახლადარჩეული პარლამენტი მუშაობას შეუდგება:

ა. თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მეხუთედის უფლებამოსილება.
ბ. თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.
გ.თუ დადასტურებულია დეპუტატთა სრული შემადგენლობის ნახევარის უფლებამოსილება.
დ. თუ დადასტურებულია დეპუტატთა ერთი მესამედის უფლებამოსილება.

№1-174.

ერთ-ერთი ანტიკორუფციული კანონპროექტის განხილვისას, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის თავმჯდომარემ (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ) სხდომა დახურულად გამოაცხადა, რათა პარლამენტში აკრედიტებულ ჟურნალისტებისათვის არ გამხდარიყო ცნობილი ზოგიერთი საქართველოში გავრცელებული კორუფციული ქმედებისა და ამ ქმედებაში მონაწილე მაღალჩინოსანთა გვარები. ამ სხდომაზე მიღებული კანონის კონსტიტუციურობის შესახებ სარჩელი შეიტანა ერთ-ერთმა იმ მაღალჩინოსანთაგან, ვისზეც საუბარი იყო პლენარულ სხდომაზე და რომლის უწყების საქმიანობას უშუალოდ ეხებოდა ანტიკორუფციული კანონი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოთვლილ სავარაუდო გადაწყვეტილებებიდან რომელია სწორი?

ა. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, კანონი არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს, ვინაიდან დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის დახურულ სხდომაზე ნებისმიერი კანონის მიღება.
ბ. სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, კანონი მიღებულია კონსტიტუციით დადგენილი წესის დაცვით.
გ. სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ფიზიკურ პირს არა აქვს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის კონსტიტუციურობის შესახებ სარჩელი შეიტანოს.
დ. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, კანონი არაკონსტიტუციურია, ვინაიდან კონსტიტუციის მიხედვით პლენარული სხდომის თავმჯდომარეს ერთპიროვნულად არ შეუძლია სხდომა დახურულად გამოაცხადოს.

№1-175.

პარლამენტში საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიების შექმნა შეიძლება:

ა. მხოლოდ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
ბ. საერთოდ არ შეიძლება მათი შექმნა.
გ. დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით.
დ. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

№1-176.

რა შემთხვავაში არ შეიძლება შეუწყდეს პარლამენტის წევრს ვადამდე უფლებამოსილება?

ა. პირადი განცხადებით.

ბ. თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.
გ. თუ დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა.
დ. თუ არასაპატიო მიზეზით ერთი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში.

№1-177.

საპარლამენტო ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს:
ა. 10-ზე ნაკლები.
ბ. 9-ზე ნაკლები.
გ. 6-ზე ნაკლები.
დ. 8-ზე ნაკლები.

№1-178.

პარლამენტის წევრი სარგებლობს:
ა. თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.
ბ. იმპერატიული მანდატით და მისი გაწვევა დაშვებულია.
გ. ორივე მანდატით.
დ. თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაშვებულია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

№1-179.

ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან რომელი არ შედის პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში:
ა. პარლამენტის თავმჯდომარე.
ბ. თავმჯდომარის მოადგილეები.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეები.

№1-180.

პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება:
ა. პარლამენტის ბიურო.
ბ. პარლამენტის კოლეგია.
გ. საპარლამენტო ფრაქციები.
დ. პარლამენტის პრეზიდიუმი.

№1-181.

ვის მიერ შეიძლება განისაზღვროს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღი?
ა. რიგგარეშე არჩევნები საერთოდ არ ტარდება.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის მიერ.
გ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის მიერ.
დ. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭოს მიერ.

№1-182.

ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

ბ. საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
დ. საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

№1-183.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა ვადებში და ვინ ნიშნავს ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას?

ა. ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.
ბ. ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან ოცი დღის განმავლობაში. პირველის სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
გ. ნიშნავს საქართველოს პარლამენტის უხუცესთა საბჭო. პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან მეოცე დღეს.
დ. ნიშნავს საქართველოს პარლამენტის ბიურო. პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან ოცი დღის განმავლობაში.

№1-184.

შეიძლება თუ არა საჯარო სხდომის ნაცვლად ჩატარდეს საქართველოს პარლამენტის დახურული სხდომა?

ა. არ შეიძლება, ვინაიდან საქართველოს პარლამენტი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოა და მისი საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს.
ბ. შეიძლება, მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს, თუ სხდომის დახურვას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
გ. შეიძლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას.
დ. შეიძლება, ცალკეული საკითხების განხილვისას პარლამენტის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

№1-185.

რა წესით შეიძლება საქართველოს პარლამენტის სხდომა დახურულად გამოცხადდეს?

ა. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.
ბ. საქართველოს პარლამენტის პროცედურულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით.
გ. საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
დ. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.

№1-186.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ხმათა უბრალო უმრავლესობით სხდომაზე მოიწვია საქართველოს სახალხო დამცველი, მაგრამ იგი სხდომაზე არ გამოცხადდა.
შეაფასეთ მისი ქმედება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით:

ა. საქართველოს სახალხო დამცველი არ არის ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე, ამიტომ მისი ქმედება არ არის არაკონსტიტუციური.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველის ქმედება კონსტიტუციურია, ვინაიდან გადაწყვეტილება კომიტეტის სხდომაზე მისი გამოცხადების შესახებ უნდა მიღებულიყო ორი მესამედის უმრავლესობით.
გ. საქართველოს სახალხო დამცველი უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე, ვინაიდან არჩეულია პარლამენტის მიერ.
დ. საქართველოს სახალხო დამცველი თავისი მაღალი სტატუსიდან გამომდინარე უფლებამოსილია თავის ნაცვლად კომიტეტში გააგზავნოს მოადგილე.

№1-187.

საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტისა და ფინანსების კომიტეტმა დამსწრე წევრთა უმრავლესობით სხდომაზე მოიწვია საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. იგი არ გამოცხადდა სხდომაზე. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, შეაფასეთ ეს ქმედება:
ა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი მთავრობის განსაკუთრებული წევრია და მას უფლება აქვს არ გამოცხადდეს კომიტეტის სხდომაზე.
ბ. საქართველოს სახლმწიფო მინისტრი უნდა გამოცხადებულიყო კომიტეტის სხდომაზე, ვინაიდან იგი მთავრობის წევრია.
გ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვალდებულია გამოცხადდეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ხოლო კომიტეტის სხდომაზე გამოცხადება - მისი უფლებაა და არა მოვალეობა.
დ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე კომიტეტს შეუძლია სხდომაზე გამოიძახოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

№1-188.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მოთხოვნით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებულმა პოლიტიკურმა პარტიამ ,,რადიკალური მოძრაობა». პარტიის ლიდერმა, რომელიც იმდროისათვის მოქმედი პარლამენტის რიგითი წევრი იყო, ყველა საჭირო დოკუმენტებთან ერთად საარჩევნო კომისიას წარუდგინა 4999 მხარდამჭერის ხელმოწერილი განცხადება. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დაუშვა არჩევნებში პოლიტიკური პარტია ''რადიკალურ მოძრაობა" იმ მოტივით, რომ მას არა აქვს მხარდამჭერთა კონსტიტუციით დადგენილი რაოდენობის ხელმოწერა. თქვენი აზრით:
ა. გადაწყვეტილება არ არის სწორი, ვინაიდან „რადიკალურ მოძრაობას,, ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში, ამიტომ პარტია მხარდამჭერთა ხელმომწერების გარეშეც უნდა იყოს დაშვებული არჩევნებში მონაწილეობისათვის.
ბ. გადაწყვეტილება არ არის სწორი, ვინაიდან პარტიას სულ რაღაც ერთი ხელმოწერა დააკლდა და მისი ლიდერის ავტორიტეტის გათვალისწინებით გამონაკლისის სახით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარტია უნდა დაუშვას არჩევნებში მონაწილეობისათვის.
გ. გადაწყვეტილება სწორია, ვინაიდან კონსტიტუცია არავითარ გამონაკლისს ხელმომწერთა რაოდენობის განსაზღვრისას არავისთვის არ ადგენს.
დ. გადაწყვეტილება სწორია, ვინაიდან პოლიტიკური პარტია «რადიკალური მოძრაობა» თავის საქმიანობაში მოსახლეობის მცირე ნაწილის ინტერესებს წარმოადგენდა და მაინც ვერ გადალახავდა ე.წ. საარჩევნო ბარიერს.

№1-189.

საქართველოს ერთ-ერთმა არასაპარლამენტო პოლიტიკურმა პარტიამ მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატის გაწვევის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეაგროვა საქართველოს ამომრჩეველთა 155 000 ხელმოწერა. მაჟორიტარმა დეპუტატმა დახმარებისათვის მიმართა ადვოკატს.

ჩამოთვლილი რჩევიდან თქვენი აზრით რომელია სწორი?

ა. სქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმოწერების შეგროვებას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ხელმოწერები უნდა შეგროვილიყო მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქში, სადაც დეპუტატია არჩეული.

ბ. დეპუტატს ვერ შეუწყდება უფლებამოსილება, ვინაიდან პარლამენტის წევრის გაწვევისათვის უნდა შეგროვდეს სულ ცოტა 200 000 ამომრჩევლის ხელმოწერა.

გ. საქართველოს პარლამენტის წევრის გაწვევა საერთოდ დაუშვებელია, იგი თავისუფალი მანდატით სარგებლობს.

დ. დეპუტატს უფლებამოსილება არ შეუწყდება, ვინაიდან დეპუტატის გაწვევის საკითხის დაყენების უფლება არასაპარლამენტო პარტიას არა აქვს, ეს მხოლოდ პარლ.ამენტში მანდატების მქონე პარტიების პრეროგატივაა.

№1-190.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ერთ-ერთი რაიონული სასამართლოს თანხმობით ორი დღით ადრე ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს პროპორციული წესით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი. პოლიტიკურმა პარტიამ, რომლის სიითაც არჩეული იყო დაკავებული დეპუტატი, შესაბამისი სარჩელით მისი გათავისუფლება მოსთხოვა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელი იქნება სწორი?

ა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ უნდა განიხილოს საჩივარი, ვინაიდან ეს საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია.

ბ. ვინაიდან დაკავებულია საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საჩივარი საქართველოს პრეზიდენტთან ერთად უნდა გადაწყვიტოს.

გ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ უნდა მიიღოს განსახილველად პოლიტიკური პარტიის საჩივარი, ვინაიდან სააპელაციო წესით იგი ჯერ სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს.

დ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს დაკავებული დეპუტატი, ვინაიდან მისი დაკავება ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით.

№1-191.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის სურვილით მიმართა არჩევნებამდე ორი თვით ადრე შექმნილმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ «საქართველოს ხალხი მშვიდობისა და გამარჯვებისათვის». გაერთიანების ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს ერთმა მილიონმა ამომრჩეველმა, რაც დადასტურებულია მათი ხელმოწერებით. ასეთი დიდი მხარდაჭერის გამო, გაერთიანების ლიდერებმა არ ჩათვალეს საჭიროდ რეგისტრაციის გავლა. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პროპორციული სისტემით მომავალ არჩევნებში აღნიშნულ გაერთიანებას მონაწილეობის უფლება არ მისცა იმ მოტივით, რომ იგი რეგისტრირებული არ არის საქართველოს უზენაეს სასამართლოში. თქვენი აზრით სწორია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?

ა. სწორია, ვინაიდან არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანების მონაწილეობისათვის იგი აუცილებლად უნდა იყოს სადმე რეგისტრირებული.
ბ. არ არის სწორი, ვინაიდან პოლიტიკური გაერთიანება რომელსაც ხელმოწერებით მხარს უჭერს ერთი მილიონი ამომრჩეველი მაინც, თავისუფლდება რეგისტრაციიდან.
გ. სწორია, ვინაიდან ასეთი დიდი მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური გაერთიანება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მმართველ ძალებს.
დ. გადაწყვეტილება სწორია, მაგრამ დასაბუთებაა არასწორი, ვინაიდან არჩევნებში მონაწილეობისათვის მოქალაქეთა პოლტიკური გაერთიანება ნამდვილად უნდა იყოს რეგისტრირებული, მაგრამ არა უზენაეს სასამართლოში, არამედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

№1-192.

საარჩევნო კომისიას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მონაწილეობის განცხადებით, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს 560 ამომრჩეველი, მიმართა მოქმედი პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა. საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ არ იყო წარმოდგენილი ხელმოწერების კონსტიტუციით დადგენილი რაოდენობა. კანდიდატობის პრეტენდენტმა გაასაჩივრა საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება.
თქვენ რომ უფლებამოსილი იყოთ, როგორ გადაწყვეტდით ამ საჩივარს?
ა. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას ძალაში დავტოვებდი, ვინაიდან კონსტიტუცია მოითხოვს 1000 ხელმოწერას მაინც.
ბ. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას გავაუქმებდი, ვინაიდან კანდიდატობის პრეტენდენტი მოქმედი (ბოლო არჩევნების) პარლამენტის წევრია.
გ. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
დ. საჩივარს არ განვიხილავდი, ვინაიდან ეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა.

№1-193.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია სწორი?
ა. საქართველოს პარლამენტის პროპორციული სისტემით არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებათა შორის, რომლებმაც მიიღეს მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტი მაინც და იმ საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებმაც მიიღეს მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტი მაინც.
ბ. საქართველოს პარლამენტის პროპორციული სისტემით არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პარტიებსა და ბლოკებს შორის, რომლებმაც მიიღეს მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 6 პროცენტი მაინც.
გ. საქართველოს პარლამენტის პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტი მაინც.
დ. საქართველოს პარლამენტის პროპორციული სისტემით არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმათა 7 პროცენტს მაინც.

№1-194.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა შემოსული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე და რაიონული სასამართლოს ბრძანების საფუძველზე განახორციელეს მაჟორიტარული წესით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ბინის ჩხრეკა. ბინიდან ამოღებული მასალა გამოძიებამ და შემდგომ რაიონულმა სასამართლომ გამოიყენეს დეპუტატის ბრალეულობის დასამტკიცებლად.

ჰქონდა თუ არა ადგილი კონსტიტუციური ნორმების დარღვევას პოლიციისა და რაიონული სასამართლოს ქმედებებში?

ა. ჰქონდა. რადგან როცა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრს ეხება საქმე, პირდაპირ საქართველოს უზენაეს სასამართლოში უნდა გადაეცეს.

ბ. არ ჰქონდა. ყველაფერი განხორციელდა პოლიციისა და სასამართლოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

გ. ჰქონდა. დაუშვებელია პარლამენტის წევრის ან მისი ბინის ჩხრეკა პარლამენტის თანხმობის გარეშე

დ. არ ჰქონდა. გენერალური პროკურორიც საქმის კურსში იყო.

№1-195.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება (ფუნქცია)?

ა. პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

ბ. პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას.

გ. კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას.

დ. პარლამენტი წარმართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

№1-196.

რომელი საფუძვლის არსებობისას შეუძლია საქართველოს პარლამენტს დაიწყოს საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა?

ა. სახელმწიფოს ღალატის ჩადენის შემთხვევაში.

ბ. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში.

გ. თუ არსებობს პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნის ეროვნული უშიშროების საბჭოს დადგენილება.

დ. თუ არსებობს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე.

№1-197.

როგორ ნაწილდება პარლამენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრები?

ა. სახსრებს ანაწილებს საქართველოს პარლამენტის ბიურო.

ბ. სახსრებს ანაწილებს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

გ. სახსრებს ანაწილებს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი.

დ. სახსრებს ანაწილებს საქართველოს პარლამენტი.

№1-198.

ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?

ა. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ოთხჯერ;
ბ. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში სამჯერ;
გ. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე შეუზღუდავად;
დ. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ.

№1-199.

საქართველოს პრეზიდენტი იწვევს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიას ან რიგგარეშე სხდომას:
ა. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ინიციატივით.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით.
დ. საქართველოს არასაპარლამენტო პარტიათა საბჭოს მოთხოვნით.

№1-200.

საქართველოს პრეზიდენტი იწვევს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიას ან რიგგარეშე სხდომას:
ა. საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით.
ბ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით.
გ. საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით.
დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა ინიციატივით.

№1-201.

საქართველოს პრეზიდენტი იწვევს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიას ან რიგგარეშე სხდომას:
ა. საქართველოს პარლამენტის ბიუროს ინიციატივით.
ბ. საკუთარი ინიციატივით.
გ. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, თუ იგი შეთანხმებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან.
დ. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, თუ მას წერილობით მხარი დაუჭირა საქართველოს სახალხო დამცველმა.

№1-202.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვის წესი განისაზღვრება:
ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვა საერთოდ არ დაიშვება;
ბ) კონსტიტუციური კანონით;
გ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
დ) ორგანული კანონით;

№1-203.

დანაშაულის ჩადენის ბრალდებით საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა აღძრა იმპიჩმენტის პროცედურა მთავრობის ერთ-ერთი წევრის მიმართ. ვის უნდა გადაეცეს დასკვნისათვის ეს საკითხი?
ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.
ბ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
გ. საქართველოს გენერალურ პროკურორს.

დ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.

№1-204.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:

ა. აკრძალულია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება საქართველოს პარლამენტის შენობის შესასვლელიდან 15 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე;

ბ. აკრძალულია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება საქართველოს პარლამენტის შენობის შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე;

გ. აკრძალულია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება საქართველოს პარლამენტის შენობის შესასვლელიდან 30 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე;

დ. კანონმდებლობით აღნიშნულთან დაკავშირებით შეზღუდვა აღარ არსებობს.

№1-205.

კონსტიტუციის დარღვევის ბრალდებით საქართველოს პარლამენტმა სრული შემადგენლობის ორმოცი პროცენტით აღძრა იმპიჩმენტის პროცედურა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიმართ.
ვის უნდა გადაეცეს დასკვნისათვის ეს საკითხი?

ა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ბ. იუსტიციის სამინისტროს.

გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

დ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.

№1-206.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას:

ა) თან უნდა სდევდეს შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსები;

ბ) საფუძვლად უნდა ჰქონდეს რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება;

გ) უნდა უსწრებდეს საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციები;

დ) უნდა უსწრებდეს თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციები;

№1-207.

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის დეპუტატთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით მოიწვია პარლამენტის რიგგარეშე სესია:
სწორია თუ არა პრეზიდენტის გადაწყვეტილება?

ა. არ არის სწორი, რადგანაც საქართველოს პრეზიდენტი სესიებს შორის რიგგარეშე სესიას იწვევს დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით.

ბ. არ არის სწორი, რადგან პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა მხოლოდ პრეზიდენტის პირად ინიციატივაზეა დამოკიდებული.

გ. სწორია.

დ. არ არის სწორი რადგანაც, პრეზიდენტი პარლამენტის რიგგარეშე სესიას იწვევს მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით.

№1-208.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის დროს საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციით დადგენილი წესით შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით დეკრეტით შეზღუდა მოქალაქეთა ზოგიერთი უფლება და თავისუფლება, იმავდროულად შეაჩერა ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა საქართველოში. მიუხედავად

ამისა, საქართველოს პარლამენტი შეიკრიბა და, მიიჩნია რა, რომ პრეზიდენტმა ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა, აღძრა მის მიმართ იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხი და დასკვნისათვის მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.
სასამართლოს ქვემოთჩამოთვლილ შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელი მიგაჩნიათ სწორად?
ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს წარდგინება არსებითად განსახილველად, ვინაიდან იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსჯადია.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის დასკვნაში უნდა აღნიშნოს, რომ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესიდან გამომდინარე საქართველოს პრეზიდენტის როგორც სახელმწიფოს მეთაურის ქმედება არ ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს კანონს.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს არსებითად განსახილველად პარლამენტის წარდგინება, ვინაიდან დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო მდგომარეობის დროს.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაში უნდა აღინიშნოს, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს მთელი ძალაუფლება გადაეცემა ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.

№1-209.
პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილება დაამტკიცა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით:
სწორად მოიქცა თუ არა პარლამენტი?
ა. არ მოიქცა სწორად, რადგან საჭირო იყო პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
ბ. სწორად მოიქცა, რადგან პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით
გ. არ მოიქცა სწორად, რადგანაც საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ პრეზიდენტს, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს და ამ გადაწყვეტილებას არ სჭირდება პარლამენტის მიერ დამტკიცება.
დ. არ მოიქცა სწორად, რადგანაც საჭირო იყო რეფერენდუმის მოწყობა.

***(ახალი რედაქცია)*№1-210.**
"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა:
ა. არ შეიძლება;
ბ. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას მოითხოვს შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა უმრავლესობა;
გ. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით შეკრების ან მანიფესტაციის სხვაგვარად ჩატარება შეუძლებელია;
დ. შეიძლება მხოლოდ ღამის საათებში.

№1-211
საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლში გათვალისწინებული თანამდებობის პირის იმპიჩმენტის სრული კონსტიტუციური პროცედურის ძირითადი სტადიებია:

ა. იმპიჩმენტის წესით საკითხის აღძვრა საქართველოს პარლამენტში.საქართველოს პარლამენტში გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დაყენების გადაწყვეტილების მიღება. საქართველოს პარლამენტში თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
ბ. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.კენჭისყრა საქართველოს პარლამენტში.
გ. კონსტიტუციური სარჩელის შეტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. კენჭისყრა საქართველოს პარლამენტში.
დ. იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა საქართველოს პარლამენტში. საკითხის გადაცემა საქართველოს უზენაეს სასამართლოში ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის განხილვა საქართველოს პარლამენტში. გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დაყენების გადაწყვეტილების მიღება საქართველოს პარლამენტში. თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილების მიღება საქართველოს პარლამენტში.

№1-212.

კონსტიტუცის დარღვევისას, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვისი გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება არა აქვს პარლამენტს?
ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის.
ბ. კონტროლის პალატის თავმჯდომარის.
გ. საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის.
დ. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების.

№1-213.

საპარლამენტო ფრაქციამ «მშვიდობა და აღორძინება» (17 წევრი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის განსახილველად წერილობით მოსთხოვა საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა. საქართველოს პრეზიდენტმა არ გამოსცა აქტი საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე, რაც ფრაქციის წევრთა აზრით, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევა და შესაბამისად იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველია. თქვენი აზრით, დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია.
ა. რა თქმა უნდა, დაარღვია, რადგანაც საქარველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, მთელი ხალხის უპირველესი მიზანია.
ბ. იმპიჩმენტის საფუძველი არსებობს, რადგანაც სწორედ საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს ყველაზე მეტად დაინტერესებული ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტით, ვინაიდან კონსტიტუციის მიხედვით იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას.
გ. საქართველოს კონსტიტუცია არ არის დარღვეული, ვინაიდან პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ მოთხოვნა შეტანილია არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ.
დ. იმპიჩმენტის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ფრაქციის მიერ არ არის დაცული ყველა საპარლამენტო პროცედურა. საკითხი ჯერ პროცედურულ საკითხთა კომიტეტში (23 წევრი) უნდა განხილულიყო.

(ახალი რედაქცია)№1-214.

საქართველოს 37 წლის მოქალაქეს, რომელიც დაბადებით საქართველოს მოქალაქე არ იყო და რომელიც არჩევნებამდე 5 წელი ცხოვრობდა საქართელოში პრეზიდენტის არჩევნებში (კანდიდატად) მონაწილეობაზე ეთქვა ცალსახა (შეუქცევადი) უარი იმ მოტივით, რომ იგი არ იყო დაბადებით საქართველოს მოქალაქე.

თქვენი აზრით, დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია?

ა. არა, რადგან საქართველოს საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქე;

ბ. არა, რადგან მართალია საქართველოს კონსტიტუცია ასე ამომწურავად არ არეგულირებს ამას მაგრამ მისი ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქე;

გ. დაირღვა, რადგან თუ პირი არ არის დაბადებით საქართველოს მოქალაქე, იგი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ მისი მოქალაქეთა 200 000 ხელმოწერის (მხარდაჭერის დადასტურება) წარდგენის შესაბამისად;

დ. დაირღვა, რადგან საქართველოს კონსტიტუციით იმისათვის, რომ პირი არჩეული იქნას საქართველოს პრეზიდენტად დაბადებით საქართველოს მოქალაქეობა გათვალისწინებული არ არის.

№1-215.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ვინ ასრულებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობებს მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, თანამდებობიდან მისი გადაყენებისას ან ნებაყოფლობით გადადგომისას?

ა. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები.

გ. საქართველოს პრეზიდენტი.

დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე .

№1-216.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის განსახილველად წერილობით მოსთხოვა საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევა. საქართველოს პრეზიდენტმა არ გამოსცა აქტი საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, რაც საქარ-თველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის აზრით საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევა და შესაბამისად იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველია.

თქვენი აზრით, დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია?

ა. რა თქმა უნდა დაარღვია. საქარველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება საქართველოს აღმასრულებები და საკანონმდებლო ხელისუფლების, მთელი ხალხის უპირველესი მიზანია.

ბ. საქართველოს კონსტიტუცია არ არის დარღვეული, ვინაიდან პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა შეტანილია არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ.

გ. იმპიჩმენტის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ არ არის დაცული ყველა

საპარლამენტო პროცედურა. საკითხი ჯერ პროცედურულ საკითხთა კომიტეტში (23 წევრი) უნდა განხილულიყო.
დ. იმპიჩმენტის საფუძველი არსებობს, რადგანაც სწორედ საქართველოს პრეზიდენტი ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტით, ვინაიდან კონსტიტუციის მიხედვით იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას.

№1-217.

დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტმა სხდომის ნაწილი დახურულად გამოაცხადა:
სწორად მოიქცა თუ არა პარლამენტი?
ა. არ მოიქცა სწორად, რადგანაც პარლამენტის სხდომები ყოველთვის საჯაროა.
ბ. არ მოიქცა სწორად, რადგანაც სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადებისათვის საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის ორი მესამედის თანხმობა.
გ. სწორად მოიქცა, რადგანაც დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.
დ. არ მოქცა სწორად. რადგანაც ასეთ შემთხვევაში იხურება არა მხოლოდ სხდომის ნაწილი, არამედ სხდომა მთლიანად.

№1-218.

საქართველოს ერთ-ერთმა საპალამენტო ფრაქციამ (14 წევრი) საქართველოს მთავრობის ეკონომიკური ბლოკის ერთ-ერთი მინისტრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის განსახილველად წერილობით მოსთხოვა საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა. საქართველოს პრეზიდენტმა არ გამოსცა აქტი საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე, რაც საქართველოს პარლამენტის ფრაქციის წევრთა აზრით საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევა და შესაბამისად იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველია. თქვენი აზრით, დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია.
ა. საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიური მდგომარეობის დასაძლევად საჭიროა გადამწყვეტი, მათ შორის საკადრო საკითხების სასწრაფოდ გადაწყვეტა.
ბ. იმპიჩმენტის საფუძველი არსებობს, რადგანაც სწორედ საქართველოს პრეზიდენტი ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტით, ვინაიდან კონსტიტუციის მიხედვით იგი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.
გ. იმპიჩმენტის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან საქართველოს საპარლამენტო ფრაქციის მიერ არ არის დაცული ყველა საპარლამენტო პროცედურა. საკითხი ჯერ პროცედურულ საკითხთა კომიტეტში (23 წევრი) უნდა განხილულიყო.
დ. საქართველოს კონსტიტუცია არ არის დარღვეული, ვინაიდან პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ მოთხოვნა შეტანილია არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ.

№1-219.

იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს:
ა. პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

ბ. პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
გ. პარლამენტის 62 წევრს .
დ. პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორ მესამედს.

№1-220.

ვინ ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საქართველოს პარლამენტის შენობაში?

ა. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.
გ. საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი.
დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

№1-221.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვინ შედის საქართველოს პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში?

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
გ. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.
დ. საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

№1-222.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში უნდა შეჩერდეს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტში?

ა. თუ ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.
ბ. თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შესულია კონსტიტუციური სარჩელი ამის თაობაზე.
გ. თუ ამას მოითხოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
დ. თუ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთმა კომიტეტმა.

№1-223.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია სწორი?

ა. რატიფიცირებას ექვემდებარება მხოლოდ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები.
ბ. რატიფიცირებას ექვემდებარება მხოლოდ ის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც რატიფიცირება არის გათვალისწინებული.
გ. რატიფიცირებას ექვემდებარება მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებები.
დ. სავალდებულოა იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირება, რომლებიც ითვალისწინებენ საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას.

№1-224.

საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები (ვეტო) საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტზე:

ა. აბსოლუტურია, იგი საბოლოოა, მისი დაძლევა შეუძლებებლია.
ბ. შეყოვნებითია, მისი დაძლევა შესაძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

გ. შეყოვნებითია, მისი დაძლევა შესაძლებელია საქართველოს უშიშროების საბჭოს დადგენილებით.
დ. შეყოვნებითია, მისი დაძლევა შეუძლია საქართველოს პარლამენტს.

№1-225.

გამოიყენა რა ე.წ. «ვეტოს» უფლება, საქართველოს პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს. საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები და პროექტის საბოლოო რედაქცია გადასცა პრეზიდენტს. მიღებიდან მე-15 დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა ახალი შენიშვნებით კვლავ დაუბრუნა კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს. თქვენი აზრით:
ა. საქართველოს პრეზიდენტს ამის უფლება აქვს. ერთი და იგივე კანონის პროექტის მიმართ მას შეუძლია სამჯერ გამოიყენოს ვეტოს უფლება.
ბ. საქართველოს პრეზიდენტს მეორედ ვეტოს უფლების გამოყენება მხოლოდ ათი დღის ვადაში შეეძლო.
გ. საქართველოს პრეზიდენტის ქმედება არ შეესაბამება კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრეზიდენტს 7 დღის ვადაში უნდა მოეწერა ხელი და გამოექვეყნებინა კანონი წინააღმდეგ შემთხვევაში მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტსი თავმჯდომარე.
დ. ხელმეორედ ვეტოს გამოყენება საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე.

№1-226.

საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას ახდენს:
ა. საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთი მესამედით.
ბ. საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.
გ. საქართველოს პარლამენტის დამსწრეთა სრული შემადგენლობით.
დ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

№1-227.

საქართველოს პარლამენტმა ორგანული კანონი მიიღო პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით.
შეესაბამება თუ არა ეს პროცედურა კონსტიტუციის მოთხოვნებს?
ა. არა რადგან ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ბ. არა, რადგან ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა.
გ. სრულად შეესაბამება.
დ. არ შეესაბამება, რადგანაც ორგანული კანონის პროექტის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის ორი მესამედი.

№1-228.

პარლამენტმა პრეზიდენტის მოთხოვნით მისი წარდგენილი კანონპროექტი განიხილა რიგგარეშე.
კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედა თუ არა პარლამენტმა?
ა. არა, რადგან მხოლოდ არანაკლებ 30 000 ამომრჩეველთა მიერ წარდგენილი კანონპროექტი განიხილება რიგგარეშე.
ბ. არა, რადგან, პრეზიდენტს არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.
გ. დიახ, რადგან პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

დ. არა, რადგან ამისათვის საჭიროა პარლამენტის წავრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის თანხმობა.

№1-229.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვს:

ა. საქართველოს პრეზიდენტს.
ბ. საპარლამენტო ფრაქციას.
გ. არანაკლებ 20 000 ამომრჩეველს.
დ. პარლამენტის წევრს.

№1-230.

საქართველოს კანონი ძალაში შედის:

ა. მისი ხელმოწერიდან მე-15 დღეს თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი;
ბ. მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს;
გ. ხელმოწერისთანავე;
დ. მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

№1-231.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს:

ა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრს.
ბ. არანაკლებ 3 000 ამომრჩეველს.
გ. არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს.
დ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.

№1-232.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი საქართველო პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა:

ა. 2 დღის ვადაში.
ბ. 7 დღის ვადაში.
გ. 5 დღის ვადაში.
დ. 15 დღის ვადაში.

№1-233.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ვინ უზრუნველყოფს საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას?

ა. საქართველოს პრეზიდენტი და აღმასრულებელი სელისუფლების დაწესებულებები.
ბ. საქართველოს მთავრობა.
გ. ხალხი.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

№1-234.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია:

ა. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
ბ. საქართველოს პარლამენტის წინაშე.
გ. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.
დ. საქართველოს ეროვნული უშიშოების საბჭოს წინაშე.

№1-235.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობა შედგება:

ა. პრემიერ-მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრებისაგან.

ბ. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კანცელარიისაგან.

გ. პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. გარდა ამისა შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი ან სახელმწიფო მინისტრები.

დ. პრემიერ-მინისტრის, სამინისტროებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისაგან.

№1-236.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობა იღებს:

ა. დადგენილებებსა და ბრძანებულებებს.

ბ. ბრძანებებსა და დებულებებს.

გ. დადგენილებებსა და განკარგულებებს.

დ. განკარგულებებსა და რეკომენდაციებს.

№1-237.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის სწორი?

ა. პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს გარკვეული დღის წესრიგით.

ბ. საქართველოს პრეზიდენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით იწვევს მთავრობის სხდომას და თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომას.

გ. ერთ-ერთი მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის დავალებით თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომაზე.

დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომას პრემიერ-მინისტრის საქართველოში არყოფნის შემთხვევაში.

№1-238.

რომელი საფუძვლის არსებობისას შეუძლია საქართველოს პარლამენტს დაიწყოს საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა?

ა. თუ საქართველოს პრეზიდენტი ორი თვის განმავლობაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს.

ბ. თუ საქართველოს პრეზიდენტმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია.

გ. თუ საქართველოს პრეზიდენტმა საპენსიო ასაკს მიაღწია და ნებაყოფლობით არ გადადგა თანამდებობიდან.

დ. თუ ამის თაობაზე არსებობს მმართველი პარტიის საბჭოს გადაწყვეტილება.

№1-239.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რამდენჯერ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტად აირჩეს ერთი და იგივე პირი?

ა. ეს მხოლოდ ამომრჩევლებზეა დამოკიდებული. პრეზიდენტად არჩევის რაოდენობა არ არის შეზღუდული.

ბ. მხოლოდ ორჯერ.
გ. ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.
დ. ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

№1-240.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რომელი აქტების მიმართ შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება საქართველოს პრეზიდენტმა?

ა. საქართველოს კანონპროექტის, საქართველოს ორგანული კანონპროექტის, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მიმართ.
ბ. საქართველოს მთავრობის დადგენილების მიმართ.
გ. საქართველოს კანონის, საქართველოს პარლამენტის დადგენილების, საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიმართ.
დ. მხოლოდ საქართველოს კანონის მიმართ.

№1-241.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა თბილისში დაბადებულმა 49 წლის ქართველმა, დაბადებით საქართველოს მოქალაქემ, რომელიც 47 წელი ცხოვრობდა საქართველოში და არჩევნების დანიშვნის დღისათვის უკვე ორი წელია რაც საზღვარგარეთ ცხოვრობს და წარმატებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქვემოთჩამოთვლილ შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელია სწორი?

ა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეტენდენტი უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან იგი აკმაყოფილებს ასაკობრივ ცენზს.
ბ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეტენდენტი უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან იგი დაბადებით საქართველოს მოქალაქეა.
გ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეტენდენტი უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან მას 15 წელზე მეტი უცხოვრია საქართველოში.
დ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიან პრეტენდენტი არ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა საქართველოში.

№1-242.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს:

ა. მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს.
ბ. პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საპარლამენტო ფრაქციებს.
გ. არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭოს და ამომრჩეველთა 40 000 კაციან ჯგუფებს.
დ. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს.

№1-243.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა 33 წლის თბილისში დაბადებულმა ქართველმა საქართველოს მოქალაქემ, რომელიც 32 წელი ცხოვრობდა საქართველოში და არჩევნების დანიშვნის დღემდე ერთი წლის მანძილზე საზღვარგარეთ ცხოვრობს და წარმატებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქვემოთჩამოთვლილ შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელია სწორი?

ა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეტენდენტი უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან იგი დაბადებით საქართველოს მოქალაქეა.

ბ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეტენდენტი უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან მას 15 წელზე მეტი უცხოვრია საქართველოში.
გ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიან პრეტენდენტი უნდა დაუშვას არჩევნებში კანდიდატად, ვინაიდან მას დიდი სარგებელი შეუძლია მოუტანოს ქვეყანას.
დ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეტენდეტი არ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან იგი 33 წლისაა, საქართველოს პრეზიდენტად კი შეიძლება აირჩეს პირი 35 წლის ასკიდან.

(ახალი რედაქციიდან)№1-244.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში;
ბ. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში;
გ. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში;
დ. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში;

№1-245.

როგორი სამართლებრივი შედეგი დადგება, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში თავიდანვე დასახელებულმა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა?

ა. დაინიშნება ხელახალი არჩევნები.
ბ. იმართება არჩევნების მეორე ტური.
გ. ერთი წლის შემდეგ გაიმართება ახალი არჩევნები.
დ. სამი თვის შემდეგ გაიმართება ახალი არჩევნები.

№1-246.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელება დადასტურებული უნდა იყოს:

ა. ამომრჩეველთა რაოდენობის არა უმეტეს 1%-ის ხელმოწერით.
ბ. 5000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
გ. 15000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
დ. 500 ამომრჩევლის ხელმოწერით.

(ახალი რედაქციიდან)№1-247.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა 71 წლის დაბადებით საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელიც არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 9 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ქ.ფოთში. პრეტენდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში არსებითად გააუმჯობესებს ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, ვინაიდან იგი 58

წელი ცხოვრობდა და ძალზე წარმატებით მოღვაწეობდა მეზობელ სახელმწიფოში.
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქვემოთ ჩამოთვლილ შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელია სწორი?
ა. საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ უნდა გაატაროს პრეტენდენტი, ვინაიდან იგი 71 წლისაა.
ბ. საარჩევნო კომისიამ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, რადგან იგი აკმაყოფილებს კონსტიტუციის პირობებს;
გ. საარჩევნო კომისიამ პრეტენდენტი რეგისტრაციაში არ უნდა გაატაროს, ვინაიდან საქართველოში 15 წელი არ უცხოვრია.
დ. პრეტენდენტს დიდი სიკეთე შეუძლია მოუტანოს ქვეყანას, ამიტომ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა.

№1-248.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის პირველი ტურის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა:
ა. საქართველოს რომელიმე სამი ქალაქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.
ბ. არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.
გ. არჩევნებში მონაწილეთა ორმა მესამედმა მაინც.
დ. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

№1-249.
რამდენი ტურია გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში?
ა. მხოლოდ ერთი.
ბ. მხოლოდ ორი.
გ. ერთი ან ორი.
დ. ტურების რაოდენობა არ არის განსაზღვრული, კენჭისყრა უწყვეტლივ ტარდება მანამ ვიდრე ერთ-ერთი კანდიდატი არ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას.

№1-250.
რამდენი კანდიდატი მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში?
ა. პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ერთი კანდიდატი.
ბ. პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი.
გ. ყველა კანდიდატი, რომელიც პირველ ტურში მონაწილეობდა და ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტიანი ბარიერი გადალახა.
დ. ამას განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არასამთავრობო ორგანიზაციების საბჭოსთან შეთანხმებით.

***(ახალი რედაქციიდან)*№1-251.**
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე;
ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე;

გ. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე;
დ. ყველა მსჯელობა სწორია.

№1-252.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს:

ა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების ნახევარს.
ბ. მოსახლეობის ხმების ნახევარზე მეტს.
გ. მეორე კანდიდატის ხმებზე მეტ რაოდენობას, მაგრამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევრისა.
დ. მეორე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმებზე მეტ რაოდენობას.

№1-253.

საქართველოს ''სახალხო დამცველის შესახებ'' ორგანული კანონის შესაბამისად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში:

ა. სახალხო დამცველი წყვეტს საქმიანობას საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.
ბ. სახალხო დამცველი წყვეტს საქმიანობას საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.
გ. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით იზღუდება სახალხო დამცველის საქმიანობა.
დ. სახალხო დამცველის საქმიანობა არც წყდება და არც იზღუდება.

№1-254.

საართველოს კონსტიტუციის მიხედვით როგორ აწესრიგებენ საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს?

ა. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მეშვეობით.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით.
გ. ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით.
დ. კონფლიქტების დარეგულირების დარგში სახელმწიფო მინისტრის მეშვეობით.

№1-255.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი. მას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ორმოცდა ხუთმა პროცენტმა. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საარჩევნო კომისიამ?

ა. არჩეულად გამოაცხადოს კანდიდატი.
ბ. ორ კვირაში დანიშნოს მეორე ტური.
გ. არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში გამართოს ხელახალი არჩევნები.
დ. ერთი თვის ვადაში გამართოს ახალი არჩევნები იმავე კანდიდატის მონაწილეობით.

№1-256.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა. როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საარჩევნო კომისიამ?

ა. უნდა გადაუგზავნოს შედეგები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, იგი მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებას.
ბ. უნდა დანიშნოს არჩევნების მესამე ტური.
გ. არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში უნდა გაიმართოს ხელახალი არჩევნები.

დ. მეორე ტურში გამარჯვებული აუცილებლად გამოვლინდება.

(ახალი რედაქციიდან)№1-257.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა თვითმმართველი ერთეულებისათვის ითვალისწინებდა გარკვეული უფლებამოსილებების დელეგირებას. აღნიშნული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა გორის მერიამ და მიუთითა, რომ აღნიშნულით დაირღვა საქართველოს კონსტიტუცია. თქვენი აზრით:

ა. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს სარჩელი წარმოებაში და არაკონსტიტუციურად ცნოს კანონი, რადგან კანონით უფლებამოსილების დელეგირებას საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს;
ბ. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს სარჩელი წარმოებაში და გააუქმოს კანონი, რადგან უფლებამოსილებათა დელეგირება შეიძლება მხოლოდ ორგანული კანონის საფუძველზე და არა საქართველოს კანონის საფუძველზე;
გ. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი წარმოებაში, რადგან იგი შეტანილია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ;
დ. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი წარმოებაში, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით სარჩელებს არ განიხილავს.

№1-258.

ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია სწორი?

ა. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება ნაკიან წლებში
ბ. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება მოქმედი პრეზიდენტის ავადმყოფობის დროს.
გ. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება ლუწ წლებში.
დ. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

№1-259.

რომელ თვეში ტარდება საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური?

ა. იანვარში.
ბ. ოქტომბერში.
გ. მარტში.
დ. აპრილში.

№1-260.

რა არის ახლადარჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების მთავარი წინაპირობა?

ა. მინისტრების დანიშვნა.
ბ. მოსახლეობასთან შეხვედრა.
გ. საპროგრამო სიტყვის წარმოთქმა და ფიცის დადება.
დ. ერთთვიანი შვებულება.

№1-261.

რა ვადებში იმართება ახალარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალი?

ა. თარიღს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.
ბ. პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

გ. პრეზიდენტის არჩევის დღიდან მეორე კვირა დღეს.
დ. ცერემონიალი იმართება 26 მაისს.

№1-262.

ქვემოჩამოთვლილ მსჯელობიდან რომელი არ არის სწორი?

ა. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.
ბ. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს იღებდეს ხელფასს სხვა (გარდა საქართველოს პრეზიდენტისა) საქმიანობისათვის.
გ. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს იყოს საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
დ. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს იყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი..

№1-263.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოჩამოთვლილ მსჯელობიდან რომელი არ არის სწორი?

ა. საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებს.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს გადაწყვეტილებებს.
გ. საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებებს.
დ. საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს.

№1-264.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის სწორი?

ა. საქართველოს პრეზიდენტი დებს კონსიტუციურ შეთანხმებას საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს.
გ. საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს.
დ. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

№1-265.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერების საფუძველი?

ა. თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.
ბ. თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს.
გ. თუ მათი საქმიანობით საფრთხე შეექმნა ტერიტორიული ერთეულის საბიუჯეტო ვალდებულების შესრულებას.
დ. თუ მათი საქმიანობით საფრთხე შეექმნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

№1-266.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის დაკავება შეიძლება:

ა. მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით.
ბ. მხოლოს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
გ. მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანხმობით.
დ. მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით.

№1-267.

ვისი თანხმობით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში?

ა. საქართველოს პარლამენტის თანხმობით.

ბ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანხმობით.

გ. საქართველოს ელჩებს საქართველოს პრეზიდენტი დამოუკიდებლად ნიშნავს.

დ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანხმობით.

№1-268.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია სწორი?

ა. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს და დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს.

ბ. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და თანხმობას აძლევს მას მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე.

გ. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს საქართველოს ელჩებს პარლამენტის წარდგინებით.

დ. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს საქართველოს ელჩებს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით.

№1-269.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არ არის საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძველი?

ა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.

ბ. მასობრივი არეულობა.

გ. ომიანობა.

დ. საქართველოს პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება.

№1-270.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, როგორი წესის დაცვით ათავისუფლებს თანამდებობიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრს საქართველოს პრეზიდენტი?

ა. საქართველოს თავდაცვის მინისტრს საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

ბ. საქართველოს თავდაცვის მინისტრს საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეთანხმებით.

გ. საქართველოს თავდაცვის მინისტრს საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობიდან ათავისუფლებს საკუთარი ინიციატივით.

დ. საქართველოს თავდაცვის მინისტრს საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტის თანხმობით.

№1-271.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?

ა. საქართველოს მინისტრებს საქართველოს პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარდგინებით საქართველოს მინისტრებს თანამდებობიდან ანთავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

გ. საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან (კომიტეტებთან) შეთანხმებით საქართველოს მინისტრებს თანამდებობიდან ანთავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს მინისტრებს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

№1-272.

რომელი სახელმწიფო ორგანო ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საომარო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ?
ა. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ამიტომ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და დამტკიცებას არ საჭიროებს.
ბ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
გ. საქართველოს პარლამენტი.
დ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო.

№1-273.

რომელი სახემწიფო ორგანო ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ?
ა. მმართველი პარტიის ყრილობა.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ამიტომ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და დამტკიცებას არ საჭიროებს.
გ. საქართველოს პარლამენტი.
დ. ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება - ნატო.

№1-274.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვის და გამოცხადებიდან რა ვადაში უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტის აქტი საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ?
ა. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ამიტომ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და დამტკიცებას არ საჭიროებს.
ბ. საქართველოს პარლამენტს - არა უგვიანეს 48 საათისა.

გ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს- 48 საათის განმავლობაში.
დ. გაეროს უშიშროების საბჭოს - ერთი თვის ვადაში.

№1-275.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვის და გამოცხადებიდან რა ვადაში უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტის აქტი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ?
ა. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს - დაუყოვნებლივ.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს - დაუყოვნებლივ.

გ. საქართველოს პარლამენტს - დაუყოვნებლივ.
დ. საქართველოს პარლამენტს - არა უგვიანეს 48 საათისა.

№1-276.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ფორმირება ხდება შემდეგი წესით:
ა. საბჭოს ყველა წევრს ირჩევს ხალხი.
ბ. საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

გ. საბჭოს შემადგენლობის ნახევარს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ნახევარს ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
დ. საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

№1-277.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ მოცემული დებულებებიდან რომელია არასწორი?

ა. საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა;
ბ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა;
გ. "ა" და "ბ" პუნქტებში მოცემული პასუხები სწორია;
დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

(ახალი რედაქციიდან)№1-278.

ქვემოთ ჩამოთვლილიმსჯელობებიდან, რომელი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?

ა. თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან მისი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას უნდა უსწრებდეს საქართველოს პრეზიდენტთან კონსულტაციები;
ბ. თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან მისი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას უნდა უსწრებდეს საქართველოს შესაბამისი რეგიონის რწმუნებულთან-გუბერნატორთან ;
გ. კონსტიტუცია არ ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულის გაუქმების ან მისის საზღვრების გადასინჯვის შესაძლებლობას;
დ. თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან მისი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას უნდა უსწრებდეს თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციები;
.

№1-279.

«ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი იმავდროულად არის:

ა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი.
გ. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში(კან-ს მ 4).
დ. საქართველოს გენერალური პროკურორი.

№1-280.

«ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაში «უშუალოდ» მონაწილეობს:

ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
დ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

№1-281.

ვის და რა შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის დაპატიმრების შესახებ?
ა. საქართველოს პარლამენტს სრული შემადგენლობის ორი მესამედის გადაწყვეტილებით, თუ დასტურდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ღალატის ბრალდება.
ბ. საქართველოს პარლამენტს სიითი შემადგენლობის ორი მესამედის გადაწყვეტილებით, თუ დასტურდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ღალატის ბრალდება.
გ. თანამდებობაზე ყოფნის დროს საქართველოს პრეზიდენტის დაპატიმრება დაუშვებელია.
დ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს სრული შემადგენლობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, თუ დასტურდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ღალატის ბრალდება.

№1-282.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოჩამოთვლილ შესაძლო შემთხვევებიდან რომელი არის საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძველი?
ა. ნებაყოფლობით გადადგომა.
ბ. საქართველოს პრეზიდენტისადმი პარლამენტის მიერ უნდობლობის რეზოლუციის მიღება.
გ. ეროვნული უშიშროების საბჭოს დადგენილება.
დ. საქართველოს სახალხო დამცველის წარდგინება.

№1-283.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი?
ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იმ ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სასამართლო სისტემას;
ბ. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა, რომლებიც ეხება ადგილობრივ თვითმმართველობას;
გ. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა;
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა.

№1-284.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლო შემთხვევებიდან რომელი არის საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძველი?
ა. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის განჩინება.
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განაჩენი.

№1-285.

ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლო შემთხვევებიდან, რომელი არის საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძველი?

ა. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

ბ. საქართველოს კონტროლის პალატისა და და საქართველოს პარლამენტის ერთობლივი გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

გ. ახალი პრეზიდენტის არჩევა და მის მიერ ფიცის დადება..

დ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

№1-286.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვინ ასრულებს მის მოვალეობებს?

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

გ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი - თუ ქვეყანაში გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა.

დ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

№1-287.

რა ვადებში ტარდება საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები?

ა. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები კონსტიტუციის მიხედვით საერთოდ არ ტარდება.

ბ. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის განმავლობაში.

გ. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან მესამე კვირა დღეს.

დ. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 3 თვის განმავლობაში.

№1-288.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, მისი მოვალეობის შესრულება დაეკისრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით ვინ შეასრულებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობებს?

ა. 72 საათის განმავლობაში პარლამენტმა უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე.

ბ. 48 საათის განმავლობაში პარლამენტმა უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე.

გ. ამ მოვალეობების შესრულება უნდა დაეკისროს საქართველოს პარლამენტის უხუცეს დეპუტატს.

დ. ამ მოვალეობების შესრულება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით დაეკისრება მის ერთ-ერთ მოადგილეს.

№1-289.

საქართველოს ერთ-ერთ ტეროტორიულ ერთეულში შექმნილი რთული ვითარებისა და ზოგიერთი სხვა მოსაზრების გამო საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილებათა კონსტიტუციური ვადის გასვლამდე 10 თვით ადრე ნებაყოფლობით გადადგა თანამდებობიდან. ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა შეაჩერა აღნიშნული ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა.

შეაფასეთ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ეს ქმედება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით:
ა. ქმედება სწორია. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი არის სახელმწიფოს მეთაური და ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა კონსტიტუციის შესაბამისად.
ბ. ქმედება არასწორია. შელახულია იმ ამომრჩეველთა უფლება, რომლებმაც ეს წარმომადგენლობითი ორგანო აირჩიეს. მხოლოდ მათ შეუძლიათ გაიწვიონ ამ ორგანოს წევრები.
გ. ქმედება სწორია, ვინაიდან თავიდან აგვაცილებს შემდგომში ვითარების შესაძლო გართულებას.
დ. ქმედება არასწორია. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ამის უფლებას არ აძლევს.

№1-290.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება:
ა. დაუშვებელია;
ბ. დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონის საფუძველზე;
გ. დასაშვებია საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე;
დ. დასაშვებია, მხოლოდ ხელშეკრულებით, ორგანული კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

№1-291.
ქვემოთჩამოთვლილ მსჯელობიდან რომელია სწორი?
ა. საქართველოს პრეზიდენტი განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლებამოსილია დეკრეტით დაითხოვოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს მხოლოდ ბრძანებულებები.
გ. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებულ შემთხვევებში უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებზე გამოსცეს დადგენილებები და ბრძანებები.
დ. გარკვეული პირობების არსებობისას საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს .

№1-292.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტს პრეზიდენტი:
ა. დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას დამტკიცებიდან 2 კვირის განმავლობაში;
ბ. ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 3 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად;
გ. ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად;
დ. დეკრეტით დამტკიცებულ ბიუჯეტს აღარ სჭირდება დამტკიცება.

№1-293.
საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის:
ა. პრემიერ-მინისტრისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

ბ. მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.
გ. მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.
დ. სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

№1-294.

«საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, მთავრობის ყველა წევრის უფლებამოსილებათა შეწყვეტას იწვევს:
ა. მხოლოდ პრემიერ-მინისტრის გადადგომა.
ბ. პრემიერ-მინისტრის ავადმყოფობა.
გ. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვა საფუძველზე შეწყვეტა.
დ. მხოლოდ პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის წესით გადაყენება თანამდებობიდან.

№1-295.

«საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს მინისტრს უფლებამოსილება შეუწყდება:
ა. საკუთარი ინიციატივით გადადგომის შემთხვევაში.
ბ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით.
გ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს სრული შემადგენლობის ორი მესამედის გადაწყვეტილებით.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით.

№1-296.

საქართველოს კონსტიტუციის და «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:
ა. მთავრობის გადაყენებისას.
ბ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს სრული შემადგენლობის გადაწყვეტილებით.
გ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით.
დ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომის შემთხვევაში.

№1-297.

«საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, მთავრობის კანცელარიას ხელმძღვანელობს:
ა. სახელმწიფო მინისტრი.
ბ. პრემიერ-მინისტრი.
გ. უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.
დ. პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

№1-298.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციის შემდეგ;

ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებებისაგან;
გ. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან;
დ. არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-299.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს:
ა. ნებაყოფლობითი უფლებამოსილებანი;
ბ. საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი;
გ. ნებაყოფლობითი და დისკრეციული უფლებამოსილებანი;
დ. მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებანი.

№1-300.

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია:
ა. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.
ბ. კონსტიტუციური შეთანხმებით.
გ. საქართველოს ორგანული კანონით.
დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

№1-301.

ვისი სახელით გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს?
ა. ქართველი ერის სახელით.
ბ. ქართველი ხალხის სახელით.
გ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.
დ. საქართველოს სახელით.

№1-302.

რომელი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს საქართველოში?
ა. საქართველოს კონტროლის პალატა.
ბ. ეროვნული უშიშროების საბჭო.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლო.

№1-303.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ერთ-ერთი მიზანი არის:
ა)საქმიანობის ეფექტიანობის მონიტორინგი და კონტროლი;
ბ) დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვანი განხორციელება;
გ) სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის აღკვეთა;
დ) ადგილობრივ თვითმმართველობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა საერთოდ არ დაიშვება;

№1-304.

რა შემთხვევაში შეიძლება საქართველოში სამხედრო სასამართლოების შემოღება?

ა. თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
ბ. სამხედრო სასამართლოების შემოღება დასაშვებია მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.
გ. სამხედრო სასამართლოების შემოღება შეიძლება მხოლოდ საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.
დ. სამხედრო სასამართლოების შემოღება საერთოდ დაუშვებელია.

№1-305.

სამხედრო სასამართლოს შემოღების შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლების რომელ სისტემაში იქნება ის?

ა. შეიქმნება სამხედრო სასამართლოთა დამოუკიდებელი სისტემა.
ბ. სამხედრო სასამართლოები შეიქმნება სამხედრო პროკურატურის სისტემაში.
გ. სამხედრო სასამართლოები შეიქმნება საერთო სასამართლოების სისტემაში.
დ. სამხედრო სასამართლოები შეიქმნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან.

№1-306.

რა სახის სასამართლოების შექმნაა დაუშვებელი საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით?

ა. სამხედრო სასამართლოების.
ბ. საერთო სასამართლოების.
გ. საკონსტიტუციო სასამართლოს.
დ. საგანგებო სასამართლოების.

№1-307.

რა სახის სასამართლოების შექმნაა დაუშვებელი საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით?

ა. საერთო სასამართლოების.
ბ. სპეციალური სასამართლოების.
გ. საკონსტიტუციო სასამართლოს.
დ. სამხედრო სასამართლოების.

№1-308.

საქართველოს კონსტიტუციისა და «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, როგორ არის დაცული სასამართლოებში იმ პირთა უფლებები, რომლებმაც სახელწიფო ენა არ იციან?

ა. ამ პირებს ეძლევათ საშუალება დახმარებისათვის თავის ხარჯზე დაიქირავონ თარჯიმანი.
ბ. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, სახელწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მიეჩინება თარჯიმანი.
გ. თუ საქმის განხილვაში მონაწილე ერთ-ერთმა მხარემ არ იცის სახელმწიფო ენა, სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს რუსულ ენაზე.
დ. სასამართლოს განჩინების საფუძველზე სამართალწარმოება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთ ოფიციალურ – ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

№1-309.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განისაზღვრა საერთო სასამართლოს მოსამართლეების საქმის განხილვისაგან ჩამოცილების

შემთხვევები. შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას პრეზიდენტის ეს ბრძანებულება?
ა. სრულად შეესაბამება, რადგან საქართველოს პრეზიდენტი უზრუნველყოფს სასამართლო ორგანოთა საქმიანობას და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.
ბ. არ შეესაბამება, რადგან მოსამართლის საქმიდან ჩამოცილების შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ.
გ. არ შეესაბამება, რადგან მოსამართლის საქმიდან ჩამოცილების შემთხვევები კანონით განისაზღვრება.
დ. არ შეესაბამება, რადგან მოსამართლის საქმიდან ჩამოცილების შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

№1-310.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განისაზღვრა საერთო სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლების შემთხვევები. საქართველოს პარლამენტის 101 დეპუტატმა მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელი იქნება სწორი?
ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი უზრუნველყოფს სასამართლო ორგანოთა საქმიანობას.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად, ვინაიდან სარჩელში დასმული საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსჯადია.
გ. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლების შემთხვევები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლება საერთოდ დაუშვებელია.

№1-311.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინადადებით, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომელიც ეხებოდა სასამართლოში საქმეთა განხილვის ზოგიერთ პროცედურულ საკითხს. ამ საკითხთა შორის იყო იმ შემთხვევათა არასრული ჩამონათვალი, როდესაც სასამართლომ საქმე დახურულ სხდომაზე უნდა განიხილოს. საქართველოს პარლამენტის 99 დეპუტატმა დადგენილი წესით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა ბრძანებულების ამ ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა.
საქართველოს საკონსტიტუტციო სასამართლოს ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლო გადაწყვეტილებიდან რომელია სწორი?
ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი «შეიჭრა» საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაში. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან ყველა საქმე სასამართლოში განიხილება ღია სხდომაზე.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა განიხილოს სარჩელი, ვინაიდან არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ არის შემოტანილი - სარჩელი

უნდა შემოსულიყო სულ ცოტა 118 დეპუტატის (სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი) სახელით.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია იზრუნოს ქვეყნის უმაღლეს ინტერესებზე და სასამართლოს ღია სხდომაზე არ დაუშვას ზოგიერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების საჯაროდ განხილვა.

№1-312.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. საქართველოს ყველა სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ან რუსულ ენაზე.
ბ. საქართველოს ყველა სასამართლოში, გარდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსი, სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.
გ. აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება აფხაზურ ენაზე.
დ. საქართველოს საერთო სასამართლოებში სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.

№1-313.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სამართალწარმოების განხორციელების პრინციპი?

ა. მხარეთა თანასწორობა.
ბ. გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა.
გ. შეჯიბრებითობა.
დ. სამართალწარმოების საქვეყნოობა.

№1-314.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლე უნდა იყოს:

ა. აჭარაში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქე.
ბ. აფხაზეთში – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქე.
გ. ცხინვალის რეგიონში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქე.
დ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – საქართველოს მოქალაქე.

№1-315.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, როგორი ასაკობრივი ცენზი არის დადგენილი საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად?

ა. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან.
ბ. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან.
გ. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 33 წლის ასაკიდან.
დ. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

№1-316.

მოქალაქე გ. იაშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც მისი აზრით მნიშვნელოვნად ლახავდა მის უფლებებს. პრეზიდენტმა შეისწავლა ეს საკითხი და გააუქმა გადაწყვეტილება.

შეესაბამება თუ არა პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება კონსტიტუციას?
ა. დიახ, შეესაბამება, რადგან მას უფლება აქვს გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება.
ბ. არ შეესაბამება, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.
გ. შეესაბამება, ვინაიდან ეს უფლება პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს გარანტირებული.
დ. არ შეესაბამება, ვინაიდან პრეზიდენტს აღნიშნული განცხადება უნდა გადაეგზავნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

№1-317.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო:
ა. ახორციელებს არბიტრაჟს.
ბ. ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს.
გ. ზედამხედველობს საერთო სასამართლოებს.
დ. ზედამხედველობს პროკურატურასა და წინასწარ გამოძიებას.

№1-318.

ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:
ა. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება მხოლოდ საგანგებო ან საომარ პირობებში.
ბ. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემაში.
გ. სამხედრო სასამართლოს შემოღება დაიშვება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.
დ. სამხედრო სასამართლოს შემოღება დაიშვება საომარ პირობებში და მხოლოდ პროკურატურის სისტემაში.

№1-319.

საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციით დადგენილი წესით ქვეყანაში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით, პრეზიდენტმა თავისი ბრძანებულებით შექმნა სპეციალური სასამართლო, რომელიც იმოქმედებდა ამ საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე.
ჰქონდა თუ არა პრეზიდენტს უფლება, შემოეღო სპეციალური სასამართლო?
ა. დიახ, ვინაიდან ეს პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებაა.
ბ. არა, რადგან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია
გ. დიახ, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება გამომდინარეობდა ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან.
დ. არა, ვინაიდან ასეთი სასამართლოს შექმნა შეიძლება მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს.

№1-320.

საქართველოს სახელმწიფოს თურქეთის სახელმწიფომ მოსთხოვა თურქეთის იმ მოქალაქის გადაცემა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა თურქეთში და შემდეგ გადმოვიდა (შემოიხიზნა) საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულ მოთხოვნაზე საქართველოს სახელმწიფომ უარით უპასუხა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა საფუძვლით შეეძლო უარი განეცხადებინა საქართველოს სახელმწიფოს?

ა) ალბათ პირს ჩადენილი ჰქონდა ისეთი ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლებოდა;
ბ) უარის საფუძველი არ არსებობდა;
გ) ალბათ პირს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვოდა საქართველოს სახელმწიფოს წინაშე;
დ) სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძვლით;

№1-321.

რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო:
ა. 6 წევრისაგან.
ბ. 10 წევრისაგან.
გ. 8 წევრისაგან.
დ. 9 წევრისაგან.

№1-322.

რა ვადით აირჩევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?
ა. 7 წლის ვადით.
ბ. 5 წლის ვადით.
გ. 10 წლის ვადით.
დ. 4 წლის ვადით.

№1-323.

რა ვადით აირჩევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:
ა. არანაკლებ 10 წლის ვადით.
ბ. არანაკლებ 7 წლის ვადით.
გ. არანაკლებ 5 წლის ვადით.
დ. სულ ცოტა 3 წლის ვადით.

№1-324.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ წევრს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიერ იყო გამწესებული, ამოეწურა უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა. საქართველოს პრეზიდენტმა თავისი ბრძანებულებით გაუგრძელა მას უფლებამოსილების ვადა.
შეეძლო თუ არა საქართველოს პრეზიდენტს ამ მოსამართლისათვის უფლებამოსილების გაგრძელება?
ა. საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს. მას შეუძლია მხოლოდ ამ მოსამართლეებს გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა.
ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.
გ. დიახ, ვინაიდან გამონაკლის შემთხვევებში პრეზიდენტს გააჩნია ამის უფლება.
დ. არა, ვინაიდან პრეზიდენტს ამისათვის წინასწარ სჭირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა.

№1-325.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი?
ა. 3 წევრს.
ბ. ყველა წევრს.
გ. 4 წევრს.

დ. 5 წევრს
.

№1-326.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი?

ა. 4 წევრს.
ბ. 3 წევრს.
გ. ყველა წევრს.
დ. 5 წევრს.

№1-327.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო?

ა. 3 წევრს.
ბ. 7 წევრს.
გ. ყველა წევრს.
დ. 4 წევრს.

№1-328.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს:

ა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
ბ. ეროვნული უშიშროების საბჭო.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით.

№1-329.

საქართველოს მთავარი პროკურორი თანანდებობაზე ინიშნება:

ა. საქართველოს პეზიდენტის მიერ.
ბ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ.
გ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

№1-330.

მოქალაქე ვ. ბაქრაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელშიც მიუთითებდა, რომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მის მიმართ გამოიტანა არაკანონიერი გადაწყვეტილება და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება. საბჭოს სხდომაზე შესწავლილი იქნა აღნიშნული განცხადება და მიჩნეული იქნა, რომ ადგილი ჰქონდა მოსამართლის მიერ კანონის დარღვევას. ამის თაობაზე შეიქმნა კომისია, რომელმაც თავის საბოლოო დასკვნით დაადასტურა, რომ გადაწყვეტილება გამოტანილი იყო კანონის უხეში დარღვევით და აშკარა იყო პიროვნების უფლებების დარღვევა. აქედან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება.

სწორია თუ არა საბჭოს გადაწყვეტილება?

ა. დიახ, ვინაიდან იუსტიციის საბჭო ახორციელებს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას, მას უფლება აქვს გააუქმოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

ბ. არა, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.
გ. დიახ, ვინაიდან სახეზე იყო ადამიანის უფლებების დარღვევა.
დ. არა, ვინაიდან მსგავსი გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით.

№1-331.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:
ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი.
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

№1-332.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს:
ა. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
ბ. ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

№1-333.

მსჯავრდებულ კ. ვეკუამ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელშიც მიუთითებდა, რომ მის სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც გაერთიანებული იყო სხვა სისხლის სამართლის საქმე, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მის მიმართ გამოიტანა არაკანონიერი გადაწყვეტილება და მოითხოვა გადაწყვეტილების შეცვლა ამ ნაწილში. საბჭოს სხდომაზე შესწავლილი იქნა აღნიშნული განცხადება და მიჩნეული იქნა, რომ ადგილი ქონდა მოსამართლის მიერ მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას, რაც გამოიხატა მოსამართლის მიერ პროცესუალური დარღვევით. ამის თაობაზე შექმნა კომისია, რომელმაც თავის საბოლოო დასკვნით დაადასტურა, რომ გადაწყვეტილება გამოტანილი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების უხეში დარღვევით და აშკარა იყო პიროვნების უფლებების შელახვა. აქედან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეცვალა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი მსჯავრდებულ კ.ვეკუას ნაწილში.
სწორია თუ არა საბჭოს გადაწყვეტილება?
ა. დიახ, ვინაიდან იუსტიციის საბჭო ახორციელებს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას, მას უფლება აქვს შეცვალოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.
ბ. არა, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.
გ. დიახ, ვინაიდან სახეზე იყო ადამიანის უფლებების დარღვევა.

დ. არა, ვინაიდან საბჭო არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო და მსგავსი გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით.

№1-334.

მოქალაქე ლ. გაბუნიამ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს რომელშიც მიუთითებდა, რომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მის მიმართ გამოიტანა არაკანონიერი გადაწყვეტილება და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება, სანამ არ იქნებოდა გადაწყვეტილი გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი. საბჭოს სხდომაზე შესწავლილი იქნა აღნიშნული განცხადება და მიჩენულ იქნა, რომ ადგილი ქონდა მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას. ამის თაბაზე შექმნა კომისია, რომლის საბოლოო დასკვის მომზადებამდე საბჭომ შეაჩერა გადაწყვეტილების აღსრულება.

სწორია თუ არა საბჭოს გადაწყვეტილება?

ა. დიახ, ვინაიდან იუსტიციის საბჭო ახორციელებს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას, მას უფლება აქვს შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება.

ბ. დიახ, ვინაიდან სახეზე იყო ადამიანის უფლებების დარღვევა.

გ. არა, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

დ. არა, ვინაიდან საბჭო არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო და მსგავსი გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით.

№1-335.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს პარლამენტს წელიწადში რამდენჯერ წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ?

ა) ოთხჯერ;

ბ) სამჯერ;

გ) ორჯერ;

დ) ერთხელ;

№1-336.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიმართულება (ფუნქცია):

ა. სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ზედამხდველობა.

ბ. მხოლოდ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე ზედამხედველობა.

გ. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის ზედამხედველობა.

დ. სავალუტო პოლიტიკის განხორციელება.

№1-337.

საქართველოს პარლამენტის მორიგი სესიის მიმდინარეობისას პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით მოიწვია პარლამენტის რიგგარეშე სხდომა კონკრეტული საფინანსო-საბიუჯეტო საკითხების განხილვის მიზნით. აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ პარლამენტმა გააგრძელა მუშაობა სხდომის დღის წესრიგში პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის ინიციატივით შეტანილი დამატებითი საკითხების განსახილველად.

შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას პარლამენტის მოქმედება?

ა. არა, რადგან რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში დამატებითი საკითხების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს.

ბ. დიახ, რადგან რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში დამატებითი საკითხების შეტანის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
გ. არა, რადგან პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.
დ. დიახ, რადგან პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთ მესამედს ნებისმიერ სხდომაზე უფლება აქვს დღის წესრიგში შეიტანოს დამატებითი საკითხები.

№1-338.

ვის წინაშეა ანგარიშვალდებული საქართველოს კონტროლის პალატა?
ა. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
ბ. საქართველოს პარლამენტის წინაშე.
გ. საქრთველოს მთავრობის წინაშე.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე.

№1-339.

საქრთველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს:
ა. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
გ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
დ. საქართველოს პრეზიდეტის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

№1-340.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ:
ა. საქართველოს პრეზიდენტის აქტის საფუძველზე.
ბ. საქართველოს პროკურატურის აქტის საფუძველზე.
გ. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.
დ. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

№1-341.

ურთიერთობები საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს კონტროლის პალატას შორის განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის და «საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ურთიერთობა არ არის განსაზღვრული ამ საკანონმდებლო აქტებში?
ა. კონტროლის პალატის თავმჯდომარე წარადგენს პარლამენტში მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით.
ბ. წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ანგარიშს თავისის საქმიანობის შესახებ.
გ. საქართველოს პარლამენტს შეუძლია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები.
დ. კონტროლის პალატა ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრების გამოყენებას.

№1-342.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში განეკუთვნება:
ა. საქართველოს ცენტრალური და ავტონომიური რესპულიკების ერთობლივ კომპეტენციას.
ბ. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.
გ. განისაზღვრება საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.
დ. ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციას.

№1-343.

რა ვადებში უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი?
ა. არაუგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.
ბ. არაუგვიანეს ერთი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.
გ. საბიუჯეტო წლის 14 იანვრამდე.
დ. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში საერთოდ არ შედის, მას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

№1-344.

რა თავისებურება არსებობს საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში ცვლილებების შეტანის პროცედურაში?
ა. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
ბ. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.
გ. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით.
დ. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედი.

№1-345.

რაიონში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რაიონის გამგებელმა წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს ბრძანებულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რაიონში ერთი წლით აქციზის გადასახადისაგან გათავისუფლებას.
საქართველოს პრეზიდენტის ქვემოთ ჩამოთვლილ გადაწყვეტილებიდან რომელი იქნება სწორი?
ა. გამგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულია, ხოლო პრეზიდენტი მისი მეთაური, ამიტომ საქართველოს პრეზიდენტს, თუკი იგი დაეთანხმება რეგიონში გადასახადისაგან გათავისუფლების მიზნით შეუძლია გამოსცეს შესაბამისი ბრძანებულება.
ბ. საქართველოს პრეზიდენტმა არ უნდა გამოსცეს შესაბამისი მრძანებულება, ვინაიდან წინადადება არა გამგებლისაგან, არამედ საკრებულოდან უნდა მომდინარეობდეს.
გ. საქართველოს პრეზიდენტს არ შეუძლია გადასახადისაგან გათავისუფლება, რაიონში - ეს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს პრეროგატივაა.
დ. საქართველოს პრეზიდენტს არ შეუძლია გადასახადისაგან გათავისუფლება, რადგან - ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით.

№1-346.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად კიდევ რა წარედგინება საქართველოს პარლამენტს?
ა. მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
ბ. ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
გ. მოხსენება ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის შესახებ.
დ. ანგარიში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

№1-347.
საქართველოს პრლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას:
ა. სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
ბ. სრული შემადგენლობის ორი მესამედით.
გ. სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედით.
დ. სიითი შემადგენლობის ორი მეამედით.

№1-348.
რაიონში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგის უფრო ინტენსიური განვითარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანომ საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ამ დარგში დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირები გაანთავისუფლა გარკვეული გადასახადებისაგან. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
სასამართლოს ქვემოთ ჩამოთვლილ შესაძლო გადაწყვეტილებათაგან რომელი მიგაჩნიათ სწორად?
ა. საკრებულოს გადაწყვეტილება არასწორია. გადასახადებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.
ბ. საკრებულოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ სწორია. საკრებულოს შეეძლო გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინა მხოლოდ ფიზიკური პირები.
გ. საკრებულოს გადაწყვეტილება სწორია, რადგან მიღებულია ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს მიერ, რომელიც ახლოსაა მოსახლეობასთან და იცნობს მის ინტერესებს.
დ. ეს საკითხი საქართველოს სააკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი არ არის.

№1-349.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
ა. საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრების ხარჯვას.
ბ. საქართველოს ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი.
გ. საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს მთავრობის ბანკირი.
დ. საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ფისკალური აგენტი.

№1-350.
როგორი წესით და რა ვადით ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა თანამდებობაზე გამწესება?
ა. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს 7 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

ბ. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პარლამენტის თანხმობით 7 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
გ. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს ერთპიროვნულად ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი 7 წლის ვადით.
დ. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

№1-351.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
ა. საქართველოს კონტროლის პალატას;
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეოთხედს;
გ. საპარლამეტო ფრაქციას;
დ. საქართველოს პრეზიდენტს.

№1-352.

საქართველოს ეროვნული ბანკი:
ა. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულია და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს პრეზიდენტს.
ბ. დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.
გ. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულია და თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.
დ. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულია და თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე.

№1-353.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანო?
ა. საქართველოს მთავრობა.
ბ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.

№1-354.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არ არის საქართველოს სამხედრო ძალების დანიშნულება (ფუნქცია)?
ა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.
ბ. ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა.
გ. ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება.
დ. ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

№1-355.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს:
ა. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით საბჭოს წევრთაგან ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს მთავრობა.

გ. ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით საბჭოს წევრთაგან ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
დ. ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

№1-356.

რა წესით ხდება საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის განსაზღვრა (დამტკიცება)?

ა. ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
გ. ამტკიცებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო.
დ. ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

№1-357.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს პრეზიდენტის ერთპიროვნული ბრძანების შესაბამისად საქართველოს სამხედრო ძალების ერთი ნაწილი გაგზავნილ იქნა საზღვარგარეთ. თქვენი აზრით:

ა. გადაწყვეტილება სწორია. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.
ბ. გადაწყვეტილება არასწორია, საჭირო იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს თანხმობა.
გ. გადაწყვეტილება სწორია, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
დ. გადაწყვეტილება არასწორია, საჭირო იყო საქართველოს პარლამენტის თანხმობა.

№1-358.

საქართველოში მასობრივი არეულობის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა, დადგენილი წესით შემოიღო საგანგებო მდგომარეობა და შემდგომ ერთპიროვნულად გადაწყვიტა წესრიგის აღსადგენად სამხედრო ძალების გამოყენება. თქვენი აზრით:

ა. გადაწყვეტილება არასწორია. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გააჩნია.
ბ. გადაწყვეტილება სწორია, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
გ. გადაწყვეტილება არასწორია. მასობრივი არეულობის მოწესრიგება არ არის სამხედრო ძალების ფუნქცია. გარდა ამისა სამხედრო ძალების გამოყენება პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცებინოს პარლამენტს.
დ. გადაწყვეტილება სწორია, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონურება, რაც შეუძლებელია მასობრივი არეულობის დროს.

№1-359.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა წესის დაცვით არის დასაშვები სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის გამოყენება საქართველოში?

ა. სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის გამოყენება საქართველოში დასაშვებია მხოლოდ საომარ პირობებში საქართველოს პრეზიდენტის გადწყვეტილების საფუძველზე.

ბ. სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების გამოყენება საქართველოში დასაშვებია საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა.
გ. სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების გამოყენება საქართველოში დასშვებია ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით.
დ. სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინადადებით იღებს საქართველოს პარლამენტი.

№1-360.

საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონის მიღება ხდება:
ა. რეფერენდუმზე საერთო სახალხო კენჭისყრით.
ბ. საქართველოს პარლამენტის მიერ, რომელიც რატიფიცირებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული ერთეულების - ავტონომიების მიერ.
გ. საქართველოს პარლამენტის მიერ.
დ. გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

№1-361.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა უნდა შეჩერდეს:
ა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში.
ბ. საქართველოს პარლამენტის არდადეგებზე ყოფნის დროს.
გ. საქართველოს პრეზიდენტის ავადმყოფობის დროს.
დ. თუ დანიშნულია საქართველოს პარლამენტის არჩევნები.

№1-362.

რა შემთხვევაში უნდა შეჩერდეს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი?
ა. თუ მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.
ბ. საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში.
გ. თუ საქართველოს პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას.
დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ავადმყოფობის შემთხვევაში.

№1-363.

საქართველოს ,,სამართლიანობისა და კანონიერების" პარტიამ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოსთხოვა მას საქართველოს პრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და დაპატიმრება. მოთხოვნაში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტს ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული. გენერალურმა პროკურატურამ არც საქმე აღძრა და არც დააპატიმრა პრეზიდენტი. შეაფასეთ პროკურატურის ქმედება
ა. ქმედება არასწორია. საქმე უნდა აღიძრას, მაგრამ პრეზიდენტის დაპატიმრება დაუშვებელია.
ბ. პროკურატურა სწორად მოიქცა. პრეზიდენტს თანამდებობაზე ყოფნის დროს იმუნიტეტი გააჩნია, იგი ხელშეუვალია.
გ. ქმედება არასწორია. საქმეც უნდა აღიძრას და პრეზიდენტიც შეიძლება დაპატიმრდეს, ამისათვის საჭიროა პარლამენტის თანხმობა.
დ. ქმედება არასწორია. საქმეც უნდა აღიძრას და პრეზიდენტიც შეიძლება დაპატიმრდეს, ამისათვის საჭიროა საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების დასკვნა.

№1-364.

სოფელ შუამთის საკრებულოს საქმიანობამ, საფრთხე შეუქმნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას. სასამართლომ, პრეზიდენტის რწმუნებულის მოთხოვნის საფუძველზე, შეაჩერა სოფელ შუამთის საკრებულოს საქმიანობა. სწორია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, რადგან საკრებულოს საქმიანობის შეჩერების უფლება აქვს პრეზიდენტს, პრეზიდენტის რწმუნებულის წარდგინების საფუძველზე.

ბ. დიახ, ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება ჰქონდა სასამართლოს.

გ. არა, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს.

დ. არა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერების უფლება აქვს პრეზიდენტს, პარლამენტის თანხმობით.

№1-365.

თუ ერთი და იმავე დონის (იერარქიის) სამართლის ნორმათა შორის არის კოლიზია, რომელი კანონი უნდა გამოიყენოს სასამართლომ მის განხილვაში არსებული დავის გადასაწყვეტად?

ა. საქართველოს კონსტიტუცია.

ბ. უფრო ახალი კანონი.

გ. უფრო ადრე მიღებული კანონი.

დ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

№1-366.

მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან:

ა. საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ბ. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

გ. საქართველოს პრაზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე.

დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე.

№1-367.

შეიძლება თუ არა საქართველოს მოქალაქეს ჩამოერთვას მოქალაქეობა?

ა. შეიძლება.

ბ. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

გ. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

დ. შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ჩაიდინა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

№1-368.

საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყანაში ან მის ნაწილში შეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი უფლება და თავისუფლება.:

ა. სიცოცხლის ძირითადი უფლება.

ბ. საკუთრებისა და მემკვიდრეობის ძირითადი უფლება.

გ. ადამიანის ღირსების ძირითადი უფლება.

დ. სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებები.

№1-369.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს პარლამენტს წელიწადში ორჯერ წარუდგენს მოხსენებას:

ა) ქვეყანაში არსებულ საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
ბ) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გამოვლენილ და აღკვეთილ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით;
გ) მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით;
დ) თავის საქმიანობასთან დაკავშირებით;

№1-370.

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს:

ა. არჩევნებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.
ბ. არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
გ. არჩევნებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.
დ. არჩევნებამდე არაუგვიანეს 20 დღისა.

№1-371.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?

ა) ფულის ემისიის წესი და პირობები დგინდება კანონით;
ბ) ფულის ემისიის წესი და პირობები დგინდება ორგანული კანონით;
გ) ფულის ემისიის წესი და პირობები დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებით;
დ) ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ანკს;

№1-372.

რა შემთხვევაში აქვს საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებას ან ხელშეკრულებას უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ?

ა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი შეიცავს შესაბამის მითითებას.
ბ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ან შეთაანხმებას საერთოდ არ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტების მიმართ.
გ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს.
დ. თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

№1-373.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, იმ რაიონებში სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას:

ა) უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე თარჯიმანთა შესაბამისი დაწესებულების არსებობა;
ბ) უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
გ) უზრუნველყოფილია იმ ენაზე სამართლწარმოება, რომელსაც ფლობს შესაბამისი რაიონის მოსახლეობა;
დ) ასე თრამეს კონსტიტუცია საერთოდ არ ითვალისწინებს;

№1-374.

ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?

ა) მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ორი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 3 წევრით განახლების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას;
ბ) მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის სამი მეხუთედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 3 წევრით განახლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი 7 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას;
გ) მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას;
დ) მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის სამი მეხუთედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 3 წევრით განახლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი 10 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად მთავრობის შემადგენლობას;

№1-375.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის. სამშობლოს ღალატის, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენების უფლება აქვს:
ა. საქართველოს გენერალურ პროკურორს.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.
გ. პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
დ. პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს.

№1-376.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ:
ა) მთავრობა გადაყენებულად ითვლება;
ბ) საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას;
გ) საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას;
დ) საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს;

№1-377.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან, რომელთაგან:
ა. სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, სამ წევრს ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
ბ. ოთხ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხუთ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
გ. სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.
დ. ოთხ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ოთხ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო, ერთ წევრს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს – ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

№1-378.

საქართველოს სახალხო დამცველი კანონის შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს ევროკავშირის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს;

ბ. საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს;

გ. საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს ევროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს;

დ. არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-379.

საქართველოს პარლამენტის წევრი, ვ. დობორჯგინიძე, სასამართლომ სცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად, რის გამოც მას პარლამენტმა, დადგენილებით ვადამდე ადრე შეუწვიტა ულებამოსილება.

სწორია თუ არა პარლამენტის დადგენილება, პარლამენტის წევრისთვის, სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის გამო, უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ?

ა. არა, რადგან პარლამენტს არ უნდა შეეწყვიტა მისთვის უფლებამოსილება ვადამდე ადრე, სანამ სასამართლო არ სცნობდა გარდაცვლილად.

ბ. არა, რადგან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს, ცენტრალური საარჩევნო კომისია და არა პარლამენტი.

გ. დიახ, რადგან სასამართლოს მიერ პარლამენტის წევრის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობა, წარმოადგენს მისთვის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველს.

დ. არა, რადგან პარლამენტის წევრის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის გამო, მისი უფლებამოსილებას ვადამდე შეწყვეტის უფლება აქვს უზენაეს სასამრთლოს.

№1-380.

პარლამეტის თავმჯდომარემ, რომელიც პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების გახორციელების შეუძლებლობის გამო, ასრულებდა პრეზიდენტის მოვა-ლეობას, 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით, დანიშნა რეფერენდუმი.

ეწინააღმდეგება თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციას?

ა. დიახ, პარლამენტის თავმჯდომარეს არ ჰქონდა უფლება მიეღო გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, რადგან 200000 ამომრჩევლის მოთხოვნა არ წარმოადგენს რეფერენდუმის დანიშვნის საფუძველს.

ბ. არა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა მიეღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შემავალ ნებისმიერ საკითხზე.

გ. არა, რადგან რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვდა 200000 ამომრჩეველი და პარლამენტის თავმჯდომარე ვალდებული იყო დაენიშნა რეფერენდუმი.

დ. დიახ, რადგან, კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას, არ აქვს რეფერენდუმის დანიშვნის უფლება.

№1-381.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ბიუჯეტის პროექტს პარლამეტს წარუდგენს:

ა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ბ. საქართველოს პრეზიდენტი.

გ. საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.

დ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

№1-382.

საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანებულებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დანიშნა ზ. თავაძე, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა და გადადგა თანამდებობიდან.

ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას პრეზიდენტის ბრძანებულება?

ა. არა, რადგან საქართველოს კონსტიტუციით არ არის დაშვებული, ერთი და იმავე პირის, საკონტიტუციო სასამართლოს წევრად, რამდენჯერმე დანიშვნის საკითხი.

ბ. დიახ, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

გ. არა, რადგან საკონსტიტუციო სასამრთლოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა, მაგრამ, გადადგა თანამდებობიდან.

დ. დიახ, რადგან საქართველოს პრეზიდენტს არ აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის უფლება.

№1-383.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების:

ა. კანონიერების საკითხს.

ბ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან შესაბამისობის საკითხს.

გ. კონსტიტუციასთან და საქართველოს კანონებთან შესაბამისობის საკითხს.

დ. კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს.

№1-384.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა მოქალაქეთა ჯგუფმა (სულ საბურთალოს რაიონის 50000 ამომრჩეველი), საქართველოს პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლითაც საბურთალოს რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ი. სულაძეს, ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სარჩელი განმწესრიგემელ სხდომაზე და მიიღო განჩინება სარჩელის არსებითად განსახილველად არ მიღების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ სარჩელი შეტანილი არ იყო უფლებამოსილი პირის მიერ.

კანონიერია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, სარჩელის არსებითად განსახილველად არ მიღების თაობაზე?

ა. არა, რადგან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეყვეტის შესახებ, პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობაზე, სარჩელის შეტანის უფლება აქვს ამომრჩეველთა ჯგუფს.

ბ. დიახ, რადგან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეყვეტის შესახებ, პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობაზე, სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს აგრეთვე იმ მოქალაქეს, ვისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა.
გ. დიახ, რადგან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეყვეტის შესახებ, პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობაზე გადაწყვეტილების მიღება, არ განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.
დ. არა, რადგან საკონსტიტუციოში სარჩელის შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ, არ წარმოადგენს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.

№1-385.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია:
ა. გადაწყვეტილება, განჩინება, დასკვნა.
ბ. განჩინება, დადგენილება, გადაწყვეტილება.
გ. გადაწყვეტილება, საოქმო ჩანაწერი, დასკვნა.
დ. გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი, დასკვნა.

№1-386.

საკონსტიტუციო სასამრთლოში ნორმატიული აქტის, ან მისი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე, კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით, სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
ა. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს.
ბ. მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.
გ. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს სახალხო დამცველს.
დ. საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, საქართველოს სახალხო დამცველს.

№1-387.

საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ, პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის ვადა:
ა. არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან.
ბ. არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას, პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან.
გ. არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან.
დ. არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს, პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან.

№1-388.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:
ა) ორგანული კანონით დადგენილი წესით;
ბ) საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
გ) რეგლამენტით დადგენილი წესით;
დ) ასეთი უფლებამოსილება პარლამენტს არ გააჩნია;

№1-389.

საქართველოს პრეზიდენტმა არ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. საქართველოს პარლამენტმა 96-ე დღეს კვლავ გამოუცხადა საქართველოს მთავრობას უნდობლობა. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, როგორ შეუძლია მოიქცეს საქართველოს პრეზიდენტს?

ა) გადააყენებს მთავრობას;

ბ) ასეთ შემთხვევაში მთავრობა გადაყენებულად ითვლება საქართველოს პრეზიდენტი ვერაფერს ვეღარ მოიმოქმედებს;

გ) გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს;

დ) დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს;

№1-390.

საქართველოს პრეზიდენტმა საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეუსაბამობის საფუძველზე გააუქმა საქართველოს მთავრობის დადგენილება. კონსტიტუციურია თუ არა პრეზიდენტის მოქმედება?

ა. არა, რადგან მთავრობის დადგენილების გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ პრემიერ-მინისტრს.

ბ. დიახ, რადგან პრეზიდენტი უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოს მთავრობის აქტები.

გ. არა, რადგან მთავრობის დადგენილების გაუქმება დაუშვებელია.

დ. დიახ, რადგან პრეზიდენტი უფლებამოსილია გააუქმოს მისდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა აქტები.

№1-391.

საქართველოს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს:

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

ბ. პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

გ. პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორ მესამედს.

დ. პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარს.

№1-392.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დასვას მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილველად:

ა. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით.

ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით.

გ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან დაკავშირებით.

დ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან დაკავშირებით.

№1-393.

საქართველოს სახალხო დამცველის არჩევისათვის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ:

ა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს.

ბ. მხოლოდ საპარლამენტო ფრაქციას.

გ. მხოლოდ პარლამენტის წევრთა, სულ ცოტა ექვსკაციან ჯგუფს, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში.

დ. ყველა ზემოხსენებულს.

№1-394.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის საჭიროა:

ა. საქართველოს პარლამენტის თანხმობა.

ბ. საქართველოს პრეზიდენტის თანხმობა.

გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანხმობა.

დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობა.

№1-395.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, გამოიყენა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარადგინა კანონპროექტი «ადვოკატურის შესახებ». შესაბამისი კომიტეტის მიერ, კანონპროექტის განხილვის შედეგად, გაიცა უარყოფითი დასკვნა, პროექტის ხარვეზიანობის გამო კომიტეტმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად, მისი განსახილველად წარდგენა. კომიტეტის უარყოფითი დასკვნის გამო, პროექტი არ იქნა წარდგენილი განსახილველად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. პროექტის შემმუშავებელმა დეპუტატმა მოითხოვა კანონპროექტის განხილვის დაწყება.

უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა დეპუტატის მოთხოვნა?

ა. არა, პარლამენტის კომიტეტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე განხილვას არ ექვემდებარება.

ბ. არა, პარლამენტის კომიტეტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კანონპროექტი შეიძლება განხილულ იქნეს პლენარულ სხდომაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს საპარლამენტო ფრაქცია.

გ. დიახ, პარლამენტის კომიტეტის უარყოფითი დასკვნა, არ წარმოადგენს დაბრკოლებას, პარლამენტის მიერ, პლენარულ სხდომაზე, კანონპროექტის განხილვისათვის(რეგლამენტი. თავიXXI).

დ. დიახ, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე პირის მიერ, კანონპროექტის პარლამენტის განსახილველად წარდგენა, არ საჭიროებს კომიტეტის დასკვნას.

№1-396.

15 წლის გ-ს მშობლებმა შეიცვალეს მოქალაქეობა. გ-მ არ ისურვა მოქალაქეობის შეცვლა, მიუხედავად მშობლების მოთხოვნისა. ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხებიდან, მიუთითეთ საკითხის გადაწყვეტის სწორი პასუხი:

ა. ორივე მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა, ყველა შემთხვევაში იწვევს არასრულწლოვანი შვილის მოქალაქეობის შეცვლას.

ბ. ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა, ავტომატურად იწვევს 16 წელს მიუღწეველი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

გ. 14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა, შეიძლება მხოლოდ მისი თანმხობით.

დ. მოქალაქეობის შეცვლისას ბავშვის თანხმობა ყველა შემთხვევაში საჭიროა.

№1-397.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარედგინა მთავრობის წევრის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხის აღძვრის წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედი. იმპიჩმენტის წესით მთავრობის წევრის გადაყენების საკითხის აღძვრის მოთხოვნას საფუძვლად დაედო მექრთამეობა.

იმპიჩმენტის წესით მთავრობის წევრის გადაყენების საკითხი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დასკვნისათვის უნდა გადასცეს:
ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.
ბ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს.
დ. საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

№1-398.
საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ არის უფლებამოსილი მთავრობის ნდობის საკითხი დასვას პარლამენტში განსახილველ:
ა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.
ბ. საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით.
გ. კონტროლის პალატის უფლებამოსილებათა შესახებ კანონპროექტთან დაკავშიორებით.
დ. თავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით.

№1-399.
საქართველოს საპატიო მოქალაქეობას ანიჭებს:
ა. საქართველოს პრეზიდენტი
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

№1-400.
საქართველოს მოქალაქედ არ მიიღება პირი თუ:
ა. არ ყავს საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ნათესავები.
ბ. არ აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო.
გ. მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში.
დ. მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში.

(ახალი რედაქცია) **№1-401.**
"საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები საჯაროა;
ბ. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები საჯაროა, თუ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო შესაბამისი დაწესებულების ხელმძვანელმა;
გ. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია;
დ. არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-402.

საქართველოს ''მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიხედვით მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით იქმნება:

ა. სახელმწიფო კანცელარია.
ბ. მთავრობის კანცელარია.
გ. მთავრობის ადმინისტრაცია.
დ. საკოორდინაციო საბჭო.

№1-403.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლო შედგება:

ა) პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან;
ბ) პლენუმისა და დიდი პალატისაგან;
გ) დიდი პალატისა და სამი კოლეგიისაგან;
დ) სამი კოლეგიისაგან

№1-404.

საქართველოს მთავრობისათვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების შესახებ საკითხის აღძვრის შემდეგ საქართველოს პარლამენტი მთავრობას უნდობლობას უცხადებს:

ა. სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.
ბ. სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით.
გ. სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.
დ. სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევრის უმრავლესობით.

№1-405.

თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი:

ა. 5 დღის ვადაში პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სხვა წევრებს, იმავდროულად ითხოვს პარლამენტს და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.
ბ. 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. მეორე შემთხვევაში პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.
გ. ერთი კვირის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრების ახალ კანიდატურებს.
დ. 5 დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს, ითხოვს პარლამენტს და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

№1-406.

მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს:

ა. მინისტრი.

ბ. მინისტრის წარდგინებით, მინისტრის პირველ მოადგილეს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მოადგილეებს – პრემიერ-მინისტრი.
გ. მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს, მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პემიერ-მინისტრი.
დ. მინისტრის პირველ მოადგილეს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს მთავრობა, ხოლო მინისტრის მოადგილეებს საქართველოს პრეზიდენტი.

№1-407.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, თუ საქმის პლენუმისათვის გადაცემა გამოწვეულია საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან\და გამოყენების იშვიათი ან\და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემით:
ა) საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ერთი კვირის ვადაში წყვეტს საქმის კოლეგიაში განხილვის საკითხს, რომლის შესახებაც იღებს განჩინებას;
ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ორი კვირის ვადაში წყვეტს საქმის კოლეგიაში განხილვის საკითხს, რომლის შესახებაც იღებს საოქმო ჩანაწერს;
გ) საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი 15 დღის ვადაში წყვეტს საქმის პლენუმზე განხილვის საკითხს, რომლის შესახებაც იღებს საოქმო ჩანაწერს;
დ) საკონსტიტუციოს სასამართლოს პლენუმი ორი კვირის ვადაში წყვეტს საქმის პლენუმზე განხილვის საკითხს, რომლის შესახებაც იღებს შესაბამის სოქმო ჩანაწერს ან განჩინებას;

№1-408.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქმის, რომელიც თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან\და გამოყენების იშვიათ ან\და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას, განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 2 თვეს;
ბ) 3 თვეს;
გ) 6 თვეს;
დ) 9 თვეს;

№1-409.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, კომპეტენციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის მიღებიდან რა ვადაში უნდა გადაეგზავნოს სარჩელის ასლი საქართველოს პრეზიდენტს?
ა) პრეზიდენტს ასლი არ ეგზავნება;
ბ) სარჩელის მიღებისთანავე;
გ) სარჩელის მიღებიდან 5 დღის ვადაში;
დ) სარჩელის მიღებიდან 7 დღის ვადაში;

№1-410.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტის დათხოვნა დაუშვებელია:
ა. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის პირველი 6 თვის განმავლობაში.
ბ. საგაზაფხულო სესიის მიმდინარეობისას.

გ. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.
დ. საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ერთი წლის განმავლობაში.

№1-411.

როგორი იურიდიული ძალა აქვთ კონსტიტუციით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს?

ა. ისინი გამოიყენება, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, რომლითაც სახელმწიფო შეზღუდულია ხელისუფლების განხორციელებისას.
ბ. მათ იურიდიული ძალა აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი კანონებში კონკრეტული ნორმების სახითაა განმტკიცებული.
გ. მათ იურიდიული ძალა აქვთ, მხოლოდ სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ურთიერთობებში.
დ. მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი იურიდიული ძალა და მხოლოდ საზოგადოების დემოკრატიულობის საზომად გამოიყენება.

№1-412.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით კომპეტენციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის მიღებისთანავე საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის ასლს რომელს არ უგზავნის?

ა)საქართველოს პრეზიდენტს;
ბ) საქართველოს მთავრობას;
გ) სახახლო დამცველს;
დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს;

№1-413.

საქართველოს პარლამენტმა დადგენილი წესით მიიღო კანონპროექტი და ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად გადასცა იგი საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც გამოიყენა ვეტოს უფლება, არ მოაწერა ხელი კანონპროექტს და თავის შენიშვნებთან ერთად, 10 დღის ვადაში, უკან დაუბრუნა პარლამენტს. პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი უყარა კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას და მიიღო იგი. კანონპროექტი კვლავ გადაეცა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად. საქართველოს პრეზიდენტმა კვლავ არ მოაწერა მას ხელი და არ გამოაქვეყნა.. მიუთითეთ რა ბედი ეწევა კანონპროექტს?

ა. კანონპროექტს ძალაში შესვლის საკითხი, უნდა გადაწყდეს რეფერენდუმის ჩატარებით.
ბ. კანონი ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნდება ხელმოწერის გარეშე.
გ. კანონპროექტს ხელს მოაწერს და გამოაქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.
დ. კანონპროექტი არ შევა ძალაში მანამ, სანამ მას ხელს არ მოაწერს პრეზიდენტი.

№1-414.

როგორია საქართველოს მთავრობის შემადგენლობა?

ა. საქართველოს მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, მინისტრებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეებისაგან.
ბ. საქართველოს მთავრობა შედგება მინისტრების, სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეების, სახელმწიფო ინსპექციების ხელმძღვანელების და კონტროლის პალატის თავმჯდომარისაგან.

გ. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები) .
დ. მთავრობა შედგება სახელმწფიო მინისტრის, მინისტრების, პარლამენტის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და კონტროლის პალატის თავმჯდომარისაგან.

№1-415.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებისადმი პრინციპული უთანხმოების გამო, გადაწყვიტა თანამდებობიდან გადადგომა. ვის უნდა მიმართოს გადადგომის შესახებ განცხადებით მინისტრმა?
ა. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.
ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრს.
გ. საქართველოს პარლამენტს.
დ. საქართველოს პრეზიდენტს.

(ახალი რედაქცია)№1-416.

საქართველოს ''სახალხო დამცველის შესახებ'' ორგანული კანონის შესაბამისად, რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. სახალხო დამცველი ან სპეციალური ანტიკორუფციული ჯგუფის წევრი ამოწმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას;
ბ. მხოლოდ სახალხო დამცველი ამოწმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას;
გ. სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას;
დ. არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-417.

ვრცელდება თუ არა საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი იურიდიულ პირებზე?
ა. არა, ვინაიდან ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ვრცელდება მხოლოდ ადამიანებზე.
ბ. არა, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე.
გ. დიახ, ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.
დ. დიახ, ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

№1-418.

რა შემთხვევაში დაიშვება საქართველოს პარლამენტის წევრის გაწვევა?
ა. თუ მან ჩაიდინა პარლამენტის წევრისათვის შეუფერებელი საქციელი.
ბ. თუ მას მსჯავრი დაედო მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

გ. თუ საქართველოს პარლამენტის წევრი არ ასრულებს ამომრჩევლებისათვის მიცემულ დაპირებებს.
დ. საქართველოს პარლამენტის წევრის გაწვევა დაუშვებელია.

№1-419.

საქართველოს კონსტიტუცია აფხაზეთს მოიხსენიებს როგორც:
ა. აფხაზეთის რესპუბლიკას.
ბ. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.
გ. აფხაზეთს.
დ. აფხაზეთის ყოფილ ავტონომიურ რესპუბლიკას.

№1-420.

საზოგადობრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება შეიძლება:
ა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
ბ. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
გ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
დ. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს პალამენტის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

№1-421.

ვინ ირჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს?
ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.
ბ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.
გ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.
დ. საქართველოს პარლმენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

№1-422.

არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას იხილავს:
ა. საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლო.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
დ. საოლქო სასამართლოები.

№1-423.

საქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება:
ა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ კანონის ხელმოწერის დღე.
ბ. კანონის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების დღე.
გ. საქართველოს პარლამენტის მიერ, კანონის პირველი წაკითხვით მიღების დღე.
დ. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონის საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

№1-424.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტით, გაიზარდა ჯარიმა ქალაქის იერსახის დამახინჯებისათვის. საკანონმდებლო აქტი არ შეიცავდა მითითებას მისი ძალაში შესვლის თარიღზე. მიუთითეთ რა მომენტიდან შევა საკანონმდებლო აქტი ძალაში:

ა. საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებისთანავე.

ბ. კანონი ძალაში შედის საქართველოს პრეზიდენტის მიერ აქტზე ხელის მოწერის დღიდან.

გ. საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

დ. საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კანონის გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

№1-425.

უზენაესი სასამართლოს წევრის დაკავება შეიძლება მხოლოდ:

ა. საქართველოს პარლამენტის თანხმობით.

ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანხმობით.

გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით.

დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობით.

№1-426.

"საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ვინ ამტკიცებს კონსტიტუციური სარჩელის /წარდგინების სააპლიკაციო ფორმას?

ა. პარლამენტი;

ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

გ. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი;

დ. საქართველოს პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

№1-427.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება, რომელს არ აქვს?

ა) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს;

გ) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს;

დ) საქართველოს პრეზიდენტს;

*(ახალი რედაქცია)***№1-428.**

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები დგინდება:

ა. კანონით.

ბ. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

გ. საარჩევნო კოდექსით.

დ. ორგანული კანონით.

(ახალი რედაქცია)№1-429.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოამდგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია;

ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე;

გ. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებულნი არიან შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიატორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების წინაშე;

დ. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიატორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების წინაშე;

(ახალი რედაქცია)№1-430.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზანი არის:

ა. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა;

ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა;

გ. ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

დ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

(ახალი რედაქცია)№1-431.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საკუთრების შეძენის უფლების შეზღუდვა შეიძლება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით იმგვარად, რომ:

ა. ზიანი არ მიადგეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს;

ბ. საფრთხე არ შეექმნას სახელმწიფო ორგანოთა გამართულ საქმიანობას;

გ. არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი;

დ. უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი განაცდური.

№1-432.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელს არ აქვს უფლება მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს?

ა) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

გ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მესამედს;

დ) მოქალაქეს;

№1-433.

ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?
ა) ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე და წელიწადში ორჯერ წარუდგენს მათ თავისი საქმიანობის ანგარიშს;
ბ) ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს;
გ) ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და წელიწადში ერთხელ წარუდგენს მათ თავისი საქმიანობის ანგარიშს;
დ) ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე და წელიწადში ორჯერ წარუდგენს მათ თავისი საქმიანობის ანგარიშს;

№1-434.
"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების შემტანი იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის თუ არა უფლებამოსილი უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე?
ა) არა, რადგან ამისათვის საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება;
ბ) არა, რადგან ამის უფლებას ართმევს კანონი;
გ) დიახ, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით;
დ) დიახ, საქართველოს პარლამენტის თანხმობით;

№1-435.
იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძრვის უფლება აქვს:
ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.
ბ. პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
გ. გენერალურ პროკურორს.
დ. პარლამენტის თავმჯდომარეს.

№1-436.
საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს:
ა. იუსტიციის მინისტრს.
ბ. ეროვნული უშიშროების საბჭოს.
გ. უზენაეს სასამართლოს.
დ. საქართველოს მთავრობას.

№1-437.
კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან:
ა. მეოცე დღეს.
ბ. მეთხუთმეტე დღეს.
გ. მეათე დღეს.
დ. მეხუთე დღეს.

№1-438.
საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნა დაუშვებელია:
ა. საშემოდგომო სესიის მიმდინარეობისას.

ბ. საგანგებო მდგომარეობის დროს.
გ. პარლამენტის თავმჯდომარის საქართველოში არყოფნისას.
დ. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის პირველი ერთი წლის განმავლობაში.

№1-439.

საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალია:
ა. თავდაცვის მინისტრი.
ბ. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე.
გ. საქართველოს პრეზიდენტი
დ. საომარი მდგომარეობის დროს, პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავარსარდალი.

№1-440.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების შემტანი საერთო სასამართლო არის თუ არა უფლებამოსილი უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე?
ა) დიახ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით;
ბ) დიახ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანხმობით;
გ) არა, რადგან ამის უფლებას ართმევს კანონი;
დ) არა, რადგან ამისათვის საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება;

*(ახალი რედაქცია)***№1-441.**

ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქცონირებას ხელს უწყობს:
ა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
ბ. საქართველოს მთავრობა.
გ. საქართველოს ეროვნული ბანკი.
დ. საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები.

№1-442.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სასამართლოს ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომელსაც საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებმა ერთსულოვნად არ დაუჭირეს მხარი, მაგრამ იგი კანონით დადგენილი წესით იქნა მიღებული. ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში არ გამოქვეყნდა იმ მოსამართლის განსახვავებული აზრი, რომელიც გააჩნდა აღნიშნული საქმის განმხილველ ერთ-ერთ მოსამართლეს. კანონის შესაბამისად გამოქვეყნდა თუ არა გადაწყვეტილება?
ა. დიახ, რადგან ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში თათბირის დროს გამოთქმული განსხვავებული აზრები არ ქვეყნდება;
ბ. დიახ, რადგან გადაწყვეტილების გამოქვეყნება აღნიშნულ შემთხვევაში მხოლოდ ნებაზე იყო დამოკიდებული და კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას;
გ. არა, რადგან კანონის მიხედვით გადაწყვეტილებასთან ერთად ქვეყნდება განსხვავებული აზრის ძირითადი ამონარიდები საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში;
დ. არა, რადგან კანონის მიხედვით გადაწყვეტილება განსხვავებულ აზრთან ერთად სრული სახით ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში.

№1-443.

კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის მიერ კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობისას:

ა. სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
ბ. სახელმწიფო ბიუჯეტს დეკრეტით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
გ. სახელმწიფო ბიუჯეტს პრეზიდენტთან შეთანხმებით დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
დ. სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს მთავრობა ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით.

№1-444.

პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე პრეზიდენტი უფლებამოსილია კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი გამოსცეს:

ა. ეროვნული უშიშროების საკითხებზე.
ბ. საგადასახადო საკითხებზე.
გ. ადამიანის ძირითადი უფლებების საკითხებზე.
დ. ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე.

№1-445.

საქართველოს ერთ-ერთმა მოქალაქემ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ ერთ-ერთ საქმეზე წარადგინა თავისი წერილობითი მოსაზრება, რაც სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო. კანონის შესაბამისად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან კანონის მიხედვით, სასამართლო არ არის ვალდებული მხედველობაში მიიღოს წერილობით წარდგენილი მოსაზრება;
ბ. დიახ, რადგან კანონის მიხედვით ისეთ პირს, რომელსაც სამართლებრივი ინტერესი არ გააჩნია საქმესთან არ აქვს თავისი აზრის წარდგენის უფლება;
გ. არა, რადგა კანონის მიხედვით სასამართლოს არ ჰქონდა უფლება არ მიეღო მხედველობაში წარდგენილი მოსაზრება;
დ. არა, რადგან კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს მსგავსი სახის დებულებას.

№1-446.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამისილების ვადა განისაზღვრება:

ა. ათი წლით.
ბ. ხუთი წლით.
გ. ოთხი წლით.
დ. ცხრა წლით.

№1-447.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის, ან პირადი ჩხრეკა, დაუშვებელია:

ა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.
ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე.
გ. პარლამენტის თანხმობის გარეშე.
დ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.

№1-448.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია:
ა. ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით;
ბ. ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.
გ. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.
დ. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

№1-449.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა, ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:
ა. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს
ბ. ყველა ინსტანციის სასამართლოს.
გ. საქართველოს მოქალაქეს.
დ. პარლამენტის კომიტეტს, ფრაქციას.

*(ახალი რედაქცია)***№1-450.**
საქართველოს კონსტიტუციისა და "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველს უფლება აქვს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:
ა. საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს;
ბ. წინადადებები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით;
გ. წარადგინოს რეფერენდუმის ჩატარების ინციატივა, რაც უნდა დაკმაყოფილდეს;
დ. მოითხოვოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა, თუკი შემოწმების შედეგად მიიჩნევს რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას შეეძლო არსებითად ამოქმედა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაზე.

№1-451.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია:
ა. სასარჩელო განცხადების შეტანა.
ბ. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების წერილობით შეტანა.
გ. განცხადების შეტანა.
დ. ნორმატიული აქტების შეუსაბამობა კონსტიტუციასთან.

№1-452.
"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კოლეგიებისათვის საქმეთა გადაცემისას დაცული უნდა იქნეს:
ა. სუბსიდიარობის პრინციპი;

ბ. უნივერსალობის პრინციპი;
გ. კოლეგიებს შორის თანასწორობის პრინციპი;
დ. მათი თანაბრად განაწილების პრინციპი.

№1-453.

რომელი აქტის გამოცემა არ შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს:
ა. გადაწყვეტილება.
ბ. განჩინება.
გ. განაჩენი.
დ. საოქმო ჩანაწერი და დასკვნა

*(ახალი რედაქცია)***№1-454.**

სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები:
ა. 3 დღის განმავლობაში;
ბ. 5 დღის განმავლობაში;
გ. 10 დღის განმავლობაში;
დ. 20 დღის განმავლობაში

№1-455.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარადგინა თავდაცვის სამინისტროს დებულების პროექტი. დეტალური განხილვის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ. შეესაბამება თუ არა საქართველოს კანონმდებლობას მთავრობის გადაწყვეტილება?
ა. დიახ შეესაბამება, რადგან მთავრობა უფლებამოსილია თავდაცვის მინისტრის წარდგინების საფუძველზე დაამტკიცოს თავდაცვის სამინისტროს დებულება.
ბ. არ შეესაბამება, რადგან თავდაცვის სამინისტროს დებულებას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს ეროვნული უშიშროების საბჭო.
გ. შეესაბამება, რადგან მთავრობა უფლებამოილია მინისტრების წარდგინებით დაამტკიცოს ყველა სამინისტროს, მათ შორის თავდაცვის სამინისტრიოს, დებულებები.
დ. არ შეესაბამება, რადგან თავდაცვის სამინისტროს დებულებას მთავრობის წარდგინებით ბრძანებულებით ამკიცებს პრეზიდენტი.

№1-456.

საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში, იურიდიული ძალის მიხედვით, რას წარმოადგენს კოდექსი?
ა. უზენაეს კანონს;
ბ. ორგანულ კანონს;
გ. სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტს;
დ. კანონქვემდებარე აქტს.

№1-457.

საქართველოს სახალხო დამცველს ირჩევს:
ა. საქართველოს მოქალაქეები.

ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი.
დ. აირჩევა რეფერენდუმით.

№1-458.

საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიუღწეველ ბავშვებთან ერთად, მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ.
უწყდება თუ არა ბავშვს საქართველოს მოქალაქეობა?
ა. არ უწყდება, რადგან ერთი მშობლის მოქალაქეობის შეცვლა, არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.
ბ. ბავშვს უწყდება საქართველოს მოქალაქეობა
გ. ბავშვს არ უწყდება მოქალაქეობა, რადგანაც მოქალაქეობის შეცვლა, შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.
დ. ბავშვი ღებულობს ორმაგ მოქალაქეობას.

№1-459.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით თუ კოლეგიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება განმწესრიგებელ სხდომაზე გასატანი განჩინების პროექტს:
ა) მას უფლება აქვს, არ მიიღოს მონაწილეობა თათბირში;
ბ) აღნიშნულის თაობაზე იგი საგანგებოდ აფრთხილებს ამის თაობაზე კოლეგიის თავმჯდომარეს;
გ) მას უფლება აქვს, წარადგინოს თავისი პროექტი;
დ) იგი თავის განსხვავებულ პოზიციას წერილობით დაურთავს პროექტს;

№1-460.

საქართველოს მოქალაქედ მიიღება სრულწლოვანი უცხოელი მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკანასკნელი:
ა. 10 წლის განმავლობაში.
ბ. 5 წლის განმავლობაში.
გ. 7 წლის განმავლობაში.
დ. 4 წლის განმავლობაში.

№1-461.

საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველის მოადგილეს ნიშნავს:
ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტის წარდგინებით.
გ. საქართველოს პარლამენტი ახლად არჩეული სახალხო დამცველის წარდგინებით 2 კვირის ვადაში.
დ. თავად სახალხო დამცველი.

№1-462.

საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერება და მათი აკრძალვა დასაშვებია, მხოლოდ:
ა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, რომელიც საჩივრდება.
ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარდგინებითა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.
გ. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
დ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა შუამდგომლობის საფუძველზე.

№1-463.
უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის გამო, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. ამ დროს გადადგა ერთ-ერთი მინისტრი.
აქვს თუ არა უფლება პარლამენტის თავმჯდომარეს, მიიღოს ამ მინისტრის გადადგომა და პარლამენტის თანხმობით, დანიშნოს ახალი მინისტრი?
ა. არა, პრეზიდენტი ან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მინისტრის დანიშვნაზე.
ბ. დიახ, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს შეუძლია მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება, ასევე გადადგომის მიღება და პარლამენტის თანხმობით, ახალი მინისტრის დანიშვნა.
გ. არა, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს შეუძლია მხოლოდ მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება, ან გადადგომის მიღება.
დ. დიახ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ამის უფლება აქვს.

№1-464.
რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს:
ა. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან.
ბ. საქართველოს ყოველ მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს 21 წლის ასაკიდან.
გ. საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.
დ. საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს 18 წლის ასაკიდან.

№1-465.
საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით, მოიწვია პარლამენტის რიგგარეშე სხდომა. დღის წესრიგით გათვალიწინებული იყო მხოლოდ მთავრობის წევრთა კანდიდატურების განხილვა და დამტკიცება. ამავე სხდომაზე პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
კონსტიტუციურია თუ არა პარლამენტის მოქმედება?
ა. დიახ, რადგან პარლამენტი არ არის შეზღუდული თავისი სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრისას.
ბ. არა, რადგან რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით
გ. დიახ, რადგან განსაზღვრული დღის წესრიგით იმართება მხოლოდ პარლამენტის რიგგარეშე სესია.

დ. არა, რადგან რიგგარეშე სხდომაზე დაუშვებელია ორგანული კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

№1-466.

რომელი საკითხი არ შედის, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობაში?

ა. კავშირგაბმულობა.
ბ. ზუსტი დროის დადგენა.
გ. მეტეოროლოგიური სამსახური.
დ. ადგილობრივი ბიუჯეტის მიღება.

№1-467.

რომელი საკითხი შედის, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობაში?

ა. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.
ბ. ნაგავსაყრელების მოწყობა.
გ. ვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელება.
დ. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა.

№1-468.

საქართველოს პრეზიდენტმა, უცხო სახელმწიფოს მოთხოვნით, გამოსცა ბრძანებულება, მოქალაქე ძაგნიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ.

კონსტიტუციურია თუ არა პრეზიდენტის მოქმედება?

ა. დიახ, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა შესაძლებელია უცხო სახელმწიფოს დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში.
ბ. არა, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
გ. დიახ, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა შესაძლებელია, თუნდაც არ არსებობდეს უცხო სახელმწიფოს დასაბუთებული მოთხოვნა.
დ. არა, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევისათვის აუცილებელია პარლამენტის თანხმობა.

№1-469.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც:

ა. დაპატიმრებულია ტერორისტული აქტის განხორციელების ბრალდებით.
ბ. სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ.
გ. სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფება პოლიციეს ზედამხედველობის ქვეშ.
დ. მძიმე ავადმყოფობის გამო არ შეუძლია გადაადგილება.

№1-470.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა. საქართველოში კანონიერად მცხოვრებ ყველა ადამიანს, განურჩევლად მოქალაქეობისა.
ბ. მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქეებს.

გ. საქართველოს მოქალაქეებს.
დ. საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს.

№1-471.

საგანგებო, ან საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყანაში, ან მის რომელიმე ნაწილში, შეზღუდოს:
ა. პროფესიული კავშირების შექმნის უფლება.
ბ. ინტელექტუალური საკუთრების უფლება.
გ. სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლება.
დ. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

№1-472.

იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებას არ ექვემდებარება:
ა. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.
ბ. კონტროლის პალატის თავმჯდომარე.
გ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.
დ. მთავრობის წევრი.

№1-473.

მინისტრი უფლებამოსილებას იხსნის:
ა. საქართველოს პარლამენტის წინაშე.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
გ. საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე.
დ. საქართველოს მთავრობის წინაშე.

№1-474.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, განჩინების სხვა (განსხვავებულ) პროექტს:
ა) კენჭი ეყრება ძირითად პროექტთან ერთად;
ბ) კენჭი ეყრება ცალკე;
გ) კენჭი არ ეყრება, მაგრამ იგი დაერთვება ძირითად პროექტს;
დ) სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ეყრება კენჭი ძირითად პროექტთან ერთად;

№1-475.

მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით, უარის მიღებიდან მეშვიდე თვეს პირმა კვლავ მიმართა შესაბამის ორგანოს. აღნიშნულმა ორგანომ უარი განაცხადა განცხადების განხილვაზე იმ მოტივით, რომ "მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით პირმა ამ შემთხვევაში ვადაზე ადრე მიმართა განმეორებით საკითხის გადასაწყვეტად. სწორია თუ არა უარი?
ა)დიახ, რადგან მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით განცხადების განმეორებით განხილვა შეიძლება წინა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ;
ბ) დიახ, რადგან მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით განცხადების წარდგენა და მისი განხილვა დაუშვებელია;
გ) არა, რადგან მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების განმეორებითი განხილვა შეიძლება წინა გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ;
დ) არა, რადგან მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების განმეორებითი განხილვა შეიძლება წინა გადაწყვეტილების მიღებიდან ნებისმიერ დროს;

№1-476.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მოსაკრებლების სტრუქტურას განსაზღვრავს:
ა. საქართველოს ორგანული კანონი ან საქართველოს კანონი.
ბ. საქართველოს კანონი.
გ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, ან საქართველოს კანონი.
დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება.

(ახალი რედაქცია)№1-477.
საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი:
ა. ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე;
ბ. პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე;
გ. ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე;
დ. პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე.

(ახალი რედაქცია)№1-478.
საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს:
ა. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან, ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
გ. ირჩევს ეროვნული ბანკის საბჭო.
დ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით.

№1-479.
"საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) ორ კვირას;
ბ) ერთ თვეს;
გ) ორ თვეს;
დ) სამ თვეს;

№1-480.
საქართველოს ''მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიხედვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებას:
ა. იუსტიციის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
ბ. პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
გ. მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
დ. იუსტიციის მინისტის წარდგინებით ამტკიცებს ეროვნული უშიშროების საბჭო.

№1-481.
საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი:
ა. არის კანონის ძალის მქონე აქტი.
ბ. არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.
გ. შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.
დ. არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

№1-482.

საქართველოს ''მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' კანონის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებას:
ა. შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
ბ. მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
გ. შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს ეროვნული უშიშროების საბჭო.
დ. პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

№1-483.

თუ წარმოდგენილია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც ცალსახად დასტურდება, რომ პირი მოქალაქეობიდან გასვლის შემთხვევაში აუცილებლად მიიღებს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ ძალაში შედის:
ა) მისი ხელმოწერის დღიდან;
ბ) მისი გამოქვეყნების დღიდან;
გ) პირის მიერ შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების დღიდან;
დ) გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს;

№1-484.

ქვემოთ მოცემული დებულებებიდან რომელი არის სწორი:
ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პარლამენტში საკითხის განხილვისას საკუთარი ინიციატივით ამზადებს დასკვნას შესაბამისი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის შესახებ.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით ამზადებს დასკვნას შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევის შესახებ.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის წარდგინებით ამზადებს დასკვნას შესაბამისი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის შესახებ.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინებით ამზადებს დასკვნას შესაბამისი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის შესახებ.

№1-485.

ვის აქვს უფლება, აღძრას იმპიჩმენტის წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი?
ა. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 1/3-ს.
ბ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ ნახევარს.
გ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ს.
დ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ს.

№1-486.

საქართველოს ''მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიხედვით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება არის:
ა. აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული.
ბ. საქართველოს მთავრობის კანცელარიის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული.
გ. სამინისტროს გამგებლობაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამგებლობაში მყოფი სტრუქტურული ერთეული.

№1-487.
საქართველოს ''მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიხედვით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დებულებას ამტკიცებს:
ა. პრემიერ-მინისტრი.
ბ. პრეზიდენტი
გ. მინისტრი.
დ. პარლამენტის თავმჯდომარე.

№1-488.
იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას, მოქმედებს:
ა. ის აქტი, რომელიც უფრო გვიან არის მიღებული (გამოცემული).
ბ. ის აქტი, რომელიც უფრო გვიან არის პარლამენტში შეტანილი.
გ. ის აქტი, რომელიც უფრო გვიან არის გაგზავნილი.
დ. ის აქტი, რომელიც უფრო ადრე არის ძალაში შესული.

№1-489.
საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაშია (თუ იმავე ბრძანებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი):
ა. ხელმოწერისთანავე.
ბ. გამოქვეყნებისთანავე.
გ. ხელმოწერიდან მეშვიდე დღეს.
დ. გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.

№1-490.
ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებები ხელშეუხებელია. ამ უფლებების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია:
ა. საქართველოს პეზიდენტის გადაწყვეტილება.
ბ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება.
გ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება.
დ. კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

№1-491.
საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უარი განაცხადა «ქალთა პოლიტიკური გაერთიანების" რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ პარტიის წესდების მიხედვით

მისი წევრები მხოლოდ ქალები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. კანონიერია თუ არა სამინისტროს ეს გადაწყვეტილება?
ა. კანონიერია, რადგან იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს ნებისმიერი მოტივით და საერთოდ დასაბუთების გარეშე უთხრას უარი რეგისტრაციაზე პოლიტიკურ გაერთიანებებს.
ბ. უკანონოა, რადგან იუსტიციის სამინისტო ვალდებულია ყოველგვარი შემოწმების გარეშე ავტომტურად გაატაროს რეგისტრაციაში ნებისმიერი პარტია.
გ. კანონიერია, რადგან დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა სქესის მიხედვით.
დ. უკანონოა, რადგან დაუშვებელია ქალთა პოლიტიკური გაერთიანებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმა.

№1-492.
ვის აქვს უფლება, უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის კანდიდატურა, რომელსაც ჩაბარებული არა აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა?
ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.
გ. საქართველოს პრეზიდენტს.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმს.

*(ახალი რედაქცია)***№1-493.**
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი:
ა. წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად;
ბ. წარმართავს ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკას ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად;
გ. წარმართავს ქვეყნის საბანკო პოლიტიკას საბანკო სისტემას სტაბილურობის უზრუნველსაყოფად;
დ. კვალიფიციურ დასკვნას აძლევს საქართველოს მთავრობას ბიუჯეტის პროექტზე.

№1-494.
სასამართლოს შეუძლია აკრძალოს ისეთი საზოგადოებრივი გაერთიანების არსებობა რომელიც:
ა. დაფუძნებულია არასრულწლოვანთა მიერ.
ბ. დაფუძნებულია მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ.
გ. საქმიანობს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის მიზნით.
დ. საქმიანობს მხოლოდ უცხოური შემოწირულობებისა და გრანტების საშუალებით.

№1-495.
საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი «საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ». კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის. დაცულია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები?
ა. არა, სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

ბ. დიახ, საქართველოს კონსტიტუცია უშვებს შესაძლებლობას, რომ სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულ იქნეს კანონით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.
გ. არა, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, კონსტიტუციის მიხედვით მისი შემოღება შეიძლებოდა მხოლოდ მის სრულ გაუქმებამდე.
დ. დიახ, სიკვდილით დასჯა შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კანონით, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

№1-496.

საგანგებო მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, აიკრძალა საზოგადოებრივ გაერთიანებათა რეგისტრაცია, გარდა იმ გაერთიანებებისა, რომელთა მიზანია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ზრდისათვის ხელშეწყობა
დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია?
ა. არა, საგანგებო მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეზღუდოს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლება.
ბ. დიახ, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეზღუდოს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლება, მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს.
გ. არა, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეზღუდოს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლება, ნებისმიერ დროს.
დ. დიახ, საქართველოს პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი შეზღუდოს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლება, მიუხედავად საგანგებო მდგომარეობისა.

№1-497.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება:
ა. ორგანული კანონით.
ბ. კონკორდატით.
გ. კონსტიტუციური შეთანხმებით.
დ. კონსტიტუციური კანონით.

№1-498.

რომელი ორგანოს წინაშე არის ანგარიშვალდებული საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე?
ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
ბ. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის;
გ. საქართველოს პარლამენტის;
დ. უზენაესი სასამართლოს პლენუმის;

№1-499.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით რამდენ დღეში უნდა გამოქვეყნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება?
ა) საერთოდ არ ქვეყნდება;
ბ) 5 დღეში;
გ) 7 დღეში;

დ) 15 დღეში;

№1-500.

ვინ ნიშნავს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებს?

ა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
ბ. უზენაესი სასამართლო.
გ. პრეზიდენტი.
დ. პარლამენტი.

№1-501.

საქართველოს ''მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიხედვით ვის კომპეტენციაში შედის მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის გაუქმება?

ა. პარლამენტის.
ბ. მთავრობის.
გ. გენერალური პროკურორის.
დ. პრემიერ-მინისტრის.

№1-502.

როდის შეიქმნა პირველი ქართული კონსტიტუცია?

ა. 1921 წელს, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლამდე 4 დღით ადრე.
ბ. 1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე.
გ. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ.
დ. 1917 წელს, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ.

№1-503.

რომელი თანამდებობის პირები შედიან მთავრობის შემადგენლობაში?

ა. მინისტრები და სახელმწიფო დეპარტამენტების ხელმძღვანელები.
ბ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი და მინისტრები.
გ. პრემიერ-მინისტრი,სახელმწიფო მინისტრი(მინისტრები) და მინისტრები.
დ. მინისტრები და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლები.

№1-504.

პირს, რომელიც ყველანაირ პირობას აკმაყოფილებდა იმისათვის, რომ მიეღო მოქალაქეობა უარი ეთქვა მოქალაქედ მიღებაზე სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სწორია თუ არა უარი?

ა) არ არის სწორი, რადგან ასეთი საფუძვლით უარის თქმა მოქალაქედ მიღებაზე დაუშვებელია;
ბ) არ არის სწორი, რადგან ასეთ შემთხვევაში უარის თქმას საფუძვლად უნდა ედოს სასამართლოს გადაწყვეტილება;
გ) სწორია, რადგან კანონი ითვალისწინებს მოქალაქედ მიღებაზე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უარის თქმის შესაძლებლობას;
დ) სწორია, რადგან მოქალაქედ მიღებაზე უარი ნებისმიერი საფუძვლით არის შესაძლებელი;

№1-505.

"საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ჩამოთვლილთაგან, რომელი არის მოქალაქედ მიღების პირობა?

ა) საქართველოს საწარმოში წილების ან აქციების ფლობა;
ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრება უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში;
გ) საქართველოს პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობა;
დ) საქართველოში ნებისმიერი ქონების საკუთრებაში ქონა;

№1-506.

ჩამოთვლილთაგან ვინ გამოსცემს დადგენილებას?

ა. პრეზიდენტი.
ბ. ეროვნული უშიშროების საბჭო.
გ. ეროვნული ბანკის საბჭო.
დ. მინისტრი.

№1-507.

ვის აქვს სახელმწიფო შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლება?

ა. საქართველოს პარლამენტს.
ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს.
გ. საქართველოს პრეზიდენტს.
დ. საქართველოს მთავრობას პრეზიდენტთან შეთანხმებით.

№1-508.

ჩამოთვლილთაგან რომელია წარმომადგენლობითი ორგანო?

ა. საელჩო.
ბ. საკრებულო.
გ. ეროვნული უშიშროების საბჭო.
დ. მთავრობა.

№1-509.

რა ვადაში უნდა დაიწყოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის არსებითი განხილვა საქართველოს პარლამენტში?

ა.კანონპროექტის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.
ბ. საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
გ. პარლამენტის კომიტეტებში კანონპროექტის განხილვიდან 15 დღის ვადაში.
დ. კანონპროექტის მომზადებიდან 3 თვის ვადაში.

№1-510.

რა შემთხვევაში მიიღება ორგანული კანონი?

ა.გადასახადების შემოღების თაობაზე.
ბ.კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში.
გ.სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების, ან გამკაცრების საკითხთან დაკავშირებით.
დ. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3-ის მოთხოვნით.

№1-511.

ვინ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე უკონკურსოდ?

ა. სამმართველოს უფროსი.
ბ. განყოფილების გამგე.
გ. ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის მქონე პირი.

დ. მინისტრის თანაშემწეები;

№1-512.

"სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, რა ავალდებულებს საქართველოს სახალხო დამცველს ითანამშრომლოს გაეროს შესაბამის ორგანოებთან და მექანიზმებთან, აგრეთვე საერთაშორისო რეგიონალურ და ეროვნულ ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობის სფეროსაც განეკუთვნება პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა დაცვის უზრუნველყოფა?

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) ასეთი ვალდებულება სახალხო დამცველს არ გააჩნია;

გ) გაეროს შესაბამისი ფაკულტატური ოქმის საფუძველზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქცია, რომელიც დაკისრებული აქვს მას;

დ) საერთაშორისო თანამეგობრობის პრინციპები;

№1-513.

ვინ ნიშნავს მინისტრის მოადგილეს?

ა. პრეზიდენტი პარლამენტთან შეთანხმებით.

ბ. მინისტრი, პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

გ. პრემიერ-მინისტრი, მინისტრის წარდგინებით და პრეზიდენტთან შეთანხებით.

დ. სახელმწიფო მინისტრი, პრეზიდენტთან შეთანხმებით.

№1-514.

ადამიანის რომელი უფლების შეზღუდვა შეიძლება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მოტივით?

ა. სიტყვის თავისუფლების.

ბ. რწმენის თავისუფლების.

გ. შრომის უფლების.

დ. თავისუფალი მიმოსვლის უფლების.

№1-515.

რომელია იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტი?

ა. პრეზიდენტის ბრძანებულება.

ბ. მინისტრის ბრძანება.

გ. პარლამენტის დადგენილება.

დ. პრეზიდენტის განკარგულება.

(ახალი რედაქცია)№1-516.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული გაერთიანებებების წახალისებით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას;

ბ. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული გაერთიანებებების მართვით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას;

გ. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული გაერთიანებებების რეგულირებით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას;

დ. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას;

№1-517.

საქართველოს პარლამენტის პირველ სხდომის დღეს ნიშნავს:

ა. საქართველოს პარლამენტის უხუცესი წევრი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი.
გ. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.
დ. საქართველოს პარლამენტის 10 კაციანი ჯგუფი.

№1-518.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება:

ა. საქართველოს კონსტიტუციით.
ბ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით.
დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

№1-519.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარგდინებით.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
დ. საქართველოს პრეზიდენტი ერთპიროვნულად, ბრძანებულების გამოცემით.

№1-520.

სააპელაციო სასამართლოში კოლეგიებისა და პალატების შემადგენლობას განსაზღვრავს:

ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პრეზიდენტის წარგდინებით.
ბ. საქართველოს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარგდინებით, სააპელაციო სასამართლო.
დ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

№1-521.

საქართველოს პრეზიდენტმა, იმის გამო, რომ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებების განხორციელებას, შეაჩერა ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობა.

სწორედ მოიქცა თუ არა პრეზიდენტი?

ა. დიახ, რადგან საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტს უფლებას აძლევს, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ეს საკითხი.
ბ. არა, რადგან პრეზიდენტს აღნიშნული მოქმედების უფლება აქვს, მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.
გ. არა, რადგან აღნიშნული არის საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია.

დ. არა, რადგან დაუშვებელია თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის შეჩერება.

№1-522.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს:

ა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადით საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

ბ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

გ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტის ბიურო.

დ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადით ირჩევენ საქართველოს ამომრჩევლები საპარლამენტო არჩევნების დროს.

№1-523.

"საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად სახალხო დამცველს შემოწმების შედეგების მიხედვით რისი უფლება არ აქვს?

ა) ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის ფუნქცია პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში;

ბ) განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართოს საქართველოს პარლამენტს განსაზღვრული დღის წესრიგით რიგგარეშე სხდომის მოწვევისა და ჩატარების მოთხოვნით;

გ) წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, თუ მიიჩნევს, რომ მის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისია;

დ) განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პარლამენტს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით;

№1-524.

საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობას ამტკიცებს:

ა. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით.

ბ. საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თანხმობით.

გ. საქართველოს პარლამენტი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით.

დ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი, პრეზიდენტის თანხმობით.

№1-525.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს:

ა. საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ბ. საქართველოს სპეციალურ სასამართლოში.

გ. საქართველოს საქალაქო სასამართლოში.

დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

№1-526.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს:

ა. ბრძანებას.

ბ. განკარგულებას.

გ. ბრძანებულებას.

დ. დადგენილებას.

№1-527.

“მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით ვინ ნიშნავს თანამდებობაზე სახმელეთო ჯარების სარდალს?

ა) პრეზიდენტი;
ბ) პრემიერ-მინისტრი;
გ) თავდაცვის მინისტრი;
დ) უშიშროების საბჭოს წარდგინებით გენერალური თავდაცვის მინისტრი;

№1-528.

ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება თუ:

ა. მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ბ. მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
გ. მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სხდომის მონაწილეთა უმრავლესობა.
დ. მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 3/5.

№1-529.

სსიპ ‘’საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის’’ თავმჯდომარის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნა რეფერენდუმი ახალი ,,საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" მიღების საკითხზე. შეაფასეთ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება.

ა. გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია. რეფერენდუმს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.
ბ. ეს კონკრეტული გადაწყვეტილება კონსტიტუციურია, რეფერენდუმს საქართველოში ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
გ. გადაწყვეტილება კონსტიტუციურია, მოქმედი ,,სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი" საჭიროებს გადახალისებას.
დ. გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია. სსიპ ‘’საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის’’ თავმჯდომარეს არა აქვს რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნის კონსტიტუციური უფლება. გარდა ამისა დაუშვებელია რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად.

№1-530.

საქართველოს პრეზიდენტი:

ა. წელიწადში ორჯერ პარლამენტის ყოველი მორიგი სესიის პირველ დღეს წარუდგენს მას მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.
ბ. წელიწადში ორჯერ, ყოველი მორიგი სესიის ბოლო დღეს მას მოხსენებას წარუდგენს ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.
გ. წელიწადში ერთხელ წარუდგენს პარლამენტს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.
დ. ოთხ წელიწადში ერთხელ წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

№1-531.

პატიმარმა თავაძემ, შეწყალების თხოვნით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარემ არ განიხილა პატიმრის განცხადება და იგი გადაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს.
სწორია თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის მოქმედება?

ა. არ არის სწორი, რადგან შეწყალებას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურორი.
ბ. არ არის სწორი, რადგან შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. არ არის სწორი, რადგან შეწყალებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
დ. სწორია, რადგან შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი.

№1-532.

"მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს:
ა) სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა;
ბ) სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ორი მესამედისა;
გ) დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა;
დ) სრული შემადგენლობის ხმათა სამი მეხუთედით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა;

№1-533.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად:
ა. საქართველოში გამოცხადებულია სახელმწიფო რელიგია.
ბ. სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და შესაბამისად აცხადებს მას სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად.
გ. სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, და აღიარებს მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.
დ. სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებას იღებს მასთან შეთანხმებით.

№1-534.

"მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ვის წინაშეა ანგარიშვალდებული სამინისტრო?
ა) მთარობის;
ბ) პრეზიდენტის;
გ) პრეზიდენტისა და პარლამენტის;
დ) პარლამენტის

№1-535.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის წევრებს – მინისტრებს ნიშნავს:
ა. პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით.
ბ. უშუალოდ სამინისტროები.
გ. ეს მხოლოდ პარლამენტის გადასაწყვეტია.
დ. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით.

№1-536.

საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლება არა აქვს:

ა. საქართველოს სახალხო დამცველს.

ბ. საქართველოს მოქალაქეს.

გ. საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელსაც არა აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

დ. საქართველოს პრეზიდენტს.

№1-537.

საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს:

ა. რომელიც მსოფლიოში აღიარებული და საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერია.

ბ. რომელსაც განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი კოსმოსური სივრცის ათვისებაში.

გ. რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება.

დ. რომელიც იმავდროულად ევროპის კავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა.

№1-538.

რა პერიოდულობით მოიწვევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი?

ა. საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ;

ბ. საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ;

გ. ექვს თვეში ერთხელ მაინც;

დ. სულ ცოტა წელიწადში ორჯერ.

№1-539.

ითვლება თუ არა ბავშვი, რომლის ორივე მშობელი საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ მისი დაბადების ადგილის მიუხედავად?

ა.ითვლება

ბ.არ ითვლება.

გ.გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაბადების ადგილს.

დ.ითვლება, თუ მშობლები საქართველოში ცხოვრობენ.

№1-540.

ითვლება თუ არა ბავშვი საქართველოს მოქალაქედ, როცა მისი დაბადების მომენტისათვის, მხოლოდ ერთ-ერთი მშობელი არის საქარველოს მოქალაქე?

ა.ბავშვი არ ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ.

ბ.ბავშვი ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ დაბადების ადგილის მიუხედავად.

გ.არ ჩაითვლება, თუ მისი უცხოელი მშობელი ბავშვისათვის თავისი მოქალაქეობის მინიჭებას მოინდომებს.

დ.ბავშვი ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე.

№1-541.

როგორ წყდება საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან?

ა. საქართველოს კანონმდებლობით.

ბ. შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

გ. მშობლების შეთანხმებით.

დ. საქართველოსა და შესაბამის ქვეყანას შორის, ორმხრივი შეთანხმებით.

№1-542.

როგორ წყდება ბავშვის მოქალაქეობის საკითხი ერთ-ერთი მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლისას?

ა. ბავშვი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას.
ბ. ბავშვი ავტომატურად მოიპოვებს იმ მშობლის მოქალაქეობას, რომელიც გავიდა საქართველოს მოქალაქეობიდან.
გ. ბავშვი სრულწლოვანებამდე ითვლება მოქალაქეობის არმქონედ.
დ. ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საცხოვრებლად რჩება საქართველოს ტერიტორიაზე.

№1-543.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» ორგანული კანონის თანახმად, ვინ ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ?

ა. პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე.
ბ. საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და არა აქვს მიღებული სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.
გ. პირი, რომელიც გამოთქვამს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს.
დ. პირი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე.

№1-544.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ვინ განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას?

ა) პლენუმი;
ბ) პრეზიდენტი;
გ) პარლამენტი;
დ) პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით;

№1-545.

რა შემთხვევაშია უფლებამოსილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი განიხილოს საკითხი?

ა. თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა, არანაკლებ 1/3.
ბ. თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა, არანაკლებ ნახევარი.
გ. თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა, არანაკლებ 3/5.
დ. თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა, არანაკლებ 2/3.

№1-546.

უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებში, საქართველოს მოქალაქის სამსახური, შეიძლება თუ არა, გახდეს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი?

ა. შეიძლება, თუ პირს უკავია პასუხსაგები თანამდებობა.

ბ. შეიძლება, თუ ასეთი სამუშაოს დაწყება საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებთან არ არის შეთანხმებული.
გ. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ასეთ საფუძველს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.
დ. არ შეიძლება, რადგან პირი რჩება მოქალაქეობის გარეშე.

№1-547.

როდის ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი საქართველოს მოქალაქედ?

ა.თუ დაბადების მომენტისათვის მშობლები სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან.
ბ.თუ დაბადების მომენტისათვის ორივე მშობელი მოქალაქეობის არმქონე პირია და მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ.
გ.თუ დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა.
დ.თუ არსებობს ორივე მშობლის თანხმობა.

№1-548.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი კარგავს იურიდიულ ძალას.
ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს საქართველოს პარლამენტისათვის, სადავო აქტებთან მიმართებაში.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისათვის.

№1-549.

რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე ხდება საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭება?

ა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.
ბ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური დებულების საფუძველზე.
გ. «საქართველოს მოქალაქეობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის საფძველზე.
დ. «საპატიო მოქალაქეობის მინიჭების შესახებ» საქართველოს კანონით.

№1-550.

საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს იმ შემთხვევაში:

ა. თუ იგი მსოფლიოში აღიარებული და საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერია.
ბ. თუ იგი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა.
გ. თუ მისთვის მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან.
დ. თუ იგი იმავდროულად ევროპის კავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა.

***(ახალი რედაქცია)*№1-551.**

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო:

ა. საკუთარი ინიციატივით, ნორმატიული აქტის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ, მაგრამ მისი ძალაში შესვლამდე იხილავს მისი კონსტიტუციურობის საკითხს;
ბ. კონსტიტუციით უფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მე-7[1] თავთან (ადგილობრივი თვითმმართველობა) მიმართებით;
გ. კონსტიტუციით უფლებამოსილი პირების მიერ სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემდეგ, მაგრამ ნორმატიული აქტის პარლამენტის მიერ მიღებამდე იღებს გადაწყვეტილებას კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ;
დ. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სარჩელის შეტანის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობის შესახებ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

№1-552.

"მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით აქვს თუ არა მთავრობას უფლება შექმნას სათათბირო ორგანო?
ა) დიახ, რადგან კანონი ცალკეული საკითხის შესწავლის მიზნით მთავრობას აძლევს ამის უფლებას;
ბ) დიახ, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით;
გ) არა, რადგან კანონის მიხედვით მთავრობის შემადგენლობაში დაუშვებელია ამ კანონით გაუთვალისწინებელი სტრუქტურის ან ორგანოს შექმნა და ამ კანონით კი მთავრობას შეადგენენ სამინისტროები და საქვეუწყებო დაწესებულებები;

№1-553.

"საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე:
ა. სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის შეუსრულებლობისას;
ბ. თუ მისი კრედიტორული დავალიანება აღემატება 1000 ლარს;
გ. მოქალაქეობიდან გასვლა კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს;
დ. თუ ნასამართლევია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

№1-554.

საქართველოს მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანილი უცხოელი ბავშვი რა შემთხვევაში მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას?
ა. თუ შვილად აყვანა მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე.
ბ. მშვილებლების ერთობლივი შუამდგომლობით.
გ. ბავშვის მოქალაქეობის ქვეყნის თანხმობის შემთხვევაში.
დ. თუ ბავშვის ნამდვილი მშობლები განაცხადებენ თანხმობას.

№1-555.

როდის კარგავს პირი საქართველოს მოქალაქეობას?
ა. თუ უარს იტყვის საქართველოში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლაზე.

ბ. თუ სისტემატურად განზრახ არღვევს საქართველოს კანონმდებლობას.
გ. თუ მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ და არასაპატიო მიზეზით არ დადგება საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში.
დ. თუ ჩაიდენს ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულს.

№1-556.

როგორია ნატურალიზაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი საქართველოში მუდმივად ცხოვრების ვადა?
ა. საერთოდ 7 წელი.
ბ. უკანასკნელი 5 წელი.
გ. საერთოდ 3 წელი.
დ. უკანასკნელი 10 წელი.

№1-557.

როგორ წყდება იმ ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის ორივე მშობელი უცნობია?
ა. არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ.
ბ. ითვლება საქართველოს მოქალაქედ, ვიდრე საწინააღმდეგო არ დადგინდება.
გ. ითვლება მოქალაქეობის არმქონე პირად.
დ. ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ დადგინდება, რომ მისი ერთ-ერთი მშობელი მაინც საქართველოს მოქალაქეა.

№1-558.

ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მოქალაქეობის დადგენის საკითხზე საქართველოში?
ა.საქართველოს პრეზიდენტი.
ბ.იუსტიციის სუმინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.
გ.საქართველოს პარლამენტთან არსებული სპეციალური კომისია.
დ.პირველი ინსტანციის სასამართლო.

№1-559.

ჩამოთვლილთაგან რომელი მოთხოვნა უნდა იქნას დაცული უცხოელის საქართველოს საპატიო მოქალაქედ მისაღებად?
ა. უნდა იყოს უცხოელის თანხმობა.
ბ. უცხოელი უნდა გავიდეს თავისი პირვანდელი მოქალაქეობიდან.
გ. უცხოელს საქართველოში უნდა ჰქონდეს უძრავი ქონება.
დ. უცხოელს საქართველოში უნდა ჰქონდეს ნათესაური კავშირები.

№1-560.

"მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით აქვს თუ არა საქართველოს მოქალაქეს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება?(ჩამოთვლილთაგან რომელი პასუხია სწორი?)
ა. არ აქვს;
ბ. აქვს მხოლოდ იმ ქვეყნის სახელმწიფოს თანხმობით, რომლის მოქალაქეობასაც იღებს იგი;
გ. აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი ბოლო 10 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე;
დ. აქვს.

№1-561.

როგორ გადაწყდება საქართველოს მოქალაქე მცირეწლოვანი ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, თუ მას შვილად აიყვანენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები?

ა. ბავშვი ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას.

ბ. ბავშვი ავტომატურად იძენს მშვილებელთა მოქალაქეობას.

გ. ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მშვილებლები არ მოითხოვენ მისი საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლას.

დ. ბავშვი თვითონ ირჩევს, თუ რომელი მოქალაქეობა სურს.

№1-562.

ვინ წყვეტს ბავშვის მოქალაქეობის საკითხზე მშობლებს შორის წამოჭრილ დავას?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.

ბ. სასამართლო.

გ. იუსტიციის სამინისტრო.

დ. დიპლომატიური წარმომადგენლობა, ან საკონსულო დაწესებულება.

№1-563.

რა შემთხვევაში შეიძლება უარი ეთქვას პირს, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე?

ა. სამხედრო ვალდებულების მოუხდელობისას.

ბ. თუ გააჩნია ნასამართლეობა მძიმე დანაშაულისათვის.

გ. ქონებრივი ვალდებულებების არსებობისას.

დ. თუ კმაყოფაზე ჰყავს მცირეწლოვანი შვილები.

№1-564.

რას ნიშნავს მოქალაქეობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით?

ა. მოქალაქეობა არის, პირის სუბიექტური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან.

ბ. მოქალაქეობა არის ერთგულების გრძნობაზე დამყარებული ურთიერთობა, პირსა და სახელმწიფოს შორის.

გ. მოქალაქეობა არის პირის მიერ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესრულება და დაცვა.

დ. მოქალაქეობა არის პირის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან.

№1-565.

რომელი მათგანი არ შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში?

ა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

ბ. უზენაესი სასამართლოს წევრი.

გ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

დ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

№1-566.

"უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად განცხადება და თანდართული დოკუმენტების სააგენტოს შეიძლება წარედგინოს:

ა. მხოლოდ წერილობით;

ბ. მხოლოდ წერილობით, მაგრამ არა სააგენტოს, არამედ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას;

გ. მხოლოდ ელექტრონული ფორმით;
დ.როგორც წერილობით ისე ელექტრონული ფორმით.

№1-567.

"უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოსა კანონის მიხედვით ვინ გასცემს ორდინალურ ვიზას საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად შემოსულ უცხოელზე?

ა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო;
ბ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტო;
გ. ასეთს კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს;
დ. ფინანსთა სუმინისტროს შესაბამისი სამსახური

№1-568.

ვინ ითვლება უცხოელად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით?

ა. როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი.
ბ. მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე.
გ. მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირი.
დ. უცხოეთში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე.

№1-569.

საქართველოს კანონმდებლობით როდის ენიჭება მნიშვნელობა პირის ქართულ წარმოშობას?

ა. დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების დროს.
ბ. საქართველოში იმიგრაციის უფლების მოპოვების დროს.
გ. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დროს.
დ. არც ერთ შემთხვევაში ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს.

№1-570.

აქვს თუ არა უცხოელს საქართველოში ნებისმიერი შრომითი საქმიანობის უფლება?

ა. არა აქვს - თუ დროებით იმყოფება საქარველოში.
ბ. კონსტიტუციით ყველას აქვს შრომის უფლება, მათ შორის უცხოელსაც.
გ. უცხოელს შეუძლია ხელი მიჰყოს ნებისმიერ შრომით საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობთ დადგენილი წესით;
დ. უცხოელს არა აქვს უფლება იმუშაოს საქართველოში, თუ მაღალ დონეზე არ იცის ქართული ენა.

№1-571.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი:

ა. რომელიც ადრე იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.
ბ. პოლიტიკური თანამდებობის პირი.
გ. რომელიც ადრე იყო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.
დ. რომელიც ადრე იყო საქართველოს სახალხო დამცველი.

№1-572.

ვის შეიძლება მიენიჭოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელი - იმიგრანტის სტატუსი?

ა. ნებისმიერ მსურველ უცხოელს.
ბ. არაქმედუნარიან საქართველოს მოქალაქეს.
გ. მხოლოდ იმიგრანტის შვილებს.
დ. საქართველოს მოქალაქის უცხოელ მეუღლეს.

№1-573.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას, როგორ მოქმედებს საქმის საკასაციო წესით განმხილველი სასამართლო?

ა) დიდი პალატის გადაწყვეტილების არ გაზიარების უფლება საკასაციო პალატას არ აქვს, რადგან დიდი პალატის გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის;

ბ) მოტივირებული განჩინებით საქმეს განსახილველად გადასცემს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას;

გ) გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად და ამის შესახებ აცნობებს დიდ პალატასა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

დ) საოქმო ჩანაწერის საფუძველზე საქმეს გადასცემს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე თუ ვინ განიხილოს აღნიშნული საქმე;

№1-574.

საქართველოს ‘’საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ’’ ორგანული კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა:

ა. იწვევს ამ აქტის საფუძველზე მანამდე მიღებული ყველა გადაწყვეტილების და სასამართლო განაჩენის გაუქმებას.

ბ. იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

გ. იწვევს ამ აქტის მიმღები პირების პასუხისმგებლობას.

დ. აქვს უკუქცევითი ძალა.

№1-575.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში:

ა. საქმე როგორც წესი განიხილება დახურულ სხდომაზე.

ბ. საქმე განიხილება ღია სხდომაზე.

გ. სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

დ. გადაწყვეტილება ყოველთვის ცხადდება დახურულ სხდომაზე.

№1-576.

რამდენი მოსამართლე შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის საქმის განმხილველ შემადგენლობაში?

ა. 3 მოსამართლის შემადგენლობით.

ბ. 7 მოსამართლის შემადგენლობით.

გ. 9 მოსამართლის შემადგენლობით.

დ. არანაკლებ 11 მოსამართლე.

№1-577

აქვთ თუ არა უცხოელებს საქართველოში პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების დაფუძნების უფლება?

ა. არა აქვთ.

ბ. აქვთ.

გ. აქვთ მხოლოდ საზოგადოებრივი გაერთიანების დაფუძნების უფლება.

დ. აქვთ მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანების დაფუძნების უფლება.

№1-578.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ვინ არის უფლებამოსილი და როგორ დანიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი?

ა) თავმჯდომარე;
ბ) პლენუმი;
გ) დიდი პალატა;
დ) თავმჯდომარე დიდი პალატის თანხმობით;

№1-579.

მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავს:

ა. კოლეგიურად, 2 მოსამართლის შემადგენლობით.
ბ. კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.
გ. ერთპიროვნულად.
დ. ერთპიროვნულად, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კოლეგიურად 3 მოსამართლის შემადგენლობით.

№1-580.

ჩამოთვლილთაგან ვის გააჩნია საქართველოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

ა. ოცი ათას ამომრჩეველს.
ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს.
გ. საქართველოს მთავრობას.
დ. იუსტიციის სამინისტროს.

№1-581.

ჩამოთვლილ მსჯელობათაგან, რომელი არ შეესაბამება "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონს?

ა) პლენუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
ბ) პლენუმის სხდომას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით;
გ) უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს ამ პალატის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი;
დ) უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის თავმჯდომარეს ამ პალატის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი;

№1-582.

საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე განცხადების განხილვა-გადაწყვეტის ვადაა:

ა. არანაკლებ 6 თვე.
ბ. არაუმეტეს 1 წელი.
გ. არანაკლებ 9 თვე.
დ. არაუმეტეს 3 თვე.

№1-583.

რა ვადაში უნდა დაიწყოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის განხილვა პარლამენტმა?

ა. კანონპროექტის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.
ბ. კანონპროექტის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
გ. პარლამენტის კომიტეტში კანონპროექტის განხილვიდან 15 დღეში.

დ. კანონპროექტის მომზადებიდან 3 თვის ვადაში.

№1-584.

საომარი მგდომარეობის დროს პეზიდენტის გადაწყვეტილებას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის შესახებ პარლამენტი ამტკიცებს:

ა. წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
ბ. წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.
დ. წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.

№1-585.

ადამიანის რომელი უფლების შეზღუდვა შეიძლება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მოტივით?

ა. სიტყვის თავისუფლების.
ბ. რწმენის თავისუფლების.
გ. შრომის უფლების.
დ. თავისუფალი მიმოსვლის უფლების.

№1-586.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსართლე მის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს:

ა. კოლეგიურად, 2 მოსამართლის შემადგენლობით.
ბ. კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.
გ. ერთპიროვნულად, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კოლეგიურად 3 მოსამართლის შემადგენლობით.
დ. ერპიროვნულად.

№1-587.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არის არჩევნებში ან რეფერენდუმში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი

ა. 19 წლის ასაკი.
ბ. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობა.
გ. საქართველოს მოქალაქეობა.
დ. უნივერსიტეტის პროფესორობა.

№1-588.

შეაფასეთ საარჩევნო კომისიის ქმედება, რომელმაც ამომრჩეველთა სიაში არ შეიყვანა საქართველოს 76 წლის მოქალაქე იმ მოტივით რომ იგი ნასამართლევია (სასჯელს იხდიდა 18 წლის ასაკიდან 25 წლამდე) და ავადმყოფობის გამო საარჩევნო უბანში ვერ მოვა.

ა. საარჩევნო კომისიამ არ უნდა შეიტანოს სიაში ამ მოქალაქის გვარი, მხოლოდ მოტივი სხვა უნდა ეთქვა: არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 70 წლის ასაკამდეა დაშვებული.
ბ. კომისიამ უნდა დაადგინოს მოხსნილი აქვს თუ არა ნასამართლეობა. თუ არა აქვს, მაშინ სიაში არ უნდა შეიტანოს მისი გვარი.

გ. კომისიის გადაწყვეტილება არაკანონიერია. ნასამართლეობა და ისეთი დაავადება, რომელიც არ აძლევს მოქალაქეს საშუალებას პირადად მივიდეს საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი არ არის.
დ. კომისიის გადაწყვეტილება სწორია. მოქალაქეს კომუნისტურ პარტიაში თავის დროზე მაღალი თანამდებობა ეკავა.

№1-589.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისას (არჩევისას) რომელი არ თავისუფლდება საკვალიფიკაციო გამოცდისაგან?
ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი;
ბ) საქართველოს საერთო სასამართლოების ყოფილი მოსამართლე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 7 წლის გასვლამდე;
გ) სამართლის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი;
დ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი;

№1-590.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება:
ა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
ბ. მოსაზღვრე სახელმწიფოს დასაბუთებული მოთხოვნით.
გ. მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით.
დ. დაუშვებელია.

№1-591.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პირს, რომელიც იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანის შემდეგ უარს განაცხადებს მოსამართლის თანამდებობის დაკავებაზე, უფლება აქვს თუ არა მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კვლავ წარადგინოს განცხადება? (აირჩიეთ სწორი პასუხი)
ა) არ აქვს სიის დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში;
ბ) არ აქვს სიის დამტკიცებიდან 7 წლის განმავლობაში;
გ) აქვს ნებისმიერ დროს;
დ) აქვს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით;

№1-592.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ორგანული კანონი:
ა. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.
ბ. საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ.
გ. საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ.
დ. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ.

№1-593.

პოლიტიკური პარტიის შექმნის უფლება აქვთ:
ა. საარჩევნო უფლების მქონე ყველა ფიზიკურ პირს.
ბ. საქართველოს მოქალაქეებს, ორგანული კანონის შესაბამისად.
გ. საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს 21 წლის ასაკიდან, ორგანული კანონის შესაბამისად.
დ. საარჩევნო უფლების მქონე ყველა ფიზიკურ პირს 21 წლის ასაკიდან.

№1-594.

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება:

ა. პრეზიდენტის ბრძანებულებით.
ბ. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით და სასამართლოს გადაწყვეტილებით.
გ. იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით.
დ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

№1-595.

დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს:

ა. პლენუმი.
ბ. კოლეგია.
გ. კოლეგია თავმჯდომარის მონაწილეობით.
დ. სასამართლოსა და კოლეგიების თავმჯდომარეებისაგან შემდგარი სპეციალური კოლეგია.

№1-596.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს:

ა. რომელიც იმყოფება საქართველოს საზღვრებს გარეთ.
ბ. რომელიც სასამართლომ ცნო შეზღუდულ ქმედუნარიანად.
გ. რომელიც იმყოფება წინასწარი პატიმრობის იზოლატორში.
დ. სასამართლოს განაჩენით, იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

№1-597.

საქართველოს სახალხო დამცველს:

ა. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თანხმობით.
ბ. ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.
გ. ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
დ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

№1-598.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ:

ა) ოთხჯერ;
ბ) სამჯერ;
გ) ორჯერ;
დ) ერთხელ;

№1-599.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს:

ა. ინტელექტუალური საკუთრების უფლება.
ბ. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

გ. პოლიტიკური პარტიების შექმნის უფლება.
დ. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება.

№1-600.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს:
ა. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება.
ბ. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.
გ. საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნის უფლება.
დ. პირადი მიმოწერის თავისუფლება.

№1-601.

პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე:
ა. ფიზიკური პირი 21 წლის ასაკიდან.
ბ. საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.
გ. ფიზიკური პირი 25 წლის ასაკიდან.
დ. საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

№1-602.

პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება:
ა. კონსტიტუციური კანონით.
ბ. ორგანული კანონით.
გ. საქართველოს კანონით.
დ. პარლამენტის რეგლამენტით.

№1-603.

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება:
ა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 15 დღისა.
ბ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 60 დღისა.
გ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.
დ. პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

№1-604.

ახალარჩეული პარლამენტი მუშაობას შეუდგება თუ დადასტურებულია:
ა. დეპუტატთა არანაკლებ 1/3 უფლებამოსილება.
ბ. დეპუტატთა არანაკლებ 2/3 უფლებამოსილება.
გ. დეპუტატთა 3/4 უფლებამოსილება.
დ. დეპუტატთა სრული შემადგენლობის უფლებამოსილება.

№1-605.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს თანამდებობაზე:
ა) ნიშნავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე;
ბ) ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
გ) ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით;
დ) ირჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი;

№1-606.

საპარლამენტო ფრაქციის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს:

ა. არაუმეტეს 10 კაცისა.
ბ. არანაკლებ 6 კაცისა.
გ. არაუმეტეს 15 კაცისა.
დ. არანაკლებ 15 კაცისა.

№1-607.

ჩამოთვლილთაგან საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ აქვს:

ა. აჭარის და აფხაზეთის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.
ბ. პარლამენტის წევრს.
გ. საპარლამენტო ფრაქციას.
დ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

№1-608.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სასამართლო უფლებამოსილების გახორციელების რა ვადა არის დადგენილი იმისათვის, რომ მოსამართლე დაწინაურდეს სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ?

ა) 2 წელი მაინც;
ბ) 3 წელი მაინც;
გ) 5 წელი მაინც;
დ) ვადა საერთოდ არ არის განსაზღვრული;

№1-609

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არის არჩევნებში ან რეფერენდუმში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი

ა. სამხედრო სამსახურში უფროსი ოფიცრის წოდებით ყოფნა.
ბ. ნასამართლეობა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.
გ. სასამართლოს განაჩენის საფუძველზე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდა.
დ. ასაკი რომელიც 65-ს აღემატება.

№1-610.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს:

ა. საქართველოს პარლამენტი კენჭისყრაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით.
გ. საქართველოს პარლამენტი წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
დ. საქართველოს პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ.

№1-611.

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ახორციელებს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს მთავრობა.
დ. საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის თანხმობით.

№1-612.

საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე:
ა. 25 წლის ასაკიდან.
ბ. 30 წლის ასაკიდან.
გ. 32 წლის ასაკიდან.
დ. 35 წლის ასაკიდან.

№1-613.
ახალარჩეული პრეზიდენტი საპროგრამო სიტყვას წარმოთქვამს და ფიცის დადების ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან:
ა. მე-7 დღეს.
ბ. მეორე კვირა დღეს.
გ. მესამე კვირა დღეს.
დ. მეოთხე კვირა დღეს.

№1-614.
საქართველოს მინისტრებს (მათ შორის სახელმწიფო მინისტრებს):
ა. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
ბ. პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს პრემიერ-მინისტრი.
დ. ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

№1-615.
პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის:
ა. თანამდებობიდან გაათავისუფლოს შინაგან საქმეთა მინისტრი.
ბ. გამოსცეს ბრძანებულება და განკარგულება.
გ. შეიწყალოს მსჯავრდებულები.
დ. მიიღოს უცხო სახელმწიფოთა ელჩები.

№1-616.
თუ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, არჩევნების მეორე ტური იმართება:
ა. ორი კვირის თავზე.
ბ. ერთი თვის თავზე.
გ. ორი თვის თავზე.
დ. ექვსი თვის შემდეგ.

№1-617.
რეფერენდუმი ჩატარდება:
ა. საქართველოს პრეზიდენტის ან პარლამენტის თავჯდომარის მოთხოვნით.
ბ. საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, არანაკლებ 30000 ამომრჩევლის ან პრეზიდენტის მოთხოვნით.
გ. საქართველოს სახალხო დამცველის ან არანაკლებ 100000 ამომრჩევლის მოთხოვნით.
დ. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, პარლამენტის ან არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

№1-618.

რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება:
ა. საქართველოს კანონით.
ბ. კონსტიტუციური კანონით
გ. ორგანული კანონით.
დ. პრეზიდენტის ბრძანებულებით.

№1-619.
პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან:
ა. 10 დღის განმავლობაში.
ბ. 20 დღის განმავლობაში.
გ. 45 დღის განმავლობაში.
დ. არაუგვიანეს ორი თვისა.

№1-620.
საქართველოს "მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიხედვით მინისტრი გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართავს:
ა. საქართველოს პრეზიდენტს.
ბ. საქართველოს პარლამენტს.
გ. საქართველოს მთავრობას.
დ. საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

№1-621.
პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის:
ა. მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.
ბ. პრემიერ-მინისტრისა და სამთავობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხაების საკითხს.
გ. მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.
დ. მინისტრებისა (მათ შორის სახელმწიფო მინისტრებისა) და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

№1-622.
მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება:
ა. 5 წლის ვადით.
ბ. არანაკლებ 10 წლის ვადით.
გ. 15 წლის ვადით.
დ. უვადოთ.

№1-623.
"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად ჩამოთვლილთაგან, რომელზე არ ვრცელდება კონტროლის პალატის უფლებამოსილება?
ა) პარლამენტზე;
ბ) ეროვნულ ბანკზე;
გ) სახალხო დამცველზე;
დ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოზე;

№1-624.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა:

ა. 5 წელი.
ბ. 10 წელი.
გ. 12 წელი.
დ. 15 წელი.

№1-625.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?

ა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს მოქალაქენი (ხალხი) თავის ძალაუფლებას ახორციელებენ რეფერენდუმის მეშვეობით.
ბ. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს მოქალაქენი (ხალხი) თავის ძალაუფლებას ახორციელებენ დასავლური პარტნიორების მეშვეობით.
გ. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს მოქალაქენი (ხალხი) თავის ძალაუფლებას ახორციელებენ არჩევნების მეშვეობით.
დ. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს მოქალაქენი (ხალხი) თავის ძალაუფლებას ახორციელებენ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

№1-626.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს:

ა. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.
გ. ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, იუსტიციის სბჭოს წარდგინებით.
დ. ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

№1-627.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თანხმობით.
გ. საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
დ. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

№1-628.

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, კონტროლის პალატა კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელებისას, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში (აირჩიეთ სწორი გაგრძელება):

ა) ვალდებულია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადება საქართველოს მთავრობის გადაყენების შესახებ საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის თაობაზე;
ბ) ვალდებულია, საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადება საქართველოს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ;

გ) უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება საქართველოს მთავრობის გადაყენების შესახებ და ამის შესახებ აცნობოს საქართველოს პარლამენტს;
დ) უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადება საქართველოს მთავრობის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის თაობაზე;

№1-629.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს:
ა. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
გ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თანხმობით.
დ. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

№1-630.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დაუსრულებელი შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტების შედეგებზე დგება:
ა) ცნობა;
ბ) აქტი;
გ) ოქმი;
დ) რეკომენდაცია;

№1-631.

სამხედრო ძალების რაოდენობას ამტკიცებს:
ა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
ბ. ეროვნული უშიშროების საბჭო.
გ. საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თანხმობით.
დ. საქართველოს პარლამენტი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით.

№1-632.

სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს:
ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს უშიშროების მინისტრი.
დ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

№1-633.

“საქართველოს კონტროლის პალატი შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ეფექტიანობის აუდიტის შედეგებზე დგება:
ა) ანგარიში (დასკვნა);
ბ) აქტი;
გ) ოქმი;
დ) ცნობა;

№1-634.

ჩამოთვლილთაგან კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვს:
ა. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3.

ბ. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელობას.
გ. არანაკლებ 50000 ამომრჩეველს.
დ. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

№1-635.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არის:
ა. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.
ბ. ინდივიდუალური ნორმატიული აქტი.
გ. შეიძლება იყოს როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.
დ. კანონის ძალის მქონე აქტი.

№1-636.

საქართველოს "მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებას:
ა. მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.
ბ. მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს პრეზიდენი.
გ. მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს პრეზიდენტი.
დ. მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს პრემიერ-მინისტრი.

№1-637.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არის:
ა. საქართველოს ორგანული კანონი.
ბ. საქართველოს კანონი.
გ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი.
დ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება.

№1-638.

სამხედრო ძალების სახეობებისა და შემადგენლობის დამტკიცება ხდება:
ა. საქართველოს კანონით.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
გ. საქართველოს ორგანული კანონით.
დ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.

№1-639.

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება:
ა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
ბ. საქართველოს ორგანული კანონით.
გ. საქართველოს კონსტიტუციური კანონით.
დ. საქართველოს კანონით.

№1-640.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებას აქვს იგივე იურიდიული ძალა როგორიც
ა. საქართველოს პარლამენტის დადგენილებას.
ბ. საქართველოს მინისტრის ბრძანებას.
გ. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტს.
დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას.

№1-641.

საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის უფლება აქვს:

ა. საქართველოს პრეზიდენტს.

ბ. პარლამენტის თავჯდომარეს.

გ. საგარეო საქმეთა მინისტრს და პრეზიდენტს.

დ. საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს.

№1-642.

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს:

ა. ორგანულ კანონს;

ბ. საქართველოს კანონს;

გ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას;

დ. არცერთ ზემოთ ჩაქმოთვლილს.

№1-643.

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს:

ა. დაუყოვნებლივ;

ბ. 15 დღის ვადაში;

გ. მიღებიდან 10 დღის ვადაში;

დ. სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან 7 დღის ვადაში.

№1-644.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის:

ა. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

ბ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

გ. საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მეთაური.

დ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

№1-645.

როდის შედის ძალაში საქართველოს ორგანული კანონი:

ა. გამოქვეყნებისთანავე.

ბ. გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

გ. გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

დ. გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

№1-646.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება:

ა. ორგანული კანონით.

ბ. კონსტიტუციური კანონით.

გ. კონსტიტუციური შეთანხმებით.

დ. ჩვეულებრივი კანონით.

№1-647.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ორგანული კანონი:

ა. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

ბ. რეფერენდუმის შესახებ.

გ. ნორმატიული აქტების შესახებ.

დ. სახალხო დამცველის შესახებ.

№1-648.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების, აგრეთვე რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს:

ა. პლენუმი.

ბ. კოლეგია.

გ. კოლეგია, თავმჯდომარის მონაწილეობით.

დ. სასამართლოსა და კოლეგიების თავმჯდომარეებისაგან შემდგარი სპეციალური კოლეგია.

№1-649.

როდის არის მიღებული ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია.

ა. 1918 წლის 26 მაისს.

ბ. 1921 წლის 21 თებერვალს.

გ. 1995 წლის 24 აგვისტოს.

დ. 1995 წლის 29 აგვისტოს.

№1-650.

არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც:

ა. იმყოფება საზღვარგარეთ.

ბ. ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.

გ. სასამართლოს განაჩენით, იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

დ. სასამართლომ ცნო შეზღუდულ ქმედუნარინად.

№1-651.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პარლამენტი არის:

ა. სახელმწიფო მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო

ბ. ხალხის უმაღლესი უფლებადამცავი ორგანო.

გ. ხალხის სახელმწიფო კონტროლის უმაღლესი ორგანო.

დ. ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

№1-652.

რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი?

ა. 6 წევრისაგან.

ბ. 9 წევრისაგან.

გ. 12 წევრისაგან.

დ. 21 წევრისაგან

№1-653.

საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს, არანაკლებ:

ა. 10000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

ბ. 20000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

გ. 30000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

დ. ამომრჩეველთა რაოდენობის არაუმეტეს 1% ხელმოწერით.

***(ახალი რედაქცია)*№1-654.**

საქართველოს კოსტიტუციის მიხედვით ყველას აქვს, უფლება დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია:
ა. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ;
ბ. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ;
გ. გარემოს მდგომარეობის შესახებ;
დ. სახელმწიფოს შეიარაღების შესახებ.

№1-655.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ასარჩევად პარლამენტში წარადგენს:
ა. იუსტიციის მინისტრი.
ბ. პარლამენტის თავჯდომარე.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

№1-656.
ვისი წარდგინებით ირჩევა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები?
ა. პარლამენტის თავჯდომარის.
ბ. ფინანსთა მინისტრის.
გ. საქართველოს პრეზიდენტის.
დ. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის.

№1-657.
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე:
ა. 27 წლიდან.
ბ. 35 წლიდან.
გ. 32 წლიდან.
დ. 30 წლიდან.

№1-658.
ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს იღებს:
ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
დ. საქართველოს პრლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით.

№1-659.
საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებების დენონსაციას ახდენს:
ა. სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით.
ბ. სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
დ. სრული შემადგენლობის ორი-მესამედის უმრავლესობით.

№1-660.
მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში, პირის კანდიდატად წარდგენის ინიციატივა, რამდენი ხელმოწერით უნდა იქნეს დადასტურებული?
ა. საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.
ბ. 10000.

გ. 20000.
დ. 25000.

№1-661.

არლამენტის არჩევნებში რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წარდგენის ინიციატივა რამდენი ხელმოწერით უნდა იქნეს დადასტურებული?
ა. ნორმატიული აქტით დადგენილი ოდენობით.
ბ. 4000.
გ. ორგანული კანონით დადგენილი ოდენობით.
დ. 6000.

№1-662.

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აუდიტის აქტი, ცნობა ან\და ანგარიში (დასკვნა):
ა) წარედგინება აუდიტის ობიექტსა და საქართველოს პარლამენტს;
ბ) წარედგინება აუდიტის ობიექტსა და საქართველოს მთავრობას;
გ) წარედგინება აუდიტის ობიექტსა. ასევე შეიძლება წარედგინოს აუდიტის ობიექტის ზემდგომ ორგანოს;
დ) წარედგინება აუდიტის ობიექტსა და მის ზემდგომ ორგანოს;

№1-663.

პარლამენტის წევრის ჩხრეკა შესაძლებელია:
ა. მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით.
გ. მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით.
დ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

№1-664.

რა ვადით აირჩევიან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები?
ა. 4 წლით.
ბ. 5 წლით.
გ. 6 წლით.
დ. 7 წლით.

(ახალი რედაქცია)№1-665.

უცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმეული საკუთრების ანაზღაურება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით:
ა. თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან;
ბ. იბეგრება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით;
გ. იბეგრება ერთჯერადი მოსაკრებლით, რომლის ოდენობა განისაზღვრება კანონით;
დ. კონსტიტუცია საერთოდ არ ითვალისწინებს აღნიშნულთან დაკავშირებით.

№1-666.

რა ვდით და ვის მიერ აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარე?
ა. 5 წლის ვადით ირჩევს პრეზიდენტი.

ბ. 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი შემადგენლობიდან.
გ. 10 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი.
დ. 10 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლო.

№1-667.

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კონტროლის პალატა შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად აუდიტის ობიექტს ან მის ზემდგომ რგანოს უგზავნის:
ა) ცნობას;
ბ) მიწერილობას;
გ) რეკომენდაციას;
დ) წარდგინებას;

№1-668.

პარლამენტის წევრთა ხმების რა რაოდენობაა საჭირო ორგანული კანონის მისაღებად?
ა. დამსწრე წევრთა უმრავლესობის.
ბ. პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
გ. არანაკლებ დამსწრე წევრთა ორი მესამედისა.
დ. პარლამენტის სიითი შემადგენლობის ორი მესამედი.

№1-669.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, თუ მთავრობის შემადგენლობამ და მისმა სამთავრობო პროგრამამ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა:
ა) საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს, ერთი კვირის ვადაში დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი 5 დღის განმავლობაში დანიშნავს მთავრობის წევრებს;
ბ) საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას;
გ) საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს;
დ) საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის შემადგენლობას. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს;

№1-670.

პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება:
ა. როცა მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
ბ. როცა მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
გ. როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
დ. როცა მას მხარს დაუჭერს პარლამენტის დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

№1-671.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ვინ არის უფებამოსილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრს შეუწყვიტოს უფლებამოსილება?
ა)უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
ბ) საქართველოს პარლამენტი;
გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
დ) საქართველოს პრეზიდენტი;

№1-672.

პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს:
ა. ეკავოს სახელმწიფო მინისტრის თანაშემწის თანამდებობა.
ბ. ეკავოს საქართველოს ფეხბურთელთა მეორე ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა.
გ. იყოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ლიდერი.
დ. იყოს მწერალი.

№1-673.

ვინ ირჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს?
ა. პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრის წარდგინებით.
ბ. პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.
გ. პარლამენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.
დ. პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

№1-674.

საქართველოს კონსტიტუციისა და “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, შეიძლება თუ არა მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილება?
ა) დაუშვებელია;
ბ) დასაშვებია ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით;
გ) დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით;
დ) დასაშვებია, ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი წარდგინების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;

№1-675.

თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს პალამენტში განსახილვლ კანონპროექტთან დაკავშირებით:
ა. პარლამენტს არ აქვს უფლება დაიწყოს კანონპროექტის განხილვა.
ბ. კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლება.
გ. საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას.
დ. პარლამენტი უფლებამოსილია მოითხოვოს შენიშვნების წამოდგენა 5 დღის ვადაში.

№1-676.

ვის მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი გადადგომის შესახებ?
ა. საქართველოს პარლამენტს.
ბ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.
გ. საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

დ. საქართველოს პრეზიდენტს.

№1-677.

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
გ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
დ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

№1-678.

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში, რომელს არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

ა. პარლამენტის ამა თუ იმ კომიტეტს.
ბ. საქართველოს პარლამენტის წევრს.
გ. საპარლამენტო ფრაქციას.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

№1-679.

ვინ უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას?

ა. საგარეო საქმეთა მინისტრი.
ბ. სახელმწიფო მინისტრი.
გ. მთავარი პროკურორი.
დ. სახალხო დამცველი.

№1-680.

ვინ ათავისუფლებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს?

ა. საქართველოს პარლამენტი, ხმათა უმრავლესობით.
ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
გ. საქართველოს პრეზიდენტი, ფინანსთა მინისტრის წარდგინებით.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

*(ახალი რედაქცია)***№1-681.**

ვის წინაშეა პასუხისმგებელი ეროვნული ბანკი და ვის წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ?

ა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრს.
ბ. საქართველოს ფინანსთა მინისტრს.
გ. საქართველოს პრეზიდენტს.
დ. არავის.

№1-682.

საქართველოს კონტროლის პალატა ვის წინაშეა ანგარიშვალდებული?

ა. საქართველოს პარლამენტის წინაშე.
ბ. პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის წინაშე.
გ. სახელმწიფო მინისტრის წინაშე.
დ. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

№1-683.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება:

ა) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ დანიშნული 10 წევრისაგან;
ბ) საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამწესებული 12 წევრისაგან;
გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ გამწესებული 13 წევრისაგან;
დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამწესებული 15 წევრისაგან;

№1-684.

გამომძიებელმა ნავაძემ, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, პარლამენტარ ცისკარიშვილის ავტოფარეხში, ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება - ჩხრეკა.

განმარტეთ სწორად მოიქცა თუ არა გამომძიებელი ნავაძე?

ა. დიახ, რადგან ჩხრეკა განპირობებული იყო გადაუდებელი აუცილებლობით.
ბ. დიახ, რადგან ვალდებული იყო ემოქმედა ოპერატიულად.
გ. არა, რადგან ჯერ სასამართლოსათვის უნდა მიემართა შუამდგომლობით და მიეღო ჩხრეკის ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანება.
დ. არა, რადგან ჯერ უნდა მიეღო პარლამენტის თანხმობა, ხოლო შემდეგ ჩაეტარებინა ჩხრეკა.

№1-685.

ვინ ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროების საბჭოს?

ა. საქართველოს უშიშროების მინისტრი.
ბ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.
გ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

№1-686.

ვინ ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობას?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
გ. საქართველოს პარლამენტი, თავდაცვის მინისტრის წარდგინებით.
დ. საქართველოს პარლამენტი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით.

№1-687.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტს წარმოადგენს:

ა) საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 2 წევრი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
ბ) საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 3 წევრი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე;
გ) საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნული 2 წევრი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე;
დ) საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული პარლამენტის 3 წევრი და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

№1-688.

რა შემთხვევაში ნიშნავს პრეზიდენტი რეფერენდუმს?

ა. როდესაც ამას ითხოვს საპარლამენტო ფრაქცია.
ბ. როდესაც ამას ითხოვს ესა თუ ის პოლიტიკური პარტია.
გ. საგანგებო მდგომარეობის დროს.
დ. არა ნაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

№1-689.

ჩამოთვლილთაგან ვის არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

ა. საქართველოს პრეზიდენტს.
ბ. საპარლამენტო ფრაქციას.
გ. პარლამენტის წევრს.
დ. სახელმწიფო მინისტრს.

№1-690.

ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან, რომელია უფლებამოსილი შეიწყალოს მსჯავრდებული?

ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. მსჯავრდებულთა შეწყალება დაუშვებელია.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

(ახალი რედაქცია)№1-691.

სახალხო დამცველი:

ა. საკანონმდებლო ინიციატივით შედის პარლამენტში.
ბ. ხელმძღვანელობს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.
გ. მითითებებს აძლევს ადამიანის უფლებათა დამცავ არასამთავრობო ორგანიზაციებს.
დ. ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.

№1-692.

შეიძლება პარლამენტის წევრები გაერთიანდნენ ფრაქციაში?

ა. დიახ, მაგრამ წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 6 წევრზე ნაკლები.
ბ. დიახ, მაგრამ წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 20 კაცზე მეტი.
გ. არა, რადგან პარლამენტის წევრს არ აქვს უფლება გაერთიანდეს ფრაქციაში.
დ. არა, რადგან ფრაქციაში უნდა გაერთიანდეს რამდენიმე პარტია.

№1-693.

რა შემთხვევებში იღებს საქართველოს პრეზიდენტი გადაწყვეტილებას ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის შესახებ?

ა. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში.
ბ. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
გ. ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
დ. პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

№1-694.

კონსტიტუციის ზოგადი, ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის განსახილველად შეტანის უფლება ჩამოთვლილთაგან აქვს:
ა. საპარლამენტო ფრაქციას.
ბ. პარლამენტის თავჯდომარეს.
გ. არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს.
დ. პარლამენტის წევრთა შემადგენლობის 1/3.

№1-695.
საგარეო ურთიერთობაში საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია:
ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საგარეო საქმეთა მინისტრი.
გ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
დ. პარლამენტის თავმჯდომარე.

№1-696.
საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა:
ა. სამი წლის ვადით.
ბ. 5 წლის ვადით
გ. 10 წლის ვადით.
დ. განუსაზღვრელი ვადით.

№1-697.
პრეზიდენტის კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს:
ა. ამომრჩეველთა კანონით დადგენილი რაოდენობის ხელმოწერით.
ბ. არა ნაკლებ 30 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

გ. ამომრჩეველთა ორგანული კანონით დადგენილი რაოდენობის ხელმოწერით.
დ. არა ნაკლებ 200 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

№1-698.
"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენს:
ა) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს პალატებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები;
ბ) უზენაესი სასამართლოს პალატებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები;
გ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მის მიერ გამწესებული 5 წევრი;
დ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით არჩეული 8 წევრი;

№1-699.
საქართველოს პარლამენტის თანხმობა მიიღება:
ა. განკარგულების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.
ბ. რეზოლუციის სახით, თუ ორგანული კანონით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.
გ. დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული
დ. გადაწყვეტილების სახით, თუ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

№1-700.

თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ მეორედ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი:

ა. ვალდებულია ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა.

ბ. ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პალამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას.

გ. 5 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე შემადგენლობას.

დ. 7 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას დასამტკიცებლად.

№1-701.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს:

ა. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა ორი მესამედი

ბ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა ნახევარი.

გ. საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი.

დ. საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

№1-702.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენს:

ა) პრეზიდენტის მიერ დანიშნული 2 წევრი;

ბ) უშიშროების საბჭოს მდივანი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

გ) უშიშროების საბჭოს მდივანი, იუსტიციის მინისტრი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;

დ) პრეზიდენტის მიერ საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან დანიშნული 5 წევრი;

№1-703.

საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც:

ა. ნიშნავს პრეზიდენტი.

ბ. სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

გ. ირჩევს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი.

დ. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

№1-704.

ჩამოთვლილთაგან რომელია საქართველოს პრეზიდენტად არჩევის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა?

ა. პრეზიდენტი აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს.

ბ. პრეზიდენტის ასაკი 35 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.

გ. პრეზიდენტი ერთ-ერთი, დადგენილი წესით რეგისტრირებული პარტიის წევრი უნდა იყოს.

დ. პრეზიდენტმა ერთ-ერთი ევროპული (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ენა უნდა იცოდეს.

№1-705.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის გარდა იმ წევრებისა, რომლებიც თანამდებობრივად შედიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნისა უფლებამოსილების ვადაა:

ა) გამწესდებიან უვადოდ;
ბ) 4 წელი;
გ) 5 წელი;
დ) 10 წელი;

№1-706.

პრეზიდენტი, იმპიჩმენტის წესით გადაყენებულად ჩაითვლება, თუ:

ა. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ
ბ. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის, არა ნაკლებ ორმა მესამედმა.
გ. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საპარლამენტო ფრაქციამ.
დ. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის თავმჯდომარემ.

№1-707.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ, თავისი უფლაბამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს:

ა. პრემიერ-მინისტრი.
ბ. პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. საგარეო საქმეთა მინისტრი.
დ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი.

№1-708.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრი უნდა დაინიშნოს (აირჩეს):

ა) საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 15 და არაუგვიანეს 30 დღისა;
ბ) საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 30 და არაუგვიანეს 60 დღისა;
გ) საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 დღისა;
დ) საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 15 დღისა;

№1-709.

რომელ მათგანს არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

ა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.
ბ. საქართველოს პარლამენტის კომიტეტს.
გ. საქართველოს მთავრობას.

დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

№1-710.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ჩამოთვლილთაგან არა აქვს:

ა. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს.
ბ. არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.
გ. საქართველოს პრეზიდენტს.
დ. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს.

№1-711.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილებაზე ხელს აწერს:

ა) პრეზიდენტი;
ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;
დ) შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე;

№1-712.

საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, ცვლილება შეიტანა «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონპროექტში. ჰქონდა თუ არა პარლამენტს ამის უფლება?

ა. არა, ვინაიდან მხოლოდ პარლამენტის თავჯდომარეა უფლებამოსილი, შეიტანოს ცვლილება «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონპროექტში.
ბ. დიახ, ვინაიდან მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივაა, «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონპროექტში ცვლილებების შეტანა.
გ. არა, ვინაიდან პარლამენტს არ ჰქონდა უფლება, მთავრობის თანხმობის გარეშე, შეეტანა ცვლილება «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონპროექტში.
დ. არა, ვინაიდან მხოლოდ პრეზიდენტია უფლებამოსილი, შეიტანოს ცვლილება «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონპროექტში.

№1-713.

რომელი სახელმწიფო ორგანოა უფლებამოსილი, გააუქმოს ისეთი პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის აქტი და ამ გზით აკრძალოს იგი, რომლის საქმიანობის მიზანია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა?

ა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ვინაიდან იქ ხდება პოლიტიკური პარტიის რეგისტრირება.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლო.
გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
დ. საქართველოს პარლამენტი.

№1-714.

საგანგებო მდგომარეობის დროს, პრეზიდენტის გადაწყვეტილებითა და პარლამენტის თანხმობით, აიკრძალა საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა. კანონიერია თუ არა ეს გადაწყვეტილება?

ა. კანონიერია, ვინაიდან პრეზიდენტი უფლებამოსილია, პარლამენტის თანხმობით, შეზღუდოს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლება.
ბ. უკანონოა, ვინაიდან საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია.
გ. უკანონოა, ვინაიდან კონსტიტუციის მე-2 თავში ჩამოთვლილი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დაუშვებელია.
დ. კანონიერია, ვინაიდან საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, შესაძლებელია შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში ჩამოთვლილი, ადამიანის ყველა ძირითადი უფლება და თავისუფლება.

№1-715.

კრიმინოგენური სიტუაციის უკიდურესად გამწვავების გამო, რამდენიმე რეგიონში სიტუაცია უმართავი გახდა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ბანდიტური ჯგუფების წინააღმდეგ, გამოყენებული იქნა სამხედრო ძალები. კანონიერია თუ არა პრეზიდენტის გადაწყვეტილება?
ა. კანონიერია, რადგან საგანგებო მდგომარეობის დროს, პრეზიდენტი უფლებამოსილია, თვითონ გადაწყვიტოს სამხედრო ძალთა გამოყენების საკითხი.
ბ. უკანონოა, რადგან საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია სამხედრო ძალთა გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დროს.
გ. უკანონოა, რადგან საგანგებო მდგომარეობის დროს, შეიძლება გამოყენებული იქნეს, მხოლოდ პოლიციის ძალები და სამხედრო ძალები.
დ. კანონიერია, რადგან პრეზიდენტს, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, უფლება აქვს, ნებისმიერ შემთხვევაში, თვითონ გადაწყვიტოს სამხედრო ძალების გამოყენების საკითხი.

№1-716.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, იმპიჩმენტის წესით, თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის შესახებ, იმ საფუძვლით, რომ მას ეკავა შეუთავსებელი თანამდებობა – იგი იყო ერთ-ერთი პარტიის გენერალური მდივანი.
კანონიერია თუ არა პარლამენტის გადაწყვეტილება?
ა. კანონიერია, რადგან სახეზეა კონსტიტუციის დარღვევა.
ბ. უკანონოა, რადგან პარლამენტს უფლება აქვს იმპიჩმენტის საკითხი დასვას, მხოლოდ მინისტრის მიერ სამშობლოს ღალატის ჩადენის შემთხვევაში.
გ. უკანონოა, რადგან კონსტიტუციის თანახმად, მინისტრს უფლება აქვს, იმავდროულად ეკავოს მხოლოდ პარტიული თანამდებობა.
დ. კანონიერია, რადგან კონსტიტუციის თანახმად, მინისტრს არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა.

№1-717.

ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა შეესაბამება "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონს?
ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს თვეში ერთხელ იწვევს საქართველოს იუისტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;
ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს წელიწადში ორჯერ იწვევს საქართველოს იუისტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ იწვევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ იწვევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

№1-718.

პარლამენტის მიერ ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს:

ა. პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ბ. პარლამენტის სიითი სემადგენლობის 1/3.
გ. პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/5.
დ. პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/3.

№1-719.

კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს:

ა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
ბ. მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ.
გ. მხოლოდ ეროვნული ბანკის თანხმობით.
დ. მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

№1-720.

საქართველოს პარლამენტი, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას ახდენს:

ა. სრული შემადგენლობის 1/3.
ბ. სრული შემადგენლობის 2/3.
გ. სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
დ. სრული შემადგენლობის 3/5.

№1-721.

საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება ჩამოთვლილთაგან აქვს:

ა. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 1/3
ბ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 1/5.
გ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 2/3.
დ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 2/5.

№1-722.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ვინ აწერს ხელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს?

ა) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
ბ) პრეზიდენტი;
გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;
დ) უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე და პარლამეტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე

№1-723.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე:
ა. არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. არჩევნების ჩატარება დაუშვებელია.
გ. არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.
დ. არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

№1-724.

პარლამენტარი გ. ლორია ეჭვმიტანილი იქნა დანაშაულის ჩადენაში. ვისი თანხმობით შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკა მის ბინაში და მანქანაში?
ა. გენერალური პროკურორის შუამდგომლობით, თანხმობას გასცემს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
ბ. გამომძიებლის შუამდგომლობაზე, თანხმობას გასცემს რაიონული მოსამართლე, დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით.
გ. პარლამენტის წევრის გაჩხრეკა შეიძლება, მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.
დ. პარლამენტის წევრის გაჩხრეკა შეიძლება, მხოლოდ პარლამენტის თავჯდომარის თანხმობით.

№1-725.

პარლამენტის წევრი არასაპატიო მიზეზით სისტემატიურად არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში და პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა ვადამდე.
ჰქონდა თუ არა პარლამენტს ამისი უფლება?
ა. პარლამენტს არა აქვს უფლება წევრს შეუწყვიტოს უფლებამოსილება.
ბ. პარლამენტს ჰქონდა უფლება შეეწყვიტა პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილება, თუ იგი არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში, ექვსი თვის განმავლობაში.
გ. პარლამენტს შეუძლია შეუწყვიტოს პარლამენტის წევრს ვადამდე უფლებამოსილება, თუ არასაპატიო მიზეზით, ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში
დ. არა, პარლამენტს არა აქვს უფლება შეუწყვიტოს უფლებამოსილება პარლამენტის წევრს ვადამდე, მიუხედავად მიზეზისა.

№1-726.

საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტი გამოსცემს:
ა. კანონებს.
ბ. კანონის ძალის მქონე დეკრეტებს.
გ. ბრძანებებსა და დადგენილებებს.
დ. ბრძანებებს, მითითებებსა და ინსტრუქციებს.

№1-727.

პრეზიდენტს შეუწყდა უფლებამოსილება ვადამდე. მისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა პარლამენტის თავმჯდომარე და მეორე დღესვე გადააყენა მთავრობა.
ჰქონდა თუ არა მას ამისი უფლება?

ა. პარლამენტის თავმჯდომარეს, როდესაც იგი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, უფლება აქვს განახორციელოს ყველა ის უფლებები, რასაც კონსტიტუცია ანიჭებს პრეზიდენტს.
ბ. პარლამენტის თავმჯდომარეს შეეძლო გაენთავისუფლებინა თანამდებობიდან მინისტრები, პარლამენტის თანხმობით.
გ. პარლამენტის თავმჯდომარეს, როდესაც იგი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, შეზღუდული აქვს ზოგიერთი უფლების განხორციელება, მათ შორის მთავრობის გადაყენების უფლება.
დ. პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს დანიშნოს და გაანთავისუფლოს თანამდებობიდან მინისტრები.

№1-728.

დაკავებული პირი სასამართლოს წარედგინება?

ა. არაუგვიანეს 72 საათისა.
ბ. დაკავებისთანავე.
გ. არაუგვიანეს 48 საათისა
დ. არაუგვიანეს 24 საათისა.

№1-729.

რა ასაკიდან ხდება საქართველოს მოქალაქე თელავში დაბადებული ფიზიკური პირი?

ა. პასპორტის აღებისას.
ბ. დაბადებისთანავე.
გ. 18 წლის ასაკიდან.
დ. სკოლის დამთავრებისთანავე.

№1-730.

რამდენ ხანში უნდა წარედგინოს დაკავებული, თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი სასამართლოს?

ა. არაუგვიანეს 12 საათისა.
ბ. არაუგვიანეს 24 საათისა.
გ. არაუგვიანეს 48 საათისა
დ. არაუგვიანეს 72 საათისა.

(ახალი რედაქცია)№1-731.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის ღია პლენარული სხდომის ოქმი:
ა. საჯაროა, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა;
ბ. დახურულია, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა;
გ. საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარლამენტის სრული შემადგენლობა მისი დახურულად გამოცხადებას მოითხოვს;
დ. საჯაროა.

№1-732.

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი უნდა განემარტოს:

ა. დაკავებიდან ან დაპატიმრებიდან 12 საათის შემდეგ.
ბ. დაკავებისთანავე ან დაპატიმრებისთანავე.
გ. დაკავებიდან ან დაპატიმრებიდან 3 საათის შემდეგ.
დ. მისი ადვოკატის მოსვლისთანავე.

№1-733.

საქართველოს ლეიბორისტულმა მუშათა პარტიამ მოსთხოვა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაეტარებინა 53 წლის დაბადებიდან საქართველოში მუდმივად მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე პარტიის ლიდერი. ამასთან ცსკო-ში შეიტანა წარდგინება რომელსაც ხელს აწერს 57 800 საქართველოს ამომრჩეველი როგორი უნდა იყოს ცსკო-ს კანონიერი გადაწყვეტილება?

ა. უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, რადგანაც წარდგინება კონსტიტუციით პრეზიდენტობის კანდიდატობისათვის დადგენილ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ბ. არ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ვინაიდან პარტია საქართველოს პარლამენტში მხოლოდ ერთი დეპუტატით არის წარმოდგენილი, რის გამოც ვერ ქმნის საპარლამენტო ფრაქციას.

გ. უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, რადგანაც პარტიის კანდიდატი წინა საპრეზიდენტო არჩევნებშიც იღებდა მონაწილეობას და მხოლოდ მეორე ტურში წააგო.

დ. არ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, რადგანაც პარტიის კანდიდატს რეალურად შეუძლია მოიპოვოს გამარჯვება, რითაც მკვეთრად შეიცვლება სახელმწიფო პოლიტიკა.

№1-734.

რამდენი წლის ვადით ნიშნავს პარლამენტი კონტროლის პალატის თავმჯდომარეს?

ა. 5

ბ. 10.

გ. 7.

დ. 3.

№1-735.

საქართველოში ორმაგი მოქალაქეობა:

ა. დაშვებულია.

ბ. დაუშვებელია, გარდა კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა.

გ. დაშვებულია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დ. დაუშვებულია, გარდა პრეზიდენტის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

№1-736.

ვინ არის უფლებამოსილი გააუქმოს, შეცვალოს, ან შეაჩეროს სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. საქართველოს პრეზიდენტი, კანონით განსაზღვრული წესით.

ბ. საქართველოს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის 2/3-ით.

გ. საქართველოს სახალხო დამცველი, კანონით განსაზღვრული წესით.

დ. მხოლოდ სასამართლო კანონით განსაზღვრული წესით.

№1-737.

ვინ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე:

ა. ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

ბ. საქართველოს გენერალური პროკურორი.

გ. არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

დ. სახალხო დამცველი.

№1-738.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა:

ა. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობა.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის, ან პარლამენტის წევრის თანამდებობა.
გ. იუსტიციის მინისტრის თანამდებობა.
დ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა.

№1-739.

საქართველოს ''საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ'' ორგანული კანონის შესაბამისად რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან 30 დღეს.
ბ. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან 6 თვეს თუმცა შესაძლებელია ვადის სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით გაგრძელება.
გ. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის მომენტიდან;
დ. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

№1-740.

რომელი მათგანი არ არის საკუთრების ჩამორთმევის ერთ-ერთი საფუძველი?

ა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება.
ბ. სასამართლოს გადაწყვეტილება.
გ. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.
დ. ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა.

№1-741.

პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს:

ა. ეკავოს საქართველოს მხატვართა კავშირის მდივნის თანამდებობა.
ბ. იყოს ღვინის ქარხნის მფლობელი და აწარმოებდეს თეთრ ღვინოს.
გ. კითხულობდეს ლექციებს კონტრაქტის საფუძველზე კერძო უმაღლეს სასწავლებელში.
დ. იყოს არასამთავრობო ორგანიზაციის „კონსტიტუციონალიზმის მომხრეთა საზოგადოების" გენერალური მდივანი.

№1-742.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს ამტკიცებს:

ა) პრეზიდენტი;
ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
გ) უზენაესი სასამართლოს პლენუმი;
დ) იუსტიციის საბჭო;

№1-743.

ჩამოთვლილთაგან ვის აქვს რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნის უფლება?

ა. საქართველოს პარლამენტს.
ბ. სახელმწიფო მინისტრს.

გ. საპარლამენტო ფრაქციას.
დ. საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

№1-744.

სად შეიძლება გასაჩივრდეს პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება?

ა. პარლამენტის თავმჯდომარესთან.
ბ. საკონსტიტუციო სასამართლოში.
გ. საქართველოს პრეზიდენტთან.
დ. უზენაეს სასამართლოში.

№1-745.

ვინ არის უფლებამოსილი თანამდებობიდან გაანთავისუფლოს შინაგან საქმეთა მინისტრი?

ა. საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი
გ. საქართველოს მთავრობა.
დ. პრემიერ-მინისტრი.

№1-746.

ვინ ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. სახელმწიფო მინისტრი.
დ. სახელმწიფო უშიშროების მინისტრი.

№1-747.

ვინ წარუდგენს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. ეკონომიკის მინისტრი.
გ. საქართველოს მთავრობა.
დ. ფინანსთა მინისტრი.

№1-748.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება:

ა. ორგანული კანონით.
ბ. კანონითა და პრეზიდენტის ბრძანებულებით.
გ. კონსტიტუციითა და კანონით.
დ. კანონითა და პარლამენტის დადგენილებით.

№1-749.

ვის წინაშე არის პასუხისმგებელი პრემიერ-მინისტრი?

ა. საქართველოს პარლამენტის წინაშე.
ბ. ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე.
გ. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.
დ. საზოგადოების წინაშე.

№1-750.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება:

ა. საქართველოს პარლამენტი.
ბ. პრეზიდენტის ადმინისტრაცია.
გ. საქართველოს მთავრობა.
დ. საპრეზიდენტო საბჭო.

№1-751.

ვინ ნიშნავს საქართველოს პარლამენტის არჩევნებს?

ა. საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/3.
ბ. ცენტრალური საარჩევნო კომისია.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

№1-752.

ვისი თანხმობით შეიძლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის, ან პირადი ჩხრეკა?

ა. საქართველოს პარლამენტის.
ბ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის.
გ. საქართველოს პრეზიდენტის.
დ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის.

№1-753.

ვის აქვს უფლება საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი?

ა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი.
ბ. ამის უფლება, პრეზიდენტთან ერთად, აქვს ფინანსთა მინისტრს.
გ. მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი პრეზიდენტის თანხმობით პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროქტი.
დ. ამის უფლება აქვთ ერთობლივად საქართველოს პრეზიდენტს, ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო მინისტრს.

№1-754.

აქვს თუ არა უფლება სასამართლოს, საქვეყნოდ გამოაცხადოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო დახურულ სასამართლო სხდომაზე?

ა. მას ამის უფლება არა აქვს.
ბ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება საჯაროდ, თუ ამას სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის.
გ. სასამართლოს გადაწყვეტილება, ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.
დ. შეიძლება იმ მხარის თანხმობით, რომელმაც მოითხოვა სხდომის დახურვა.

№1-755.

ვინ შეიძლება დაინიშნოს მოსამართლედ?

ა. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის, სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.
ბ. მოსამართლე შეიძლება იყოს იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 25 წლის ასაკიდან, გამოცდილების, სტაჟის მიუხედავად.
გ. მოსამართლე შეიძლება იყოს პირი 25 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს იურიდიული განათლება და სულ ცოტა 5 წლის სპეციალობით მუშაობის გამოცდილება.

დ. მოსამართლე შეიძლება იყოს პირი 30 წლის ასაკიდან, რომელიც არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი და აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

№1-756.

რამდენი წევრისაგან შედგება საკონსტიტუციო სასამართლო და ვინ ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს?

ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 12 წევრისაგან, 4 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 4 წევრს ირჩევს პარლამენტი, 4 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.

ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წევრისაგან, 4 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.

გ. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 8 წევრისაგან, 4 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 4 წევრს ირჩევს პარლამენტი.

დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 წევრისაგან, 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.

№1-757.

საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გამოსცემს:

ა. ბრძანებულებებსა და მითითებებს.

ბ. ბრძანებებს.

გ. დეკრეტებსა და განკარგულებებს.

დ. ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

№1-758.

იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საომარ, ან საგანგებო მდგომარეობას:

ა. არჩევნები ჩატარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

ბ. მიუხედავად საომარი ან საგანგებო მდგომარეობისა, არჩევნები მაინც ჩატარდება, მისთვის დადგენილ ვადაში.

გ. არჩევნები ჩატარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მესამოცე დღეს.

დ. არჩევნების ჩატარების საკითხი გადაწყდება საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის შესაბამისად.

*(ახალი რედაქცია)***№1-759.**

დეპუტატთა ხმების რა რაოდენობის მოთხოვნით შეიძლება შეიქმნას პარლამენტში საგამოძიებო, ან სხვა დროებითი კომისია:

ა. არა ნაკლებ ორი მესამედის მოთხოვნით.

ბ. არა ნაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

გ. პარლემენტის წევრთა არა ნაკლებ ნახევრის მოთხოვნით.

დ. დამსწრეთა უმრავლესობის მოთხოვნით.

№1-760.

ომისა და ზავის საკითხებს ამტკიცებს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი, კანონის ძალის მქონე დეკრეტით.

ბ. პარლამენტი თავისი გადაწყვეტილებით, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. საქართველოს პრეზიდენტი, 48 საათის განმავლობაში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან.
დ. პარლამენტი დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

№1-761.

ვინ და რა ვადით ირჩევს (ნიშნავს) საქართველოს სახალხო დამცველს?
ა. ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ოთხი წლის ვადით.
ბ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ოთხი წლის ვადით.
გ. ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხუთი წლის ვადით
დ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხუთი წლის ვადით.

№1-762.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი
ა. საქართველოს პარლამენტი გამოსცემს ბრძანებულებებს.
ბ. საქართველოს პარლამენტი გამოსცემს ბრძანებებს.
გ. საქართველოს პარლამენტი იღებს განკარგულებებს.
დ. საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებებს.

№1-763.

საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს პარლამენტის რამდენი წევრი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით?
ა. ოთხმოცდახუთი.
ბ. სამოცდათხუთმეტი.
გ. ას ოცი.
დ. ას ორმოცდაათი.

№1-764.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება:
ა) წევრთა ერთი მესამედი;
ბ) წევრთა ორი მესამედი;
გ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;
დ) წევრთა ნახევარზე მეტი;

№1-765.

ორგანული კანონით რამდენი ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა იქნეს დადასტურებული, კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ინიციატივა, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად?
ა. არანაკლებ ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით.
ბ. არანაკლებ ხუთი ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით.
გ. არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1% მეტი
დ. არანაკლებ ორასი ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით.

(ახალი რედაქცია)№1-766.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა.სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას; .
ბ. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები აკონტროლებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს; .
გ. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები წელიწადში არანაკლებ ორჯერ სთხოვენ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;
დ .არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-767.

პროპორციული სისტემით ჩატარებულ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების რამდენი პროცენტის მიღებაა საჭირო იმისათვის, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებამ, ან საარჩევნო ბლოკმა, მიიღოს პარლამენტის წევრთა მანდატები?
ა. სამი პროცენტის მაინც.
ბ. ოთხი პროცენტის მაინც.
გ. ხუთი პროცენტის მაინც.
დ. ათი პროცენტის მაინც.

№1-768.

რა ვადაში ტარდება საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები?
ა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.
ბ. პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე, არაუგვიანეს ოცი დღისა.
გ. პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე, არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
დ. პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე, არაუგვიანეს 15 დღისა.

№1-769.

თუ საქართველოს პარლამენტის არჩევნების ვადა ემთხვევა, საგანგებო, ან საომარ მდგომარეობას, რა ვადაში ტარდება პარლამენტის არჩევნები?
ა. ამ მდგომარეობის გაუქმებიდან, მეთხუთმეტე დღეს.
ბ. ამ მდგომარეობის გაუქმებიდან, არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
გ. ამ მდგომარეობის გაუქმებიდან, არაუგვიანეს ორმოცდახუთი დღისა.
დ. ამ მდგომარეობის გაუქმებიდან, მესამოცე დღეს.

№1-770.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე რა ვადაში ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის არჩევნების თარიღს?
ა. არჩევნებამდე, არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა.
ბ. არჩევნებამდე, არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
გ. არჩევნებამდე, არაუგვიანეს ორმოცდახუთი დღისა.
დ. არჩევნებამდე, არაუგვიანეს სამოცი დღისა.

№1-771.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი თუ მან ზედიზედ სამჯერ არ გამოუცხადა ნდობა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მთავრობას და ამ მთავრობის პროგრამას.
ბ. საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი თუ მან ზედიზედ ორჯერ არ გამოუცხადა ნდობა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მთავრობას და ამ მთავრობის პროგრამას.

გ. საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი თუ საქართველოზე სხვა სახელმწიფოს თავდასხმის გამო გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა.
დ. ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების მიზნით საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტს შეუძლია არჩევიდან მესამე დღეს გადააყენოს მთავრობა და დაითხოვოს პარლამენტი.

№1-772.

შეიძლება თუ არა საქართველოს პარლამენტის წევრის გაწვევა?

ა. რა თქმა უნდა, იგი ხალხის მიერ არის არჩეული და თუ იგი არ ასრულებს ამომრჩეველთათვის მიცემულ დაპირებებს უნდა იქნას გაწვეული.
ბ. შეიძლება, თუ იგი არჩეულია მაჟორიტარული სისტემით.
გ. არ შეიძლება, თუ იგი არ ჩაიდენს დანაშაულს.
დ. არ შეიძლება, იგი თავისუფალი მანდატით სარგებლობს.

№1-773.

შეიძლება თუ არა საქართველოს პარლამენტის წევრის დაპატიმრება?

ა. შეიძლება, თუ ამაზე თანხმობას მისცემს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. შეიძლება, თუ ამაზე თანხმობას მისცემს საქართველოს პარლამენტი.
გ. არ შეიძლება, რადგან იგი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი.
დ. არ შეიძლება, რადგან იგი სარგებლობს იმუნიტეტით.

№1-774.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინება:

ა) დაუყოვნებლივ გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს;
ბ) რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის კოლეგიას;
გ) რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს;
დ) რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს;

№1-775.

ვინ წყვეტს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს?

ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
ბ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
გ. საქართველოს პარლამენტი.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლო.

№1-776.

რა შემთხვევაში არ შეუწყდება საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე?

ა. თუ მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა.
ბ. თუ მან დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.
გ. თუ იგი არასაპატიო მიზეზით, სამი თვის განმავლობაში, არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში.
დ. თუ იგი არასაპატიო მიზეზით, ოთხი თვის განმავლობაში, არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში.

(ახალი რედაქცია)№1-777.

რა რაოდენობის დეპუტატთა მოთხოვნით იქმნება საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო, ან სხვა დროებითი კომისიები?

ა. სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის მოთხოვნით.
ბ. სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით.
გ. სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევრის მოთხოვნით.
დ. სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნით.

№1-778.

როგორი უნდა იყოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიაში?

ა. არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს.
ბ. არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.
გ. არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის 3/5-ს.
დ. არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ს.

№1-779.

რომელი მათგანი არ შედის საქართველოს პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში?

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.
გ. საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.
დ. საქართველოს პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარე.

№1-780.

პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს, რომელიც უნდა ჩატარდეს:

ა. პარლამენტის ვადამდე დათხოვნიდან არაუგვუანეს 45 დღისა.
ბ. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან არაუადრეს 45 დღისა.
გ. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან მესამოცე დღეს.
დ. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან არაუადრეს 30 და არაუგვიანეს 45 დღისა.

№1-781.

დეპუტატთა ხმების რა რაოდენობაა საკმარისი, რათა ცალკეული საკითხების განხილვისას პარლამენტის სხდომა, ან მისი ნაწილი, დახურულად გამოცხადდეს?

ა. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
ბ. პარლამენტის სხდომაზე დამსწრეთა, არანაკლებ 1/3-ის გადაწყვეტილებით.
გ. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით.
დ. პარლამენტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

№1-782.

წელიწადში რამდენჯერ იკრიბება საქართველოს პარლამენტი, თავისი უფლებით, მორიგ სესიაზე?

ა. ორჯერ.
ბ. სამჯერ.

გ. ოთხჯერ.
დ. ხუთჯერ.

№1-783.

ვინ იწვევს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიას?

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საკუთარი ინიციატივით.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს პრეზიდენტი, დეპუტატთა არანაკლებ ათკაციანი ჯგუფის მოთხოვნით.

№1-784.

ვინ იწვევს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომას?

ა. საქართველოს პრეზიდენტი, დეპუტატთა არანაკლებ ათკაციანი ჯგუფის მოთხოვნით.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნით.
დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატთა უმრავლესობის მოთხოვნით.

№1-785.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო, ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან, რა ვადაში იკრიბება საქართველოს პარლამენტი?

ა. 24 საათის განმავლობაში.
ბ. 48 საათის განმავლობაში.
გ. 72 საათის განმავლობაში.
დ. ერთი კვირის განმავლობაში.

№1-786.

როგორ მიიღება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის საკითხებზე?

ა. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
ბ. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის, არანაკლებ 3/5-ით.
გ. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის, არანაკლებ 2/3-ით.
დ. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის, არანაკლებ 3/4-ით.

№1-787.

როგორ მიიღება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება საგანგებო, ან საომარი მდგომარეობის საკითხებზე?

ა. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის, არანაკლებ 1/3-ით.
ბ. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის, არანაკლებ 3/5-ით.
დ. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის, არანაკლებ 2/3-ით.

№1-788.

დეპუტატთა ხმების რა რაოდენობაა საკმარისი იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღსაძრავად?

ა. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 1/3-ს
ბ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ ნახევარს.

გ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 2/3-ს.
დ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 3/4-ს.

№1-789.

რა შემთხვევაში ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტი, იმპიჩმენტის წესით, თანამდებობიდან გადაყენებულად?

ა. თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ ნახევარმა.
ბ. თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 3/5-მა.
გ. თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 2/3-მა.
დ. თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 3/4-მა.

№1-790.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ასკაციანმა ჯგუფმა, წერილობითი მოთხოვნა წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტმა, მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში, არ გამოსცა მოწვევის აქტი. როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს პარლამენტი?

ა. პარლამენტს, თავისი რეგლამენტის თანახმად, უფლება აქვს მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.
ბ. პარლამენტი, თავისი რეგლამენტის თანახმად, ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.
გ. პარლამენტს, თავისი რეგლამენტის თანახმად, უფლება აქვს მომდევნო 72 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.
დ. პარლამენტი, თავისი რეგლამენტის თანახმად, ვალდებულია მომდევნო 72 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

№1-791.

დეპუტატთა ხმების რა რაოდენობაა საკმარისი საქართველოს მთავრობის წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღსაძვრელად?

ა. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ1/3-ს.
ბ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ ნახევარს.
გ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ2/3-ს.
დ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ3/4-ს.

№1-792.

დეპუტატთა ხმების რა რაოდენობაა საკმარისი იმპიჩმენტის წესით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღსაძრავად?

ა. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 1/3-ს.
ბ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ ნახევარს.
გ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 2/3-ს.
დ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 3/4-ს.

№1-793.

რომელი მათგანის თანამდებობიდან გადაყენება არ შეიძლება იმპიჩმენტის წესით?

ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის.

ბ. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები
გ. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის.

№1-794.

როგორ ახდენს საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას?
ა. პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 1/3-ით.
ბ. პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 3/5-ით.
დ. პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 2/3-ით.

№1-795.

პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პრლამენტი:
ა. იკრიბება მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.
ბ. იკრიბება პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად.
გ. იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ეროვნული უშიშროების საბჭოს მოწვევით.
დ. იკრიბება მხოლოდ საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საომარი მდგომარეობის დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად.

(ახალი რედაქცია)№1-796.

საქართველოს ''საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ'' ორგანული კანონის შესაბამისად რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ სარჩელს იხილავს საკონსტიტუიო სასამართლოს კოლეგია სარჩელის შეტანიდან 6 თვის განმავლობაში.
ბ. პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ სარჩელს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი სარჩელის შეტანიდან 3 თვის განმავლობაში.
გ. პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ სარჩელს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით სარჩელის შეტანიდან 17 დღის განმავლობაში.
დ. პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ სარჩელს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი სარჩელის შეტანიდან 12 დღის განმავლობაში.

№1-797.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება:
ა) სულ ცოტა 3 წევრი;
ბ) სულ ცოტა 6 წევრი;
გ) სულ ცოტა წევრთა ერთი მესამედი;
დ) სულ ცოტა წევრთა ორი მესამედი;

№1-798.

რომელ მათგანს არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

ა. საქართველოს პრეზიდენტს.

ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრს.

გ. საქართველოს პარლამენტის წევრს.

დ. საქართველოს პარლამენტის კომიტეტს.

№1-799.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?

ა. საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი თუ მან ზედიზედ სამჯერ არ გამოუცხადა ნდობა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მთავრობას და ამ მთავრობის პროგრამას.

ბ. საქართველოს პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა მის მიმართ აღძრული იმპიჩმენტის დროს.

გ. საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, ამიტომ საქართველოს პრეზიდენტს საერთოდ არ შეუძლია მისი დათხოვნა.

დ. საქართველოს პრეზიდენტს არ შეუძლია საქართველოს პარლამენტის დათხოვნა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

№1-800.

საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევების საფუძველია:

ა. მძიმე (უცხოელი დიპლომატის მკვლელობა) დანაშაულის ჩადენა.

ბ. მძიმე (სახელმწიფო ღალატი) დანაშაულის ჩადენა.

გ. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

დ. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევისას.

№1-801.

საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის გადაცემიდან რა ვადაში აწერს ხელს და აქვეყნებს კანონს საქართველოს პრეზიდენტი?

ა. სამი დღის ვადაში.

ბ. ხუთი დღის ვადაში.

გ. შვიდი დღის ვადაში.

დ. ათი დღის ვადაში.

№1-802.

პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პრლამენტი იკრიბება პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა 5 დღის განმავლობაში:

ა. გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა განაგრძობს მოქმედებას.

ბ. გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება.

გ. პრეზიდენტი გამოსცემს დამატებით ბრძანებულებას გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შესახებ.

დ. პრეზიდენტი გამოსცემს დამატებით ბრძანებულებას გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ.

№1-803.

პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პრლამენტი იკრიბება პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 სათის განმავლობაში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას:

ა. პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს ახალი ბრძანებულება საომარი მდგომარეობის გაგრჩელების შესახებ.

ბ. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს.

გ. საქართველოს პრეზიდენტი და არლამენტის თავმჯდომარე უნდა გადადგნენ თანამდებობიდან.

დ. საომარი მდგომარეობის მოქმედება გრძელდება მომდევნო 48 საათის განმვლობაში პარლამენტში ჩასატარებელ ახალ კენჭისყრამდე.

№1-804.

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა გამოქვეყნებისთანავე ნიშნავს, რომ:

ა. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის 12 საათზე.

ბ. ნორმატული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს 24 საათზე.

გ. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, გამოქვეყნების ზუსტი დროის (კონკრეტული საათისა და წუთების) მიხედვით.

დ. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის 06 საათზე.

*(ახალი რედაქცია)***№1-805.**

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს:

ა. მხოლოდ განმარტებითი ბარათი;

ბ. მთავრობის სხდომის ოქმის ასლი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება;

გ. მთავრობის სხდომის დღის წესრიგის დედანი (ან დამოწმებული ასლი), რომელშიც მითითებულია წარდგენილი კანონპროექტის შესახებ;

დ. არანაკლებ 3 მთავრობის წევრის დასაბუთებული შუამდგომლობა.

№1-806.

"საქართველოს ეროვნული ბაკნის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა არ არის სწორი?

ა) ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით;

ბ) ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებებზე;

გ) საქართველოს სახელმწიფო პასუხისმგებელია ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე ნებისმიერ ვალდებულებაზე;

დ) ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადის, სახელმწიფო გადასახდელის, მოსაკრებლისა და სახელმწიფო ბაჟისაგან;

№1-807.

რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს, საქართველოს მოქალაქე, საქართველოს პრეზიდენტად?

ა. 25 წლის ასაკიდან.
ბ. 30 წლის ასაკიდან.
გ. .35 წლის ასაკიდან
დ. 40 წლის ასაკიდან.

№1-808.

საქართველოს ''საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ'' ორგანული კანონის შესაბამისად რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან;
ბ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან 30 დღეს.
გ. საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან 17 დღეს.
დ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან 15 დღეს.

№1-809.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა:

ა. ყოველთვის იწვევს ამ აქტის საფუძველზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების გაუქმებას.
ბ. არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას;
გ. ყოველთვის აქვს უკუქცევითი ძალა.
დ. მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს აქტის მოქმედების შედეგად დამდგარი შედეგის გაუქმებას თუკი ამ უკანასკნელმა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა გამოიწვია.

№1-810.

თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, რა ვადაში იმართება არჩევნების მეორე ტური?

ა. არჩევნების დღიდან ორი კვირის თავზე.
ბ. პირველი ტურის ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე.
გ. არჩევნების დღიდან ერთი თვის თავზე.
დ. არჩევნების დღიდან ორი თვის თავზე.

(ახალი რედაქცია)№1-811.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება კონსტიტუციის მეორე თავით

აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო:
ა. უფლებამოსილია გააგძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად;
ბ. ვალდებულია გააგძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი;
გ. ვალდებულია გააგძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებედან გამომდინარე;
დ. მიმართავს აქტის გამომცემ ორგანოს შესაბამისი დასაბუთების მოთხოვნით

№1-812.
რომელი კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის შედეგად?
ა. რომელიც მეტ ხმას მიიღებს.
ბ. რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ ერთ-მესამედს.
გ. რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ოღონდ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის, არანაკლებ 1/3-ისა.
დ. რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ოღონდ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის, არანაკლებ ნახევრისა.

№1-813.
თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო რა ხდება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით?
ა. ორი კვირის ვადაში იმართება არჩევნების მეორე ტური;
ბ. არჩევნების დღიდან ერთი თვის ვადაში იმართება არჩევნების მეორე ტური;
გ. არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები;
დ. არჩევნების დღიდან სამი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

№1-814.
როდის ეწყობა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური?
ა. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.
ბ. წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს.
გ. წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის, მაისის მეორე კვირა დღეს.
დ. წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის, მაისის მესამე კვირა დღეს.

*(ახალი რედაქცია)***№1-815.**
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, როგორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატუსი?
ა. უმაღლესი სასამართლო;
ბ. მესამე ინსტანციის სასამართლო;
გ. სასამართლოთა სასამართლო;
დ. საკასაციო სასამართლო.

№1-816.

როდის იმართება საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ საპროგრამო სიტყვის წარმოთქმისა და ფიცის დადების (ინაუგურაციის) ცერემონიალი?

ა. პრეზიდენტის არჩევის დღიდან, პირველ კვირა დღეს.
ბ. პრეზიდენტის არჩევის დღიდან, მეორე კვირა დღეს.
გ. პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.
დ. პრეზიდენტის არჩევის დღიდან, მეოთხე კვირა დღეს.

№1-817.

ვინ ნიშნავს თანამდებობაზე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს?

ა. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით.
დ. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

№1-818.

ვინ არის უფლებამოსილი თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრები?

ა. საქართველოს თავდაცვის,შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს-საქართველოს პრეზიდენტი.
ბ.საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ.საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თანხმობით.
დ.საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის თანხმობით.

№1-819.

ვის მიმართავს საქართველოს მთავრობის წევრი - მინისტრი - გადადგომის შესახებ განცხადებით?

ა. საქართველოს მთავრობას.
ბ. საქართველოს პრეზიდენტს.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.
დ. საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

№1-820.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია საკუთრების ჩამორთმევის ერთ-ერთი საფუძველი?

ა. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.
ბ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება.
გ. ეკონომიკის მინისტრის ბრძანება.
დ. მმართველი პარტიის რეკომენდაცია.

№1-821.

საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს საომარ მდგომარეობას, ხოლო სათანადო პირობების არსებობისას, დებს ზავს. რა ვადაში შეაქვს საქართველოს პრეზიდენტს აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებები, საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად?

ა. არაუგვიანეს 24 საათისა.
ბ. არაუგვიანეს 48 საათისა.

გ. არაუგვიანეს 72 საათისა.
დ. არაუგვიანეს ერთი კვირისა.

№1-822.

ვინ აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ან მის რომელიმე ნაწილში, ომიანობისა თუ მასობრივი არეულობის დროს?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
დ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

№1-823.

რა ვადაში შეაქვს საქართველოს პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად?

ა. არაუგვიანეს 24 საათისა.
ბ. არაუგვიანეს 48 საათისა.
გ. არაუგვიანეს 72 საათისა.
დ. არაუგვიანეს ერთი კვირისა.

№1-824.

ვის შეუძლია შეაჩეროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას?

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.
ბ. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თანხმობით
გ. საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

№1-825.

ვინ წყვეტს საქართველოს მოქალაქეობისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს?

ა. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

№1-826.

ვინ ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
გ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
დ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

№1-827.

ვინ ნიშნავს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს?

ა. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი.
ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

გ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

№1-828.

რა ვადაში ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი რეფერენდუმს?

ა. მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან, ერთი კვირის განმავლობაში.
ბ. მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან, ორი კვირის განმავლობაში.
გ. მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან, ოცი დღის განმავლობაში.
დ. მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან, ოცდაათი დღის განმავლობაში.

№1-829.

ჩამოთვლილთაგან ვისი მოთხოვნით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი რეფერენდუმს?

ა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოთხოვნით.
ბ. საქართველოს პარლამენტის მოთხოვნით.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით.
დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნით.

№1-830.

რომელ საკითხზე შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა?

ა. კანონის მისაღებად, ან გასაუქმებლად.
ბ. ამნისტიისა და შეწყალების გამო.
გ. სახელმწიფოთა შორის კავშირში საქართველოს შესვლის შესახებ.
დ. საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირების შესახებ.

№1-831.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დროიდან, რა ვადაში ტარდება პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები?

ა. ოცდაათი დღის განმავლობაში.
ბ. ორმოცდახუთი დღის განმავლობაში.
გ. სამოცი დღის განმავლობაში.
დ. ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში.

№1-832.

საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი, ფიცის მიღების შემდეგ, კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მთავრობის შემადგენლობას წარუდგენს პარლამენტს:

ა. დასამტკიცებლად.
ბ. ნდობის მისაღებად.
გ. შესათანხმებლად.
დ. გასაცნობად.

№1-833.

ხმათა რა რაოდენობაა საჭირო საქართველოს პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისათვის ნდობის გამოსაცხადებლად?

ა. სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.
ბ. სიითი შემადგენლობის, უმრავლესობა.
გ. სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
დ. სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

№1-834.

მთავრობის ახალ შემადგენლობასთან ერთად საქართველოს პარლამენტი ნდობას უცხადებს:

ა. საქართველოს პრეზიდენტს.

ბ. საქართველოს გენერალურ პროკურორს და ეროვნული ბანკის საბჭოს პრეზიდენტს.

გ. სამთავრობო პროგრამას.

დ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობას.

№1-835.

კონსტიტუციის გარდა კიდევ რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი?

ა. ორგანული კანონით.

ბ. პრეზიდენტის ბრძანებულებით.

გ. კანონით.

დ. მთავრობის დადგენილებით.

№1-836.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადადგომა:

ა. არ იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას.

ბ. იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას.

გ. მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს არა პრემიერ-მინისტრის გადადგომა, არამედ მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა.

დ. იწვევს მხოლოდ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების უფლებამოსილების შეწყვეტას.

№1-837.

"საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 9 თვეს;

ბ) 3 თვეს;

გ) 12 დღეს;

დ) 10 დღეს;

№1-838.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთვრობასთან შეთანხმებით.

ბ. საქართველოს პრეზიდენტი.

გ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

დ. საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

№1-839.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რით განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისა და საქმიანობის წესი?

ა. კონსტიტუციით.

ბ. ორგანული კანონით.

გ. კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

დ. კონსტიტუციითა და კანონით.

№1-840.

შეიძლება თუ არა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში სამხედრო სასამართლოს შემოღება?

ა. შეიძლება, მხოლოდ საგანგებო ვითარებაში.
ბ. არ შეიძლება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
გ. არ შეიძლება, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
დ. შეიძლება, მხოლოდ საომარ პირობებში.

№1-841.

რა ასაკიდან შეიძლება გამწესდეს საქართველოს მოქალაქე მოსამართლედ?

ა. 25 წლის ასაკიდან.
ბ. 28 წლის ასაკიდან.
გ. 35 წლის ასაკიდან.
დ. 40 წლის ასაკიდან.

№1-842.

სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა რამდენი წლის გამოცდილება უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს იმისათვის, რომ გამწესდეს საერთო სასამართლოს მოსამართლედ?

ა. 2 წლის.
ბ. 3 წლის.
გ. 4 წლის.
დ. 5 წლის.

№1-843.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს:

ა. ეკავოს პოლიტიკური პარტიის „სახალხო მოძრაობა ქვეყნის კეთილდღეობისათვის" თავმჯდომარის თანამდებობა.
ბ. ეკავოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა.
გ. იყოს პარლამენტის შენობაში მოქმედი რესტორნისა და ფასიანი კომპიუტერული ცენტრის მფლობელი.
დ. ეკავოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა.

№1-844.

შეიძლება თუ არა მოსამართლის დაპატიმრება?

ა. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
ბ. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით.
გ. არ შეიძლება, რადგან იგი სარგებლობს იმუნიტეტით.
დ. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით.

№1-845.

რომელია საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საფუძველი?

ა. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა საერთოდ დაუშვებელია.
ბ. საქართველოს მოქალაქესთან განქორწინება.
გ. მძიმე (სახელმწიფო ღალატი) დანაშაულის ჩადენა.

დ. უცხოეთში ერთი წლის განმავლობაში მუშაობა.

№1-846.

რამდენ წელს შეადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა?

ა. 5 წელს.
ბ. 7 წელს.
გ. 10 წელს.
დ. 15 წელს.

№1-847.

რა ვადით ირჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან?

ა. 5 წლის ვადით.
ბ. 6 წლის ვადით.
გ. 7 წლის ვადით.
დ. 10 წლის ვადით.

№1-848.

რა ასაკიდან ხდება საქართველოს მოქალაქე სენაკში დაბადებული ფიზიკური პირი?

ა. პირადობის მოწმობის აღებისას.
ბ. 16 წლის ასაკიდან.
გ. დაბადებისთანავე.
დ საბავშვი ბაგაში მიყვანისთანავე.

№1-849.

შეიძლება თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დაპატიმრება?

ა. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
ბ. არ შეიძლება, რადგან იგი სარგებლობს იმუნიტეტით.
გ. შეიძლება, საქართველოს პარლამენტის თანხმობით.
დ. შეიძლება, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობით.

№1-850.

აქ ჩამოთლილთაგან ვის აქვს უფლება, სარჩელითა თუ წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს?

ა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.
ბ. საქართველოს მთავარ პროკურატურას.
გ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.
დ. საქართველოს კონტროლის პალატას.

№1-851.

შეიძლება თუ არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის დაკავება?

ა. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
ბ. არ შეიძლება, რადგან იგი სარგებლობს იმუნიტეტით.
გ. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით.
დ. შეიძლება, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით.

№1-852.

საქართველოს პარლამენტში დაიწყო ერთ-ერთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხის განხილვა. ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების წინააღმდეგ პარლამენტის წევრთა მიერ შეტანილ იქნა კონსტიტუციური წარდგინება. ასეთ შემთხვევაში:
ა. საქართველოს პარლამენტი განაგრძობს რატიფიცირების საკითხის განხილვას და შეუძლია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.
ბ. დაუშვებელია მოცემული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.
გ. საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხის განხილვა საქართველოს პარლამენტში გაგრძელდება, თუ ამას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
დ. საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების არსებითად განხილვის დაწყებამდე მოახდინოს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება.

№1-853.
სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე თანხმობა უნდა მისცეს:
ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ.
ბ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ.
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.
დ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

№1-854.
რით განისაზღვრება პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი?
ა. ორგანული კანონით.
ბ. კანონით.
გ. კონსტიტუციური კანონით.
დ. კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

№1-855.
ხმათა რა უმრავლესობით იღებს საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს?
ა. სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ით.
ბ. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. სიითი შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით.
დ. სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით.

№1-856.
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება:
ა. ორგანული კანონით.
ბ. კანონით.
გ. კონსტიტუციური კანონით.
დ. კონსტიტუციითა და კანონით.

№1-857.
რა ვადაში წარუდგენს საქართველოს მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს?
ა. არაუგვიანეს ორი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.
ბ. არაუგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.

გ. არაუგვიანეს ოთხი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.
დ. არაუგვიანეს ექვსი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.

№1-858.

რა ვადაში წარუდგენს საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს საქართველოს პარლამენტს?

ა. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.
ბ. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.
გ. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.
დ. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა.

№1-859.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია საკუთრების ჩამორთმევის ერთ-ერთი საფუძველი?

ა. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.
ბ. კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევა.
გ. კონტროლის პალატის გადაწყვეტილება.
დ. ფინანსთა მინისტრის ბრძანება.

№1-860.

ხმათა რა რაოდენობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს?

ა. სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ით.
ბ. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
გ. სიითი შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით.
დ. სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით.

№1-861.

"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისათვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილი არ არის:

ა) გამოსცეს ბრძანებები;
ბ) დააწესოს შესაბამისი სანქციები;
გ) ამოიღოს შესაბამისი მტკიცებულებები;
დ) გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები;

№1-862.

ვინ ზედამხედველობს სახელმწიფოს მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებას?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. საქართველოს კონტროლის პალატა.
დ. საქართველოს მთავარი პროკურატურა.

№1-863.

ვინ და რა ვადით ნიშნავს (ირჩევს) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს?

ა. ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, 4 წლის ვადით.
ბ. ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, 4 წლის ვადით.

გ. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თანხმობით, 5 წლის ვადით.
დ. ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით.

№1-864.

ვინ ზედამხედველობს სახელმწიფოს მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებას?

ა. საქართველოს მთავრობა.
ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
გ. საქართველოს კონტროლის პალატა.
დ. საქართველოს გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

№1-865.

ვინ ანაწილებს სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გათვალისწინებულ სახსრებს?

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს პარლამენტი.

№1-866.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებიდან, რა ვადაში იწყება მისი განხილვა საქართველოს პარლამენტში?

ა. გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ.
ბ. გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
გ. გამოქვეყნებიდან ორი თვის შემდეგ.
დ. გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ.

№1-867.

რა შემთხვევაში ჩაითვლება კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად?

ა. თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარი მაინც.
ბ. თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, არანაკლებ 3/5.
გ. თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა ორი მესამედი.
დ. თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა 3/4.

№1-868.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქმნება ორი პალატა – რესპუბლიკის საბჭო და სენატი. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული რამდენი წევრი შედის სენატის შემადგენლობაში?

ა. ორი წევრი.
ბ. სამი წევრი.
გ. ოთხი წევრი.

დ. ხუთი წევრი.

№1-869.

"ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით (აირჩიეთ სწორი გაგრძელება):

ა) ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე;
ბ) ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი არის საჯარო მოსამსახურე;
გ) ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ არის საჯარო მოსამსახურე;
დ) ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი არ არის საჯარო მოსამსახურე;

№1-870.

საქართველოს პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

ა. პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 65-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას.
ბ. საშემოდგომო სესიის მიმდინარეობისას.
გ. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.
დ. პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მიმდინარეობისას.

№1-871.

რა შემთხვევაში აქვს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ან შეთანხმებას, უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ?

ა. თუ იგი ეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
ბ. თუ იგი ითვალისწინებს ურთიერთდახმარებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში.
გ. თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას.
დ. თუ მისი რატიფიცირებისას, ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი.

№1-872.

რით განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი?

ა. კანონით.
ბ. ორგანული კანონით.
გ. კონსტიტუციითა და კანონით.
დ. კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

№1-873.

რომელ მათგანს არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

ა. 3 000 ამომრჩეველს.
ბ. საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.
გ. საქართველოს პარლამენტის წევრს.
დ. საქართველოს მთავრობას.

№1-874.

შეიძლება თუ არა, რომ საქართველოს მოქალაქე გადაეცეს უცხო სახელმწიფოს?

ა. არ შეიძლება, რადგან ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ბ. შეიძლება, თუ იგი ჩაიდენს დანაშაულს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ.
გ. არ შეიძლება, რადგან უცხო სახელმწიფოსათვის საქართველოს მოქალაქის გადაცემა დაუშვებელია.
დ. არ შეიძლება, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

№1-875.

რა ვადაში უნდა წარედგინოს დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი, სასამართლოს განსჯადობის მიხედვით?
ა. არაუგვიანეს 12 საათისა.
ბ. არაუგვიანეს 24 საათისა.
გ. არაუგვიანეს 48 საათისა.
დ. არაუგვიანეს 72 საათისა.

№1-876.

დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი, უნდა წარედგინოს სასამართლოს, განსჯადობის მიხედვით, არაუგვიანეს 48 საათისა. რა ვადაში უნდა მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება დაპატიმრების, ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ?
ა. მომდევნო 12 საათის განმავლობაში.
ბ. მომდევნო 24 საათის განმავლობაში.
გ. მომდევნო 48 საათის განმავლობაში.
დ. მომდევნო 72 საათის განმავლობაში.

(ახალი რედაქცია)**№1-877.**

საქართველოს ვკონსტიტუციის მიხედვით, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო რამდენი წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს საქართველოში პირი იმისათვის, რომ უფლება ჰქონდეს აირჩეს საქართველოს პრეზიდენტად?
ა. 15 წელი;
ბ. 10 წელი;
გ. დაბადებიდან;
დ. 3 წელი.

№1-878.

რომელი მათგანი ანიჭებს საქართველოს საპატიო მოქალაქეობას უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს?
ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

№1-879.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის, ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, როგორ გადაწყდება საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი?
ა. ბავშვი ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ.
ბ. მშობელთა შეთანხმებით.
გ. მშობელთა შეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში -იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.
დ. ბავშვი ჩაითვლება იმ ქვეყნის მოქალაქედ, სადაც იგი დაიბადა.

№1-880.

როგორ გადაწყდება საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა იმ ბავშვების მოქალაქეობის საკითხი, რომლებიც დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე?

ა.ისინი ჩაითვლებიან მოქალაქეობის არმქონე პირებად.
ბ.ისინი ჩაითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად.
გ.მათი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
დ.მათი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

№1-881.

როგორ გადაწყდება საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული იმ ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან?

ა. იგი ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ.
ბ. იგი ჩაითვლება შესაბამისი ქვეყნის მოქალაქედ.
გ. მისი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.
დ. მისი მოქალაქეობის საკითხი გადაწყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

№1-882.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს:

ა. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების მოქმედების საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ვადით შეზღუდვას.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის შეზღუდვას.
გ. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესის შეჩერებას.
დ. საქართველოს საერთო სასამართლოების უფლებამოსილებების შეზღუდვას.

№1-883.

როგორ გადაწყდება ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, თუ მისი ერთ-ერთი მშობელი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად?

ა. ბავშვი რჩება მოქალაქეობის არმქონედ.
ბ. ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.
გ. მისი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.
დ. მისი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

№1-884.

როგორ გადაწყდება იმ ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, ან მოქალაქეობის არმქონე პირია და რომელსაც შვილად აიყვანს საქართველოს მოქალაქე?

ა. იგი ხდება საქართველოს მოქალაქე.
ბ. მისი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.
გ. მისი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
დ. იგი, მშვილებლის შუამდგომლობით, მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

№1-885.

როგორ გადაწყდება იმ ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა და რომელსაც შვილად აიყვანენ ის მეუღლეები, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა?

ა. იგი ხდება საქართველოს მოქალაქე.

ბ. იგი რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

გ. მშვილებელთა ერთობლივი შუამდგომლობით, იგი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

დ. იგი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას იმ მშვილებლის შუამდგომლობით, რომელიც საქართველოს მოქალაქეა.

№1-886.

როგორ გადაწყდება იმ ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა და რომელსაც შვილად აიყვანენ უცხოელი მოქალაქე მეუღლეები?

ა. იგი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბ. იგი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას.

გ. ერთ-ერთი მშვილებლის შუამდგომლობით, იგი ხდება სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

დ. მისი მოქალაქეობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

№1-887.

რომელი მათგანი წყვეტს დავას მშობლებს შორის, ბავშვის მოქალაქეობის თაობაზე?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.

ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

გ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დ. სასამართლო.

№1-888.

ქვემოთ მოყვანილ დებულებათა შორის რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა არ აჩერებს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის მოქმედებას.

ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა აჩერებს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის მოქმედებას და აქტის მოქმედების შედეგად დამდგარ ყველა შედეგებს.

გ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა აჩერებს არაკონსტიტუციური აქტის მოქმედებას გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე.

დ. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

№1-889.

რომელი მათგანი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.

ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

გ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

№1-890.

რომელი მათგანი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე?

ა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.
ბ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

№1-891.

რომელი მათგანი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე?

ა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
გ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

№1-892.

სად შეაქვთ დაინტერესებულ პირებს საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადებები?

ა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.
ბ. საქართველოს პარლამენტში.
გ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში;
დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

№1-893.

რომელ მათგანს არა აქვს უფლება შეიტანოს წარდგინება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე?

ა. სასამართლოს.
ბ. პროკურატურას.
გ. შინაგან საქმეთა სამინისტროს.
დ. პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

№1-894.

რომელი მათგანი განიხილავს წინასწარ განცხადებასა და წარდგინებას საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. სამოქალაქო რესტრის სააგენტო.
დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

(ახალი რედაქცია)№1-895.

"მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რისგან გამომდინარე არ შეიძლება ეთქვას პირს უარი საქართველოს მოქალაქეობაზე?

ა. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე;
ბ. მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;
გ. დადგენილ ფარგლებში არ იცის ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენა;
დ. არ არის მკვლევარი;

№1-896.

რა ვადას არ უნდა აღემატებოდეს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვა-გადაწყვეტის ვადა?
ა. 3 თვეს.
ბ. ორ წელს.
გ. სამ წელს.
დ. ოთხ წელს.

№1-897.
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის;
ბ. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელზეც თანხმობას განაცხადებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;
გ. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით;
დ. არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

№1-898.
ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს წარადგენს ფინანსთა მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
ბ. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს წარადგენს ეკონომიკის მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.
გ. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს წარადგენს საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის დავალებით.
დ. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს წარადგენს საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.

*(ახალი რედაქცია)***№1-899.**
რა პერიოდულობით წარუდგენს საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს პარლამენტს ანგარიშს?
ა. წელიწადში ორჯერ;
ბ. წელიწადში ერთხელ
გ. კვარტალში ერთხელ.
დ. თვეში ერთხელ.

№1-900.
რომელია ქვემოთ მოცემული მსჯელობიდან არასწორი:
ა. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს მთლიანად კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, იმის მიუხედავად მოსარჩელე აყენებს მთლიანად ამ აქტის თუ მისი მხოლოდ ერთი ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხს.
ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუკი მოსარჩელე აყენებს ამ აქტის მხოლოდ ერთი ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხს.

გ. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს შეამოწმოს სადავო საკანონმდებლო აქტის გამოცემის, ხელმოწერის და გამოქვეყნების კონსტიტუციით დადგენილი წესის დაცვა.
დ. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს ნორმატიული აქტის შემოწმებისას მხედველობაში იღებს არა მხოლოდ სადავო ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, არამედ მასში გამოხატული ნამდვილი აზრი და გამოყენების პრაქტიკა.

№1-901.

რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია?

ა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
ბ. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.
გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით.

№1-902.

რამდენი მოსამართლისაგან შედგება რაიონული (საქალაქო) სასამართლო?

ა. არანაკლებ ორი მოსამართლისაგან.
ბ. არანაკლებ სამი მოსამართლისაგან.
გ. არანაკლებ ოთხი მოსამართლისაგან.
დ. არანაკლებ ხუთი მოსამართლისაგან.

№1-903.

ვინ განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას?

ა. საქართველოს უზენაესი სასამართლო.
ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

№1-904.

რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო?

ა. 6 წევრისაგან.
ბ. 19 წევრისაგან.
გ. 15 წევრისაგან.
დ. 21 წევრისაგან.

№1-905.

რით განისაზღვრება თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორია?

ა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
ბ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით.
დ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

№1-906.

ვინ განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას?

ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ბ. საქართველოს პრეზიდენტი.
გ. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

№1-907.

ვინ განსაზღვრავს მოსამართლეთა რაოდენობას სააპელაციო სასამართლოს კოლეგიებსა და პალატებში?

ა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
გ. საოლქო სასამართლო.
დ. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

№1-908.

ვინ განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს კოლეგიებისა და პალატების შემადგენლობას?

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.
გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
დ. საოლქო სასამართლო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

№1-909.

ვინ ათავისუფლებს თანამდებობიდან რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს?

ა. საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
გ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით.
დ. საქართველოს პრეზიდენტი.

№1-910.

ვინ და რა ვადით ნიშნავს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს?

ა. საქართველოს პრეზიდენტი, 10 წლის ვადით.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, 10 წლის ვადით.
გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 10 წლის ვადით.
დ. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, 10 წლის ვადით.

№1-911.

ვინ ნიშნავს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს?

ა. საქართველოს პარლამენტი.
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
დ. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

№1-912.

რით განისაზღვრება მაგისტრატი მოსამართლეების სამოქმედო ტერიტორია?

ა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ბ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით.

დ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

№1-913.

ვინ განსაზღვრავს მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

ბ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

გ. საოლქო სასამართლო.

დ. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის წარდგინებით.

№1-914.

"საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ:

ა) მსგავსი შინაარსის ნორმების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძვლით დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა;

ბ) არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის გამოცემა\მიღება, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი;

გ) გამოცემული\მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს ითვლება არარა აქტად;

დ) ისეთი სამართლებრივი აქტის, გამოცემა\მიღება რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას;

№1-915.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა;

ბ) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ თავისი იურისდიქციის ტერიტორიაზე;

დ) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ უცხოეთის ტერიტორიაზე.

№1-916.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, განსაკუთრებულ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადას:

ა) არაუმეტეს 2 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

ბ) არაუმეტეს 3 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი;

გ) არაუმეტეს 6 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი კოლეგია;

დ) განხილვის ვადის გაგრძელება დაუშვებელია;

№1-917.

რომელ ნორმატიულ აქტშია მოცემული საქართველოს მოქალაქეობის ცნება?

ა) საქართველოს კონსტიტუციაში;
ბ) საქართველოს ორგანულ კანონში;
გ) საქართველოს კანონქვემდებარე აქტებში;
დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში.

№1-918.

რომელია საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ერთ-ერთი გზა?

ა) მოქალაქეობის გამოსყიდვა;
ბ) მოქალაქეობის შეძენა;
გ) მოქალაქეობის დადგენა;
დ) მოქალაქეობის საჩუქრად მიღება.

№1-919.

რომელი ნორმატიული აქტი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს?

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ;
გ) პრეზიდენტის ბრძანება;
დ) სამოქალაქო კოდექსი.

№1-920.

როდის იქნა მიღებული დღეისათვის მოქმედი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონი?

ა) 1995 წელს;
ბ) 1993 წელს;
გ) 2004 წელს;
დ) 2006 წელს.

№1-921.

რომელია მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებული ნატურალიზაციის ერთ-ერთი პირობა?

ა) ქართული ენის ცოდნა;
ბ) სახელმწიფო ენის ცოდნა;
გ) ქართული ან აფხაზური ენის ცოდნა;
დ) ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

№1-922.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) საქართველოს მოქალაქეთა ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ;
ბ) საქართველოს მოქალაქეთა ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ დაიბადა საქართველოში;
გ) საქართველოს მოქალაქეთა ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ მშობელთა შეთანხმების შემთხვევაში;
დ) საქართველოს მოქალაქეთა ბავშვი არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ.

№1-923.

ზოგადი წესის მიხედვით საქართველოში ნატურალიზაციისათვის საჭირო:

ა) ისტორიის ცოდნა;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) უნარების ცოდნა;
დ) ტერმინების ცოდნა.

№1-924.

რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის წესი?

ა) საქართველოს ორგანული კანონით;
ბ) საქართველოს კონსტიტუციით;
გ) საქართველოს მიმდინარე კანონით;
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

№1-925.

ნატურალიზაციის რომელი სახე ითვალისწინებს პირის უპირობოდ საქართველოს მოქალაქედ მიღებას?

ა) ქორწინებით ნატურალიზაცია;
ბ) განსაკუთრებული წესით ნატურალიზაცია;
გ) ზოგადი წესით ნატურალიზაცია;
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

№1-926.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა არასწორი?

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის სტრუქტურაში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის სამსახური;
ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატური არ არის საჯარო მოსამსახურე და მასზე არ ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
გ) საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 22 წლის ასაკიდან;
დ) საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურად სამსახურის ზღვრული ასაკი არის 50 წელი;

№1-927.

რა ვადით განისაზღვრება ბინადრობის ცენზი საქართველოში ქორწინებით ნატურალიზაციისათვის?

ა) 5 წლით;
ბ) 3 წლით;
გ) 2 წლით;
დ) 1 წლით.

№1-928.

დაშვებულია თუ არა საქართველოში ორმოქალაქეობა?

ა) დაშვებულია;
ბ) დაუშვებელია;
გ) დაშვებულია გამონაკლისის სახით;
დ) დაშვებულია პრივილეგირებულ პირთათვის.

№1-929.

მოქალაქეობის უფლება არის:

ა) პოლიტიკური უფლება;

ბ) სოციალურ-ეკონომიკური უფლება;
გ) პირადი უფლება;
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

№1-930.

საქართველოს მოქალაქეობის დადგენისათვის კანონის მე-3 მუხლის "ა" პუნქტით ბინადრობის ცენზი განისაზღვრება?

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებით უკანასკნელი 3 წლის მანძილზე;
ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებით უკანასკნელი 5 წლის მანილზე;
გ) საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებით ნებისმიერი 5 წლის მანძილზე;
დ) საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებით ნებისმიერი 3 წლის მანძილზე.

№1-931.

რომელი მსჯელობა გულისხმობს ნიადაგის პრინციპს?

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ითვლება;
ბ) საქართველოში დაბადებული უცხოელთა ბავშვი საქართველოს მოქალაქედ არ ითვლება;
გ) ბავშვი, რომლის ერთ-ერთი მშობელი უცნობია, საქართველოს მოქალაქედ ითვლება;
დ) ბავშვი, რომლის ორივე მშობელი საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება.

№1-932.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გაძევების თაობაზე?

ა) საქართველოს პრეზიდენტი;
ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
გ) საქართველოს სასამართლო;
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

№1-933.

ორივე მშობლის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შემთხვევაში:

ა) ბავშვი რჩება საქართველოს მოქალაქედ;
ბ) ბავშვს უპირობოდ უწყდება საქართველოს მოქალაქეობა;
გ) ბავშვი იღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას;
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

№1-934.

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა არ დაიშვება, თუ:

ა) პირი საქართველოს მოქალაქეობიდან საკუთარი ნებით გავიდა;
ბ) პირმა ადრე დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
გ) პირს მოქალაქეობა შეუწყდა მშობლების არჩევანის შედეგად;
დ) თუ პირს მოქალაქეობა შეუწყდა არამართლზომიერად.

№1-935.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) ორმაგი მოქალაქეობა საქართველოში დადგენილია როგორც წესი;
ბ) ორმაგი მოქალქეობა საქართველოში დადგენილია გამონაკლისის სახით;
გ) ორმაგი მოქალაქეობა საქართველოში საერთოდ აკრძალულია;
დ) ორმაგი მოქალაქეობა საქართველოში იგივე საპატიო მოქალაქეობაა.

№1-936.

მოქალაქეობის ინსტიტუტი არის:

ა) საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი;

ბ) სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი;

გ) სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტი;

დ) კერძო სამართლებრივი ინსტიტუტი.

№1-937.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვი საქართველოს მოქალაქეა;

გ) საქართველოს მოქალაქეთა ბავშვი დაბადებისთანავე საქართველოს მოქალაქეა;

დ) საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ბავშვი საქართველოს მოქალაქე ხდება.

№1-938.

რომელი მსჯელობა გულისხმობს სისხლის პრინციპს?

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ითვლება;

ბ) საქართველოში დაბადებული უცხოელთა ბავშვი საქართველოს მოქალაქედ არ ითვლება;

გ) ბავშვი, რომლის ერთ-ერთი მშობელი უცნობია, საქართველოს მოქალაქედ ითვლება;

დ) ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია საქართველოს მოქალაქედ ითვლება.

№1-939.

"საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს რომელი აქტი არის საბოლოო, რომელიც გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება?

ა) საოქმო ჩანაწერი;

ბ) გადაწყვეტილება;

გ) განჩინება;

დ) ყველა ზემოთ აღნიშნული;

№1-940.

შეიძლება თუ არა გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ გასაჩივრდეს სასამართლოში?

ა) შეიძლება, რადგანაც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით;

ბ) არ შეიძლება, რადგან ასეთს არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა;

გ) შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრება;

დ) არ შეიძლება, რადგანაც ამ საკითხზე საერთაშორისო ხელშეკრულება არ გვაქვს.

№1-941.

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) საქართველოში დადგენილია ერთმაგი მოქალაქეობა;

ბ) საქართველოში დადგენილია ორმაგი მოქალაქეობა;
გ) საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა;
დ) საქართველოში დადგენილია საერთაშორისო მოქალაქეობა.

№1-942.

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის არჩევის უფლება დგება:

ა) 16 წლის ასაკიდან;
ბ) დაბადებისთანავე;
გ) 18 წლის ასაკიდან;
დ) 16 წლის ასაკიდან.

№1-943.

პირი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

ა) წავა სხვა ქვეყანაში სამუშაოდ;
ბ) მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას;
გ) სამუდამოდ საცხოვრებლად წავა საზღვარგარეთ;
დ) დაქორწინდება უცხოელზე.

№1-944.

პირი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

ა) თუ ჩაიდენს მძიმე დანაშაულს.
ბ) თუ უნებართვოდ დატოვებს უცხო ქვეყნის ტერიტორიას.
გ) თუ უნებართვოდ დაიწყებს მუშაობას სხვა ქვეყნის პოლიციაში.
დ) თუ უნებართვოდ დაიწყებს სამეწარმეო საქმიანობას საზღვარგარეთ.

№1-945.

დასაშვებია თუ არა ნებაყოფლობით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის კვლავ აღდგენა?

ა) ასეთ შესაძლებლობას საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია და ორგანული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ბ) დასაშვებია, თუ პირი გულწრფელად მოინანიებს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ქმედებას და უარს იტყვის სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე.

გ) დასაშვებია, თუ პირი ცხოვრობს საქართველოში და აკმაყოფილებს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს.

დ) დაუშვებელია, რადგან ერთხელ მოქალაქეობაზე უარის თქმა სახელმწიფოსადმი არაკეთილსაიმედო დამოკიდებულებად მიიჩნევა.

№1-946

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა შესაძლებელია, თუ:

ა) პირს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო;

ბ) პირმს ადრე საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა ყალბი საბუთების წარდგენის გამო;

გ) პირს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა მშობლების არჩევანის გამო;

დ) პირს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა უცხოეთში სამხედრო სამსახურის დაწყების გამო.

№1-947.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში შესვლა მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ?
ა. პარლამენტის გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.
ბ. სახალხო დამცველის გადაწყვეტილაბის არსებობის შემთხვევაში.
გ. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემთხვევაში.
დ. საქართველოს კანონმდებლობა ასეთი სახის შეზღუდვას არ ითავლისწინებს.

№1-948.

რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს მოქალაქის საქართველოში შემოსვლის უფლება?
ა) შეიძლება შეიზღუდოს საომარი მდგომარეობის დროს.
ბ) არ შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს გარეშე.
გ) შეიძლება შეიზღუდოს მთავრობის დადგენილებით.
დ) არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

№1-949.

ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელს აქვს არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება?
ა. საქართვალოს ქმედუუნარო მოქალაქეს.
ბ. საქართველოს არასრულწლოვან მოქალაქეს.
გ. მოქალაქეობის არმქონე პირს.
დ. საქართველოს უმუშევარ მოქალაქეს.

№1-950.

პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატად არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს:
ა) უმაღლესი განათლების არმქონე საქართველოს მოქალაქეს.
ბ) 35 წლის ასაკს მიუღწეველ საქართველოს მოქალაქეს.
გ) წინა მოწვევის პარლამენტის წევრს.
დ) 25 წლის ასაკს მიუღწეველ საქართველოს მოქალაქეს.

ტ ო მ ი I

ს ა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ო

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

(სწორი პასუხები)

1-1 – 1-950

1	ა
2	გ
3	ა
4	ბ
5	დ
6	გ
7	ა
8	გ
9	ბ
10	დ
11	გ
12	გ
13	გ
14	ა
15	ა
16	დ
17	დ
18	დ
19	ა
20	გ
21	გ
22	ბ
23	ა
24	გ
25	ბ
26	ბ
27	ა
28	დ
29	ა
30	ბ
31	ა
32	ბ
33	გ
34	დ
35	ა
36	დ
37	ა
38	ა
39	ა
40	ბ
41	ა
42	ა
43	ბ
44	გ
45	ბ
46	ბ
47	ბ
48	ა
49	ა

50	ბ
51	ბ
52	ა
53	გ
54	ბ
55	ა
56	ა
57	დ
58	ბ
59	ბ
60	დ
61	ა
62	ა
63	ბ
64	ა
65	ა
66	დ
67	ბ
68	დ
69	გ
70	ა
71	გ
72	დ
73	ა
74	ბ
75	გ
76	ა
77	ბ
78	დ
79	გ
80	ბ
81	ბ
82	გ
83	ა
84	ბ
85	ა
86	ბ
87	ბ
88	გ
89	ბ
90	გ
91	ა
92	ბ
93	გ
94	ბ
95	ბ
96	გ
97	ა
98	ა

99	ა
100	გ
101	ბ
102	დ
103	დ
104	დ
105	დ
106	ა
107	გ
108	ა
109	გ
110	გ
111	დ
112	გ
113	ა
114	დ
115	გ
116	ა
117	გ
118	დ
119	დ
120	გ
121	გ
122	ა
123	ბ
124	ა
125	ა
126	ბ
127	ა
128	ა
129	გ
130	ბ
131	ბ
132	ბ
133	ბ
134	დ
135	გ
136	გ
137	ბ
138	გ
139	ა
140	დ
141	გ
142	დ
143	ა
144	გ
145	დ
146	ა
147	გ

148	
149	
150	
151	ა
152	გ
153	ა
154	ბ
155	გ
156	დ
157	გ
158	გ
159	ა
160	ბ
161	დ
162	გ
163	დ
164	ა
165	ბ
166	გ
167	ა
168	ბ
169	დ
170	ბ
171	გ
172	გ
173	ბ
174	დ
175	გ
176	დ
177	გ
178	ა
179	გ
180	ა
181	ბ
182	ა
183	ბ
184	დ
185	გ
186	გ
187	ბ
188	ა
189	გ
190	დ
191	დ
192	ბ
193	გ
194	გ
195	დ
196	ა

197	დ
198	გ
199	ბ
200	გ
201	ბ
202	ბ
203	ბ
204	ა
205	გ
206	დ
207	ა
208	გ
209	ბ
210	ბ
211	დ
212	გ
213	გ
214	დ
215	ბ
216	ბ
217	გ
218	დ
219	ბ
220	დ
221	ა
222	ბ
223	დ
224	დ
225	გ
226	დ
227	ა
228	გ
229	გ
230	დ
231	გ
232	ბ
233	ბ
234	გ
235	გ
236	გ
237	ბ
238	ბ
239	დ
240	ა
241	დ
242	დ
243	დ
244	დ
245	ბ

246	ა
247	ბ
248	ბ
249	გ
250	ბ
251	გ
252	დ
253	დ
254	გ
255	გ
256	გ
257	გ
258	დ
259	ბ
260	გ
261	ბ
262	გ
263	ბ
264	დ
265	გ
266	დ
267	ა
268	ბ
269	დ
270	გ
271	დ
272	გ
273	გ
274	ბ
275	დ
276	ბ
277	დ
278	დ
279	გ
280	ბ
281	გ
282	ა
283	დ
284	ა
285	გ
286	ა
287	ბ
288	დ
289	დ
290	გ
291	დ
292	გ
293	გ
294	გ

295	ა
296	ა
297	გ
298	გ
299	ბ
300	გ
301	დ
302	გ
303	ბ
304	გ
305	გ
306	დ
307	ბ
308	ბ
309	გ
310	გ
311	ა
312	დ
313	ბ
314	დ
315	ბ
316	ბ
317	ბ
318	გ
319	ბ
320	ა
321	დ
322	ბ
323	ა
324	ბ
325	ა
326	ბ
327	ა
328	გ
329	ბ
330	ბ
331	ა
332	ა
333	ბ
334	გ
335	დ
336	გ
337	გ
338	ბ
339	ბ
340	გ
341	გ
342	ბ
343	ა

344	გ
345	დ
346	ა
347	ა
348	ა
349	ა
350	ა
351	გ
352	ბ
353	დ
354	ა
355	გ
356	დ
357	დ
358	გ
359	ბ
360	გ
361	ა
362	ბ
363	ბ
364	დ
365	ბ
366	ბ
367	გ
368	ბ
369	გ
370	ბ
371	დ
372	დ
373	ბ
374	გ
375	გ
376	გ
377	გ
378	ბ
379	გ
380	დ
381	გ
382	ბ
383	დ
384	ბ
385	დ
386	დ
387	ბ
388	გ
389	გ
390	ბ
391	ბ
392	გ

393	დ
394	დ
395	გ
396	გ
397	ბ
398	გ
399	ა
400	გ
401	გ
402	ბ
403	ა
404	ა
405	ბ
406	გ
407	დ
408	გ
409	ბ
410	გ
411	ა
412	გ
413	გ
414	გ
415	დ
416	გ
417	გ
418	დ
419	ბ
420	ბ
421	დ
422	გ
423	დ
424	გ
425	ა
426	გ
427	გ
428	დ
429	ბ
430	გ
431	გ
432	გ
433	ბ
434	ბ
435	ბ
436	დ
437	ბ
438	ბ
439	გ
440	გ
441	გ

442	დ
443	ბ
444	ბ
445	ა
446	ა
447	ბ
448	ა
449	ა
450	ბ
451	ბ
452	დ
453	გ
454	დ
455	დ
456	გ
457	ბ
458	ბ
459	გ
460	ბ
461	დ
462	გ
463	დ
464	გ
465	ბ
466	დ
467	დ
468	ბ
469	ბ
470	გ
471	გ
472	გ
473	ბ
474	ბ
475	გ
476	ბ
477	ა
478	ა
479	დ
480	ა
481	ა
482	ბ
483	ა
484	ბ
485	ა
486	გ
487	გ
488	ა
489	ბ
490	დ

491	გ
492	გ
493	ა
494	გ
495	ა
496	დ
497	გ
498	ა
499	დ
500	ა
501	ბ
502	ა
503	გ
504	გ
505	ა
506	გ
507	გ
508	ბ
509	ბ
510	ბ
511	დ
512	გ
513	გ
514	დ
515	ა
516	დ
517	ბ
518	ბ
519	გ
520	დ
521	ბ
522	ბ
523	ბ
524	გ
525	გ
526	გ
527	ა
528	ბ
529	დ
530	გ
531	დ
532	გ
533	გ
534	ა
535	ა
536	გ
537	გ
538	ა
539	ა

540	დ
541	ბ
542	დ
543	ბ
544	ა
545	დ
546	ბ
547	გ
548	ა
549	გ
550	გ
551	ბ
552	ა
553	ა
554	ბ
555	გ
556	ბ
557	ბ
558	ბ
559	ა
560	დ
561	გ
562	ბ
563	ა
564	დ
565	გ
566	დ
567	ა
568	ა
569	დ
570	გ
571	გ
572	დ
573	გ
574	ბ
575	ბ
576	გ
577	გ
578	ბ
579	გ
580	გ
581	დ
582	დ
583	ბ
584	ბ
585	დ
586	გ
587	ბ
588	გ

589	გ
590	გ
591	ა
592	გ
593	ბ
594	დ
595	ბ
596	დ
597	გ
598	გ
599	დ
600	დ
601	დ
602	დ
603	გ
604	ბ
605	ბ
606	ბ
607	დ
608	ა
609	გ
610	დ
611	ა
612	დ
613	გ
614	გ
615	ა
616	ა
617	დ
618	გ
619	გ
620	ა
621	გ
622	ბ
623	გ
624	ბ
625	ბ
626	დ
627	გ
628	დ
629	დ
630	ა
631	დ
632	ა
633	ა
634	დ
635	დ
636	ა
637	ბ

638	ა
639	გ
640	ბ
641	ა
642	ა
643	გ
644	ბ
645	დ
646	ბ
647	გ
648	ა
649	გ
650	გ
651	დ
652	ბ
653	დ
654	გ
655	გ
656	გ
657	დ
658	ბ
659	ბ
660	ა
661	გ
662	გ
663	ა
664	დ
665	ა
666	ბ
667	დ
668	ბ
669	ბ
670	გ
671	გ
672	ა
673	დ
674	დ
675	ბ
676	დ
677	დ
678	დ
679	დ
680	დ
681	დ
682	ა
683	დ
684	დ
685	დ
686	დ

687	დ
688	დ
689	დ
690	დ
691	დ
692	ა
693	ბ
694	გ
695	ა
696	ბ
697	გ
698	დ
699	გ
700	ბ
701	ა
702	ა
703	ბ
704	ბ
705	ბ
706	ბ
707	ბ
708	გ
709	დ
710	დ
711	ბ
712	გ
713	გ
714	ბ
715	ბ
716	გ
717	გ
718	ა
719	ბ
720	გ
721	ა
722	გ
723	გ
724	გ
725	გ
726	ბ
727	გ
728	გ
729	ბ
730	გ
731	დ
732	ბ
733	ა
734	ა
735	ბ

736	დ
737	გ
738	ა
739	გ
740	ა
741	ბ
742	დ
743	ა
744	ბ
745	ბ
746	ა
747	გ
748	გ
749	გ
750	ბ
751	გ
752	ა
753	გ
754	გ
755	ა
756	დ
757	ბ
758	გ
759	ბ
760	ბ
761	გ
762	დ
763	ბ
764	გ
765	გ
766	ა
767	გ
768	ა
769	დ
770	დ
771	ა
772	დ
773	ბ
774	ა
775	გ
776	გ
777	ა
778	ბ
779	გ
780	გ
781	დ
782	ა
783	გ
784	ბ

785	ბ
786	ა
787	ბ
788	ა
789	გ
790	ბ
791	ა
792	ა
793	დ
794	ბ
795	ბ
796	დ
797	ბ
798	ბ
799	გ
800	გ
801	დ
802	ბ
803	ბ
804	ბ
805	ბ
806	გ
807	გ
808	ა
809	ბ
810	ბ
811	ა
812	ა
813	გ
814	ა
815	დ
816	გ
817	გ
818	ა
819	ბ
820	ა
821	ბ
822	ა
823	ბ
824	ბ
825	დ
826	ა
827	დ
828	დ
829	ბ
830	გ
831	ბ
832	ბ
833	გ

834	გ
835	გ
836	ბ
837	გ
838	ბ
839	გ
840	დ
841	ბ
842	დ
843	ა
844	დ
845	ა
846	გ
847	ა
848	გ
849	დ
850	გ
851	გ
852	ბ
853	გ
854	ბ
855	ბ
856	ბ
857	ბ
858	გ
859	ბ
860	ბ
861	გ
862	გ
863	დ
864	გ
865	დ
866	ბ
867	გ
868	დ
869	ა
870	გ
871	გ
872	ბ
873	ა
874	დ
875	გ
876	ბ
877	დ
878	ა
879	გ
880	ბ
881	დ
882	გ

883	ბ
884	დ
885	გ
886	ა
887	დ
888	დ
889	ა
890	დ
891	დ
892	გ
893	დ
894	გ
895	ა
896	ა
897	გ
898	დ
899	ბ
900	ა
901	გ
902	ა
903	დ
904	გ
905	დ
906	ა
907	ა
908	გ
909	ბ
910	გ
911	გ
912	დ
913	ბ
914	ბ
915	ა
916	ა
917	ბ
918	გ
919	ა
920	ბ
921	ბ
922	ა
923	ა
924	დ
925	დ
926	ბ
927	გ
928	გ
929	ა
930	გ
931	ა

932	დ
933	დ
934	ბ
935	ბ
936	ა
937	გ
938	ბ
939	დ
940	ა
941	გ
942	გ
943	ბ
944	გ
945	გ
946	გ
947	გ
948	ა
949	დ
950	დ